სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები A3

ევროისტორია A8

„ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 20 მარტი, 2003 წელი. №77 (289)

ფასი 50 თეთრი


# მოკავშირეები პოზიციებს იკავებენ



REUTERS

ისინი ბუშის ბრძანებას ელიან.

გუშინ, მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ ერაყმა ულტიმატუმი არ მიიღო, ამერიკულმა და ბრიტანულმა დანაყოფებმა საბრძოლო პოზიციების დაკავება დაიწყეს. მოკავშირეები უკვე შევიდნენ ერაყ-კუვეიტის საზღვარზე მდებარე დემილიტარიზებულ ზონაში. სამხედრო კოლონების მოძრაობა დილის 11 საათზე დაიწყო და მთელი დღე გრძელდებოდა.

ამერიკულმა და ბრიტანულმა თვითმფრინავებმა ერაყში 2 მილიონი პროკლამაცია ჩამოყარეს. ისინი ერაყელ ჯარისკაცებს მოუწოდებენ, არ გამოიყენონ მასობრივი განადგურების იარაღი, არ დაწვან ნავთობის საბადოები და ნუ გაწირავენ თავს მომაკვდავი რეჟიმისათვის.

სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რომ საზღვარზე ამოვარდნილმა ქვიშის ქარიშხალმა, რომელიც ხილვადობას რამდენიმე მეტრამდე ამცირებს, შეიძლება ომის დაწყებას ხელი შეუშალოს.

ამერიკული ჯარების ერთ-ერთმა სარდალმა გუშინ განაცხადა, რომ ომი ერთ-ორ დღეში დაიწყება. სადამისათვის მიცემული ულტიმატუმის ვადა დღეს დილით, 5 საათზე გავიდა.

ერაყის საზღვრებთან იმყოფება, დაახლოებით, 280 ათასი ამერიკელი, ბრიტანელი და ავსტრალიელი ჯარისკაცი და 700-მდე ბომბდამშენი.

მათ წინააღმდეგობას გაუწევს ერაყის რეგულარული არმიის 350 ათასი და რესპუბლიკური გვარდიის 100 ათასი ჯარისკაცი, რომლებიც მოძველებული იარაღით არიან აღჭურვილნი.

პენტაგონი აცხადებს, რომ მას იმედი აქვს, ერაყის დემორალიზებული არმია ამერიკელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და ერაყელ ჯარისკაცთა უმეტესობა დანებებას არჩევს. ამერიკელები აცხადებენ, რომ ისინი არ დაშლიან ერაყულ სამხედრო ქვედანაყოფებს, არ გააგზავნიან მებრძოლებს ტყვეთა ბანაკებში და ოფიცრებს იარაღის ტარების უფლებასაც დაუტოვებენ.

წინასწარ გამოქვეყნებული გეგმის თანახმად, მოკავშირეები აპირებენ, ომი ორდღიანი მასირებული დაბომბვებით დაიწყონ, რომლის შემდეგაც ისინი ერაყის სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებს დაიკავებენ. მოელიან, რომ პირველი სამიზნე ერაყის სამხრეთში მდებარე ქალაქი ბასრა იქნება. შემდეგ კი ბაღდადის შტურმი უნდა დაიწყოს. ექსპერტების მტკიცებით, ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლები ქალაქებში უნდა გაიმართოს.

ყველაზე ოპტიმისტური სცენარით, ომი ორ-სამ კვირაში უნდა დასრულდეს, პესიმისტები კი ამტკიცებენ, რომ ომის დაწყებით ამერიკამ პანდორას ყუთი გახსნა.

## რა დივიდენდებს და საფრთხეებს მიიღებს საქართველო "სადამ ჰუსეინის აპოკალიფსის" შემდეგ

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

***"სადამ ჰუსეინის აპოკალიფსამდე"*** ( ასე უწოდეს მოკავშირეთა საბრძოლო ოპერაციას ჟურნალისტებმა) ძალზე მცირე დრო რჩება. ეჭვგარეშეა, რომ ეს ომი, რომლის წინმსწრებმა დიპლომატიურმა ფაზამ უკვე სერიოზულად შეარყია საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა, კიდევ უფრო დააჩქარებს პროცესებს მსოფლიოში და მათ შორის - საქართველოში. ამაზე მეტყველებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილობითი მიმართვა, რომელშიც ჯორჯ ბუში მადლობას უხდის საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს კოალიციის მხარდაჭერისათვის და შეახსენებს იმ სიძნელეთა შესახებაც, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ ამერიკის მომხრეები. როგორც ირკვევა, ამ საფრთხეს საქართველოს ხელისუფლებაში საკმაოდ კარგად აცნობიერებენ, თუმცა მთავრობაში არც იმას მალავენ, რომ ომის შემდეგ საქრთველო გარკვეულ დივიდენდებსაც მიიღებს.

***"ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომში საქართველომ ძლიერი და სანდო მოკავშირეობა გაგვიწია, ოპერაცია "მდგრადი თავისუფლების" ჩატარებისას თქვენმა მზადყოფნამ - მოგეცათ საჰაერო სივრცით სარგებლობის უფლება და სადაზვერვო საქმიანობაში გაგეწიათ თანამშრომლობა, თავისი წვლილი შეიტანა ამ ოპერაციის წარმატებაში," -*** ამ სიტყვებით იწყება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის, 16 მარტით დათარიღებული წერილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიამ 19 მარტს გაავრცელა.

ამერიკის პრეზიდენტის ეს ეპისტოლე კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ თანამშრომლობა ამერიკელ და ქართველ სპეცაგენტებს შორის მხოლოდ ვირტულაური არ ყოფილა. თუმცა, ჯერჯერობით დახურულ თემას წარმოადგენს ის, თუ კონკრეტულად რითი შეუწყო ხელი ამ თანამშრომლობამ ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომს; ან რამდენად აისახა იგი საკუთრივ პანკისში შარშან დაწყებულ ანტიტერორისტულ ოპერაციაზე, რომელიც, ეჭვი არ არის, ძლიერ სადაზვერვო მონაცემებს ეყრდნობა.

დღესდღეობით, უფრო აქტუალურია სხვა პრობლემა. უშიშროების მინისტრის მოადგილის ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველოს, როგორც ამერიკისა და კოალიციის "სანდო მოკავშირეს", ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი: დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები, რომელთა შორის ამერიკისა და კოალიციის სხვა წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლობებიც იგულისხმებიან.

**"ბუნებრივია, ჩვენ კონტრზომების მიღება, ანუ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინ დავიწყეთ და, შესაბამისად, ჩვენი სასიცოცხლო ობიექტები, რომლებიც შეიძლება ხელყოფის საგანი გახდეს, შესაძლო ტერაქტებისგან დავიცავით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო დაცვის შესაბამის სამსახურთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, გაძლიერებული უსაფრთხოების ზომებია მიღებული. შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ჩვენი ძალები და საშუალებები მობილიზებულია ამ კუთხით,"-** აცხადებს ირაკლი ალასანია.


გაგრძელება A4 გვერდზე


## სხვა თუ არაფერი, ჩვენებური ქურთების ხათრით მაინც

სოფო ბუკია

**"ცივილიზებული კაცობრიობა უარყოფს ომს, მაგრამ ყველა სხვა საშუალება ამოწურულია – სადამის რეჟიმი უნდა განიარაღდეს... მსოფლიო მადლიერი უნდა იყოს პრეზიდენტ ბუშის და პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერისა, რომელთაც პრინციპულობა გამოიჩინეს და გადაწყვიტეს, დაიხსნან ერაყელი ხალხი, მთელი საერთაშორისო საზოგადოება ჰუსეინიდან მომდინარე საშიშროებისაგან... ჩვენ ვურჩევთ საქართველოს მთავრობას და, საგანგებოდ, ყველა ოპოზიციონერ პოლიტიკურ ლიდერს, ერთად დადგნენ და მიიღონ გადაწყვეტილება, შეუერთდნენ და აღმოუჩინონ მორალური დახმარება ერაყის განიარაღების მოსურნეთა კოალიციას,"**– ამგვარი სულისკვეთებით გამსჭვალული განცხადება გაავრცელა გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციამ "საქართველო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში". განცხადების განსახილველად ორგანიზაციის ოფისში ექსპერტები მიიწვიეს.

როგორც ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, საქართველოს მოსახლეობას არა აქვს ბოლომდე გაცნობიერებული, რატომ უცხადებს საქართველოს ხელისუფლება აშშ-ს პოლიტიკას ერთმნიშვნელოვან მხარდაჭერას.

გუშინ ისიც გაირკვა, რომ ამის მიზეზი აშშ-ს მიერ საქართველოსთვის აღმოჩენილი გადაუდებელი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო დახმარებები არ ყოფილა, როგორც ეს ბევრს ჰგონია. საქმე ის გახლავთ, რომ **"საქართველოს ზნეობრივი ვალია, მხარი დაუჭიროს ერაყელი ხალხის გათავისუფლებას."** ამასთანავე, როგორც გუშინ ითქვა, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს ათასობით ქურთი, ქურთებს კი, მოგეხსენებათ, ჰუსეინის რეჟიმი არ სწყალობთ. ამდენად, როგორც "საქართველო-ნატოში" ერთ-ერთი დამფუძნებელი ირაკლი არეშიძე ამბობს, **"სხვა თუ არაფერი, მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ქურთების ხათრით, საქართველოს ხელისუფლება მორალურად ვალდებულია, მოკავშირეებს დაუჭიროს მხარი".**


გაგრძელება A4 გვერდზე


### პერსონა

ერაყის ომმა ამ ხელისუფლებას სულზე მოუსწრო

*"თუ ომი დაიწყო, სამხედრო ბაზების აქ არსებობის შემთხვევაში, მშვენივრად შეიძლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ამის წინააღმდეგი, პირველ რიგში, აშშ არ იქნება." - ამბობს ირინა სარიშვილი-ჭანტურია.*

B1

### პოლიტიკა

რა პერსპექტივას ქმნის რკინიგზის გახსნა

*აფხაზეთში რკინიგზის ამუშავებას დევნილთა უპირობო დაბრუნება მოჰყვება თუ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით რუსეთი მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინტერესებს დაიკმაყოფილებს, მოტყუებული საქართველო კი ჩიხში შესული აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მთავარ კოზირს დაკარგავს?*

A2

### უცხოეთი

თურქეთი ამერიკისათვის ბაზების დათმობას არ აპირებს

აშშ „ნებაყოფლობით შექმნილი„ კოალიციის წევრებს ასახელებს

პარლამენტმა სადამს ერთგულება შეჰფიცა

A4-A5

### ეკონომიკა

ჯავახეთი თბილისიდან არ ჩანს!

*ხელისუფლებამ ახალციხელებს არჩევანი არ დაუტოვა, "ბი-პი"-ს კი მიწების შესყიდვა ეჩქარება*

A6

### სამართალი

„ავიაკომპანიის დაპატრონებას მკვლელები ცდილობენ„

*გუშინ კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიებით უკამყოფილო ქართველი სპორტსმენები ხელს პირდაპირ პრეზიდენტის მძახლის – გურამ ახვლედიანისკენ იშვერდნენ...*
*გუშინ ცნობილი გახდა, რომ გამოძიებას, რომელსაც კახი ასათიანის მკვლელობის ვერსიები მისმა მეუღლემ, დაახლოებით, ორი თვის წინ მიაწოდა, ახვლედიანების ოჯახის წევრების დაკითხვა არც უცდია...*

A7

### საზოგადოება

ზოგი „კარიერაზე„ აქედან ოცნებობს

*10 დღეში ავჭალის არასრულწლოვან ბავშვთა კოლონიის მსჯავრდებულებს კომპიუტერებით დაასაჩუქრებენ. მანამდე კი 21 პატარა დამნაშავე ჟანგიანი რკინებისგან წვეტიანი იარაღის დამზადებით "ერთობა".*

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 7 |
| ბათუმი | 4 |
| სოხუმი | 6 |
| ფოთი | 6 |
| თელავი | 7 |
| ზუგდიდი | 6 |
| გორი | 4 |
| ახმეტა | 7 |
| ქიათურა | 5 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.3276 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4013 |
| რუბლი | 0.0685 |


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროისტორია

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## ქუთაისში დაჭრეს "აირზენას" ყოფილი ხელმძღვანელი დემურ ლელაძე

გუშინ გვიან ღამით შეიარაღებულ, ნიღბიან ბოროტმოქმედთა 5-6-კაციანი ჯგუფი თავს დაესხა ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში მცხოვრებ, ავთო ლელაძის ოჯახს. ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა ავთო ლელაძის ძმა – "აირზენას" ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი დემურ ლელაძე.

იმ დროს, როცა ნიღბიანი თავდამსხმელები ავთო ლელაძის მეუღლესა და შვილებს სცემდნენ და სახლში ოქროს ნივთებსა და ძვირფას ქურქებს აგროვებდნენ, ძმები ლელაძეები ავტოფარეხში იმყოფებოდნენ. იქიდან ისინი დაუკავშირდნენ უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ჯემალ გახოკიძეს, რომელმაც აღნიშნული ფაქტის თაობაზე ქუთაისის პოლიციას შეატყობინა.

სამართლადამცველების მისვლამდე ბოროტმოქმედებმა შენიშნეს ავტოფარეხში მყოფი ძმები და სროლა აუტეხეს. სროლის შედეგად ძმები ლელაძეები მძიმედ დაიჭრნენ. ამასობაში ყაჩაღები "ბმვ-ს" მარკის მუქი შავი ფერის ავტომანქანით მიიმალნენ. დაჭრილი ლელაძეები ქუთაისის ავტოქარხნის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობები მძიმეა, მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ქუთაისის პოლიციაში აცხადებენ, რომ ამ თავდასხმას არანაირი კავშირი არა აქვს საავიაციო ბიზნესში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან. "აირზენას" ირგვლივ ატეხილ სკანდალთან ლელაძეებზე თავდასხმის კავშირს გამორიცხავს "აირზენას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თეა გაბადაძეც.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ საქართველომ აშშ-ს, საჰაერო სივრცის "გარკვეული კორიდორი" ჯერ კიდევ ავღანეთის კამპანიისას დაუთმო და საჭიროების შემთხვევაში, ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებშიც გამოიყენებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი საქართველოში ერაყიდან დევნილების გამოჩენის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი პარლამენტის "თემატური უმრავლესობის" ერთ-ერთი ლიდერი, ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოს" თავმჯდომარე ირაკლი გოგავა მიიჩნევს, რომ საპარლამენტო კრიზისი მანამდე გაგრძელდება, ვიდრე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეორგანიზაცია ანუ "სპიკერატის გადახალისება" არ მოხდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შექმნილ კრიზისზე პასუხიმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოკავკასიის რეგიონალური სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი პუტოვი აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე შექმნილი ვითარება საკმაოდ სტაბილურია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ორი ქვეყნის მესაზღვრეები მზად არიან ერთობლივი ღონისძიებების გასატარებლად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა თოვლის დნობის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით, ბოევიკთა შემოჭრის თავიდან ასაცილებლად, რუსეთთან საზღვრის მთელი პერიმეტრის კონტროლის გაძლიერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი ელდარ შენგელაია ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომრის პოსტიდან მიდის. ამასთან, იგი სკეპტიკურად უყურებს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, დეპუტატ ვახტანგ რჩეულიშვილის მცდელობებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ კოჩიევმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო დასწრების გაძლიერებას ემხრობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი პარტია "ვირქის" დამფუძნებელი ყრილობა, საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრებით, ახალქალაქში, 29 მარტს გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** ერაყში საომარი მოქმედებების დაწყება შესაძლოა, ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობაზე აისახოს. ამის შესახებ განუცხადა ჟურნალისტებს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ხელმძღვანელმა ნატიკ ალიევმა. **პრაიმ-ნიუსი**

„ხალხის პირისპირ" – ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა მოხვდება სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

წესები კითხვის შედგენისთვის:

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# თვითმმართველობის „ზედმეტი ინიციატივები" მთავრობას აღიზიანებს

ვერიკო თევზაძე

*"თბილისის თავზე ფრიალებს დროშა, რომელსაც არავინ ცნობს. მე არ ვიცი, ვინ უნდა მიხედოს ამ პრობლემას.... თვითმმართველობის ინიციატივებმა შეიძლება ისეთ ჩიხში შეგვიყვანოს, რომ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ,"* - *აღშფოთებულია საქართველოს პრეზიდენტი და იუსტიციის სამინისტროს და შესაბამის უწყებებს დაავალა, სერიოზულად გადასინჯონ კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესახებ.*





თვითმმართველობის ორგანოების ზედმეტი ინიციატივის (თვითნებობის) პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ქონების შესახებ კანონში ცვლილებების განხილვისას წამოიჭრა.

მთავრობის გუშინდელ სხდომას ევროსაბჭოს რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი ფილიპ ბლეარიც ესწრებოდა.

**"ევროპის საბჭომ შეიმუშავა თვითმმართველობის ქარტია. სამწუხაროდ, მას საქართველო ვერ შეუერთდა. წარმოდგენილი კანონპროექტი ქარტიის პრინციპებს ეხმიანება. ეს შეიძლება ქარტიაში საქართველოს გაწევრიანების გარანტი გახდეს,"** - განაცხადა ბლეარმა.

ქონების მართვის მინისტრის სოლომონ პავლიაშვილის განცხადებით, ცვლილებათა პროექტმა უნდა დაარეგულიროს სახელმწიფო ქონების დელეგირება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებზე.

თვითმმართველობის ორგანოებისთვის ქონების გადაცემის თემაზე საუბრისას განათლების მინისტრმა ალეკო კარტოზიამ, გუბერნატორმა ლევან მამალაძემ, კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ უკმაყოფილება გამოთქვეს. კერძოდ, ისინი შიშობენ, რომ შესაძლოა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, რომლებიც "ზედმეტ ინიციატივებს" იჩენენ, ესა თუ ის სახელმწიფო ობიექტი უკანონოდ მიითვისონ. **"იუსტიციის სამინისტროში მუშაობისას საააკაშვილმა ისეთი საკანონმდებლო ბაზა შექმნა, რომ ნორმატიული აქტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა აუცილებელი არ არის. თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ, გადაწყვეტილებები ისე მიიღონ, რომ ისინი იუსტიციის სამინისტროს არ შეუთანხმონ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მათ ხელმისაწვდომი ობიექტები მიიტაცონ,"** - განაცხადა ლევან მამალაძემ. პრეზიდენტის აზრით, პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია თვითმმართველობის კანონის გადასინჯვა და მასში ცვლილებების შეტანა.

სესილი გოგიბერიძის გამოსვლაში საკრებულოს შენობის თავზე მოფრიალე, ყბადაღებული დროშების თემამ გაიჟღერა. ქალბატონ მინისტრს ბატონმა პრეზიდენტმაც აუბა მხარი: **"თბილისის თავზე ფრიალებს დროშა, რომელსაც არავინ ცნობს. საკრებულოები უკანონო გადაწყვეტილებებს იღებენ და ეს მხოლოდ თბილისში როდი ხდება. თვითმმართველობის ინიციატივებმა შეიძლება ისეთ ჩიხში შეგვიყვანოს, რომ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ."**

**"თვითმმართველობის ორგანოების თვითნებობა"** განათლების მინისტრსაც აშფოთებს: **"ბატონო პრეზიდენტო, თბილისის განათლების სისტემაში ორხელისუფლებიანობაა...** - განაცხადა ბატონმა კარტოზიამ გუშინდელ მთავრობის სხდომაზე, - **იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა საკრებულოს დადგენილება მუნიციპალური სკოლების დაფუძნების შესახებ. თუმცა არსებობს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა, რომელშიც წერია, რომ აღნიშნული დადგენილება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან. ვინაიდან თბილისის მერიამ არ შეაჩერა ეს დადგენილება, იძულებული ვარ, მის წინააღმდეგ სარჩელი შევიტანო."** პრეზიდენტმა კარტოზიას და ზოდელავას "შეთანხმებული წინადადებების" შემუშავება და მომდევნო მთავრობის სხდომაზე წარმოდგენა დაავალა.

გუშინდელ სხდომაზე ბატონი პრეზიდენტი ენერგეტიკის სფეროსაც შეეხო. კერძოდ, იგი ბოლო პერიოდში სისტემაში მომხდარი დარღვევებით დაინტერესდა. **"ენერგეტიკის სისტემაში მასობრივი მითვისებები და გაფლანგვები შეინიშნება. არც ერთი საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. კონტროლის პალატას და ანტიკორუფციულ საბჭოს ვთხოვ, ყველა საქმე გადასინჯონ, ვნახოთ, ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში რამდენი საქმეა აღძრული, რა განაჩენებია გამოტანილი, რით დამთავრდა ყოველივე?"**

მთავრობის სხდომის დასასრულს ჟურნალისტებსა და პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსის მოადგილეს ბონდო მძინარაშვილს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ პრესას მინისტრებთან კომენტარის გასაკეთებლად მე-12 სართულზე ასვლის ნება არ დართეს. პირველ სართულზე კი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგი თითქმის შეუძლებელი გახდა. ყველაზე კომიკური სიტუაცია უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიასთან ჟურნალისტების "ჭიდილისას" შეიქნა. კანცელარიიდან გასული მინისტრი, რაღაც მიზეზის გამო, უკანვე მობრუნდა. ლიფტით ზემოთ ასვლას რომ აპირებდა, მასმედიის წარმომადგენლებმა კედელთან (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) მიიმწყვდიეს და ლიფტის გამოძახების საშუალება არ მისცეს. ამ დროს მეორე ლიფტის კარი მოულოდნელად გაიღო, ხაბურძანიამ ბედნიერი შემთხვევით ისარგებლა და გაუჩინარდა. **"მინისტრებთან და მათ პრესსამსახურებთან მოაგვარეთ ურთიერთობები. მინისტრები უპატივცემულოდ გექცევიან და მე რას მერჩით?"** - ბონდო მძინარაშვილი რამდენიმე წუთის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა, როგორმე დაეშოშმინებინა მის წინააღმდეგ ამხედრებული ჟურნალისტები.

# რა პერსპექტივას ქმნის რკინიგზის გახსნა

### კონფლიქტის გადაჭრის გასაღებს მოვიპოვებთ, თუ ჩიხიდან გამოსვლის მთავარ კოზირს დავკარგავთ?

ვერიკო თევზაძე

*აფხაზეთში რკინიგზის ამუშავებას დევნილთა უპირობო დაბრუნება მოჰყვება თუ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით რუსეთი მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინტერესებს დაიკმაყოფილებს, მოტყუებული საქართველო კი ჩიხში შესული აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მთავარ კოზირს დაკარგავს?*

*სოჭში პუტინისა და შევარდნაძის ამასწინანდელმა შეხვედრამ და დეკლარაციის დონეზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.*

სოჭის შეხვედრამ ცხადყო: რკინიგზის აღდგენის და დევნილთა დაბრუნების სინქრონიზაციის წინადადება, რომელიც კონფლიქტის შემდგომ პერიოდში რამდენჯერმე წამოაყენა დსთ-ს სამიტმა, როგორც იქნა, რუსეთის პრეზიდენტისთვისაც მისაღები გახდა, ყოველ შემთხვევაში, დეკლარაციის დონეზე მაინც. რკინიგზის აღდგენას თან უნდა მოჰყვეს დევნილთა დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. პროცესი გალიდან უნდა დაიწყოს, ანუ გალი უნდა იყოს დევნილთა დაბრუნების პირველი ეტაპი. ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, თუ იმას არ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში რუსეთისადმი უნდობლობის ხარისხი მაღალია არამხოლოდ საზოგადოებაში, არამედ სახელისუფლებო წრეებშიც. რაც ყველაზე სამწუხაროა, სოჭში გამგზავრების წინ თავად საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, რომ იგი ამ შეხვედრიდან რაიმე სასწაულს არ მოელის. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტს რეალური ცვლილების იმედი არ აქვს. სოჭის ვიზიტის შემდეგ, შევარდნაძის პირადმა მრჩეველმა საგარეო ურთიერთობების საკითხებში შალვა ფიჩხაძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი იმდენჯერ გაწბილებულა რუსეთის მხრიდან, გაუჭირდება იმის დაბეჯითებით თქმა, ენდობა თუ არა პუტინს.

**"რუსეთთან მიმართებაში პროგნოზების გაკეთება სერიოზული კაცისთვის შეუძლებელია",** - განუცხადა "24 საათს" ფრაქცია "აფხაზეთის თავმჯდომარემ გივი ლომინაძემ. მიუხედავად ამისა, ბატონ ლომინაძეს რკინიგზის აღდგენისა და დევნილთა დაბრუნების სინქრონიზაცია მაინც რეალურად ესახება. **"რუსეთს სურს სარკინიგზო კავშირის აღდგენა სომხეთთან. იგი იმისთვისაც იბრძვის, რათა აფხაზეთი თავის დაქვემდებარებაში მოაქციოს. ამასთანავე, რუსეთი აცნობიერებს, რომ ორივე მიზნის განხორციელება არარეალურია, იგი საქართველოს ხელისუფლებასთან აუცილებლად უნდა წავიდეს დათმობაზე."** ლომინაძეს ნაკლებად აწუხებს შიში იმისა, რომ რკინიგზის აღდგენას შეიძლება მოჰყვეს დევნილთა დაბრუნება მხოლოდ გალის ტერიტორიაზე, ამის შემდეგ კი სიტუაცია გაიყინება. გივი ლომინაძის აზრით, საქართველოს აქვს ბერკეტები საიმისოდ, რომ პირობის დარღვევის სანაცვლოდ, რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესოს: **"ვინაიდან რუსეთს სომხეთამდე რკინიგზის გახსნა სისხლხორცეულად აინტერესებს, ჩვენ შეგვიძლია, მას ამ მონაკვეთზე – ენგურიდან მოყოლებული სომხეთამდე - რკინიგზა ნებისმიერ დროს გადავუკეტოთ."**

**"როცა რკინიგზის აღდგენაზეა საუბარი, უნდა გვახსოვდეს, რომ 21-ე საუკუნის მიჯნაზე ვიმყოფებით. რკინიგზამ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც უნდა გაიაროს",** - ასეთია საგანგებო საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის პოზიცია.

მრავალი ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი ფიქრობს, რომ რკინიგზა საქართველოსთვის არის აფხაზეთის დაბრუნების კოზირი, უნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომლის გამოც რუსეთი შეიძლება დათმობაზე წავიდეს. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, საქართველოსთვის რკინიგზის ამუშავება, როგორც სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და ეკონომიკური ურთიერთობების ხელშემწყობი ფაქტორი, ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს (რუსეთისგან განსხვავებით).

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი სოჭის დეკლარირებულ შეთანხმებას ფუჭს უწოდებს. მისი აზრით, ვიდრე პოლიტიკური საკითხი არ გადაწყდება, არ გაირკვევა აფხაზეთის სტატუსი, მანამდე დევნილთა დაბრუნებაზე, კომუნიკაციების აღდგენასა და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე ფიქრი უნაყოფოა. **"სოჭის შეხვედრაზე საუბარი იყო სპეციალური ჯგუფების შექმნაზე, რომლებმაც სხვადასხვა მიმართულებით უნდა იმუშაონ. მეორე დღეს გაგულიამ პრესკონფერენცია მოაწყო და კატეგორიულად განაცხადა, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ამიტომ აფხაზები არავისთან არაფრის განსაზღვრას და დადგენას არ აპირებენ... ვთქვათ, პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრამდე ამუშავდა რკინიგზა, აღდგა ეკონომიკური ურთიერთობები. საინტერესოა, როგორი იქნება საზღვარი, საბაჟო, რომელი ქვეყნის კანონმდებლობას დაემორჩილებიან ერთობლივი საწარმოები, რომელი ფულის ნიშანი იქნება მათთვის მისაღები? ვინ უნდა გაარკვიოს ყოველივე ეს და, რაც მთავარია, რის საფუძველზე?"** ნადარეიშვილი, ტრადიციულად, გამოსავალს გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლის ამუშავებაში, მშვიდობის ძალით დამყარებაში ხედავს.

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილსაც უმთავრესად მიაჩნია. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული ვიზიტები აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით - ეს არის **"დროის გაყვანის პოლიტიკა, ხალხის დასანახად შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს რაღაც ხდება".** კონფლიქტოლოგი ვარაუდობს, რომ რკინიგზის ამუშავება რუსეთის სტრატეგიული ინტერესებიდან მომდინარეობს. **"საკითხავია, რკინიგზის გახსნა, ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, ენგურჰესის ამუშავება რამდენად წაადგება აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრას? გალში დევნილების სტიქიურად დაბრუნება ისედაც ხდება. მთავარი პრობლემა კვლავ მოუგვარებელია, ეს არის აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. როცა სტატუსის დაუდგენლად დევნილებს ვაბრუნებთ, გაურკვეველი რჩება, ვის ადმინისტრაციას ექვემდებარებიან ისინი, რომელი კანონმდებლობა დაიცავს მათ?"**- განაცხადა "24 საათთან" საუბარში ბატონმა ხუციშვილმა.

გიორგი ხუციშვილი სკეპტიკურად არის განწყობილი. მისი აზრით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთი თავისი ჩანაფიქრის რეალიზებას ახერხებს: **"რკინიგზა პირველი ნაბიჯია იმ დიდი გეგმისა, რომელიც ახლა ხორციელდება... რასაც დღეს რუსეთი აკეთებს, ყველაფერი შეთანხმებულია ამერიკასთან და დიდ შვიდეულთან. ამ შემთხვევაში, დიდი შვიდეულისთვის უფრო მნიშვნელოვანია სტაბილურობა და ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესების გათვალისწინება, ვიდრე აფხაზეთიდან გადაადგილებული დევნილების უკან დაბრუნება. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობას ვერსად გავექცევით."**

## აფხაზეთი მუსლიმთა ყრილობას მასპინძლობს

აფხაზეთში მუსლიმთა ყრილობა გაიმართა, რომლის ორგანიზატორია აფხაზეთის მუსლიმთა კავშირი. ყრილობაში მონაწილეობდნენ დსთ-ს ქვეყნების ანალოგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ავთანდილ იოსელიანის განცხადებით, განსახილველ საკითხებს შორის არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და არ არის გამორიცხული, ყრილობამ ერაყთან დაკავშირებულ პრობლემებზეც იმსჯელოს. იოსელიანი აღნიშნავს, რომ აფხაზები ამერიკელებს მხარს არ დაუჭერენ.

განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის თქმით, ყრილობა ემთხვევა ერაყის მოვლენებს, ამდენად მოსალოდნელია, რომ ამ თემას ყურადღება მსოფლიო თანამეგობრობამაც მიაპყროს. მინისტრი არც იმას გამორიცხავს, რომ ყრილობა ზუსტად ამიტომ ჩატარდა. **მედია-ნიუსი**

## ლიტვაში ვიზიტი დასრულდა

დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ვილნიუსიდან თბილისში ბრუნდება. ლიტვაში ყოფნისას მან რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა. ესაუბრა ქვეყნის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, ლიტვის სეიმის ხელმძღვანელობას, ქვეყნის საგარეო და თავდაცვის მინისტრებს.

ლიტვის პრეზიდენტთან როლანდას პაქსასთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობას. ლიტვის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ მიზნით ლიტვა აპირებს საქართველოში საკონსულოს გახსნას. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს მხარდაჭერა მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ნინო ბურჯანაძის თქმით, საქართველო მუდმივად გრძნობს ლიტვის მხრიდან მხარდაჭერას.

ლიტვის პრემიერ-მინისტრთან ალგირდას მიკოლას ბრაზაუსკასთან შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სრული ინტენსიურობით არ მიმდინარეობს და არ ხდება არსებული პოტენციალის გამოყენება. ნინო ბურჯანაძის თქმით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტარნსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გააქტიურებას. საგულისხმოა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ლიტვის მხარეს საქართველოს გავლით კასპიის ნავთობის იმპორტირების პერსპექტივაზე დიალოგის დაწყება შესთავაზა.

ლიტვის თავდაცვის მინისტრ ლინას ლინკევიჩუსთან გამართულ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვილნიუსის ჯგუფთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხს. მხარეებმა სამხედრო თანამშროლობის თემაზეც ისაუბრეს. ლიტვის თავდაცვის სამინიტროს მიერ უკვე მომზადებულია კონკრეტული წინადადებების პაკეტი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე. ლიტვის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ლიტვას სამხედრო განვითარების ათწლიანი გამოცდილება აქვს და მზად არის, ეს გამოცდილება სრულად გაუზიაროს საქართველოს.

მოგვიანებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ლიტვის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ლიტვისა და საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივებს.

*24 საათი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ნუ ჩახვალთ ფსონებს საპარლამენტო უმრავლესობაზე!

გიორგი ასანიშვილი

*საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის "მატჩებზე" ტოტალიზატორები ფსონებს რომ იღებდნენ, ლოგიკურად მოაზროვნე მოთამაშეების დიდი ნაწილი ყოველთვის გაწბილებული დარჩებოდა: "ფავორიტებად" მიჩნეული ხელისუფლების მხარდამჭერი ფრაქციები, ერთი შეხედვით, უიმედო "აუტსაიდერთან" და, თითქოსდა, დამარცხებისთვის წინასწარ განწირულ უმცირესობასთან "შეხვედრებს" პირწმინდად აგებენ. ასე მოხდა გუშინაც: დანარჩენი ოპოზიციური ფრაქციების მხარდაჭერით გამხნევებულმა ზურაბ ჟვანიას საპარლამენტო გუნდმა მორიგი სენსაცია გამოაცხო და "დიდი კუში" "დასვა". თუმცა, რაც დრო გადის, უმრავლესობის მორიგი მარცხი უკვე სენსაციადაც აღარ აღიქმება, თანდათან ჩვეულებრივი ამბის კატეგორიაში გადადის და ერთგვარი კანონზომიერების სახესაც კი იღებს. ის ფაქტი, რომ გუშინ "თემატურმა უმრავლესობამ" მთელი დღის განმავლობაში ვერ მოახერხა 118 დეპუტატის შეკრება და ოპოზიციისთვის ერთი დარტყმით ბოლოს მოღება, უკვე აღარავის უკვირს. გასაკვირი უფრო ის იქნება, სახელისუფლებო ბანაკმა ამის გაკეთება რომ შეძლოს.*



აკაკი ბობოხიძე: "ხელისუფლება ვერ გვერევა და გვეხვეწება - ძალით წაიქეცითო"

**"ხელისუფლება ვერ გვერევა და გვეხვეწება - ძალით წაიქეცითო. ჩვენ ვეუბნებით: საერთოდ არ გვინდა თქვენთან ჭიდაობა, მოდით, ვისაუბროთ და კომპრომისები ვეძებოთ, მაგრამ ამაზე სახელისუფლებო ფრაქციები არ მოდიან",** - ასე ხედავს უსაშველოდ გაჭიანურებული კონფლიქტის არსს ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" წევრი აკაკი ბობოხიძე.

პარლამენტში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის საკუთარ დეფინიციას გვთავაზობს "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი ვასილ მაღლაფერიძე. მისი თქმით, საქმე გვაქვს არა საპარლამენტო, არამედ საპარლამენტო უმრავლესობის კრიზისთან და ამ შემთხვევაში ოპოზიცია მხოლოდ თავის პოზიციებს იცავს, თანაც - კანონის ფარგლებში.

რამდენიც უნდა ვისაუბროთ ოპოზიციის მიერ ამ დღეებში გამოვლენილ ერთსულოვნებასა და გამჭრიახობაზე, ბეწვის ხიდზე ასე დიდხანს და "არხეინად" სიარულს იგი ნამდვილად ვერ შეძლებდა, რომ არა თავად უმრავლესობის შიგნით შექმნილი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური დინებები. ასეთი დინებების არსებობა კარგად წარმოჩინდა ზურაბ ჟვანიას გამოსვლის იმ ნაწილში, რომელშიც პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ცდილობდა, აეხსნა დეპუტატებისთვის, თუ რატომ ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა.

**"სახელმწიფო მინისტრთან მოლაპარაკების დროს კომპრომისი თითქმის მიღწეული იყო. ავთანდილ ჯორბენაძე დათანხმდა ჩვენს მოთხოვნას, რომ ხელფასების მატებისთვის 6 მილიონი ლარი გამოყოფილიყო. მაგრამ ამ დროს მოქანდა ვიტალი ხაზარაძე და განაცხადა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა. ამის შემდეგ რაიმე შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახდა",** - აცხადებს ზურაბ ჟვანია.

ვიტალი ხაზარაძესთან შედარებით, უფრო კონსტრუქციულად გამოიყურება და ოპოზიციასთან თანამშრომლობის გარკვეულ სურვილს ამჟღავნებს ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი. თუმცა, მის ამჟამინდელ მდგომარეობას "შესაშურს" ნამდვილად ვერ უწოდებ.

**"ხვალაც რომ ასეთ სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, მაშინ რაღა უნდა ვქნათ?"** - შეშფოთებით იკითხა "სოციალისტების" ლიდერმა უმრავლესობის გუშინდელ თავყრილობაზე, რომელიც რიგგარეშე სხდომის ჩატარების მორიგი უშედეგო მცდელობის შემდეგ გაიმართა. რჩეულიშვილის შიში გასაგებია: სწორედ დღეს იწურება პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად განკუთვნილი საკონსტიტუციო ვადა. შევარდნაძემ ან ვეტო უნდა დაადოს 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და დოკუმენტი, თავის შენიშვნების დართვით, საკანონმდებლო ორგანოში დააბრუნოს (რასაც ასე უფრთხიან აღმასრულებელი ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციები), ან ხელი მოაწეროს და კანონი აამოქმედოს (რაც საერთოდ წარმოუდგენელია).

გაჭირვებულ "თემატურ უმრავლესობას" ქვა აღმართში დაეწია. კარს მომდგარ "განკითხვის დღეს" იგი სერიოზული დანაკარგით ხვდება. სახელისუფლებო ფრაქციები აქამდეც ვერ ახერხებდნენ 118-კაციანი ლაშქრის "შეკრებას" და ამის გაკეთება, მით უმეტეს – დღეს, შეუძლებელი იქნება: ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები ზუგდიდში, პარლამენტარ გენო კალანდიას დედის დაკრძალვაზე მიემგზავრებიან.

**"გამოდის, რომ სხდომა ხვალაც ჩაიშლება!"** - ელდა ეცა ამის გამგონე რჩეულიშვილს.

სხვა საქმეა, ვის რატომ სურს საპარლამენტო სხდომების "ბლოკირება", ზოგი ჭირი მარგებელია: თუ საქართველოს პარლამენტმა ასეთ "სტილში" გააგრძელა მუშაობა, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო აუცილებლად მოხვდება გინესის რეკორდების წიგნში: უკვე მეორე კვირაა, პარლამენტი "თავაუღებლად მუშაობს", მაგრამ დღის წესრიგში შეტანილი არც ერთი საკითხი არ განუხილავს.

# ზომიერი "გენერალი" და აგრესიული "რიგითები"

*საკანონმდებლო ორგანოში "მრეწველები" ოპოზიციურ ძალად შევიდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს მათი მოსაზრებები და პოზიციები თითქმის ყოველთვის "საეჭვოდ" ემთხვევა სახელისუფლებო პლატფორმას. ასე მოხდა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას, ასეა ახლაც, როდესაც პარლამენტში საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის დაახლოების თემატიკა განიხილება...*

გიორგი ასანიშვილი

ერთადერთი, რითიც გოგი თოფაძის საპარლამენტო ფრაქცია თავისი ოპოზიციონერობის დამტკიცებას ცდილობს, სახელმწიფოში მეორე პირის - პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნები თუ ბრალდებებია. ასეთი გამოსვლებით მორიგეობით აქტიურობენ ზურაბ ტყემალაძე, ლევან პირველი და გურამ შარაძე. ამ "სამრეწველო ტრიოდან" გუშინ, ეტყობა, გურამ შარაძე "მორიგეობდა", რომელმაც, სხვათა შორის, სამშაბათის სხდომაზე მოითხოვა, რომ ერთი სავარძელი სპიკერატში ზურაბ ტყემალაძისთვისაც გამოეყოთ.

**"ნინო ბურჯანაძემ დაშალა საქართველოს პარლამენტი და ახლა მის მითითებებს სხდომის წამყვანი გიგი წერეთელი ლიტვიდან იღებს,"** - განაცხადა გურამ შარაძემ, რომელიც იმითაც უხეთქავს გულს საზოგადოებას, რომ **"თუ საკანონმდებლო ორგანოში ასეთი დომხალი გაგრძელდება"**, პარლამენტის რიგებს დატოვებს.

"მრეწველთა" ფრაქციის თავმჯდომარე გოგი თოფაძე "24 საათთან" საუბრისას ირწმუნება, რომ მისი თანაგუნდელები მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს კი არა, მთლიანად სპიკერატს აკრიტიკებენ. კითხვაზე, თუ რა კომენტარს გაუკეთებს გურამ შარაძის მოსაზრებას, რომ თითქოს, ნინო ბურჯანაძე ლიტვიდან აგზავნის ინსტრუქციებს პარლამენტის "დასანგრევად", თოფაძე შენიშნავს: **"მე არ ვიცი, რას ლაპარაკობდა დღეს შარაძე, ვიცი მხოლოდ ის, რომ სპიკერად ნინოს გაყვანაში "მრეწველებსაც" დიდი წვლილი მოგვიძღვის და აგრეთვე ის, რომ ამ ქალბატონს ძალიან დიდ პატივს ვცემ".**

მაშინ, რას ერჩიან პარლამენტის თავმჯდომარეს იმ ფრაქციის წარმომადგენლები, რომლის ლიდერსაც პირადად მართლაც არასოდეს გაუკრიტიკებია საჯაროდ ნინო ბურჯანაძე? გოგი თოფაძე ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის: **"მას (ბურჯანაძეს) ყველაფერი კარგად მიჰყავდა, მაგრამ, ასე მგონია, რომ ბოლო ხანებში ის თავისი ყოფილი პოლიტიკური პარტნიორების გავლენის ქვეშ მოექცა. პარლამენტში რომ კრიზისია, ეს თავად ბურჯანაძისთვის არ არის კარგი. ნინოს მხარდამჭერი ვარ ყოველთვის და მინდა, რომ მან მდგომარეობა გამოასწოროს."**

# რა დივიდენდებს და საფრთხეებს მიიღებს საქართველო "სადამ ჰუსეინის აპოკალიფსის" შემდეგ

პირველი გვერდიდან

მაგრამ საფრთხეები არ არის ერთადერთი მოლოდინი, რასაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ერაყში საბრძოლო ოპერაციის დაწყებას უკავშირებენ. მაგალითად, საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, რომელიც ნიადაგ მზად არის საჭიროების შემთხვევაში ყველანაირად დაუჭიროს მხარი ამერიკას, ომის დასრულების შემდეგ გარკვეული დივიდენდის მიღებასაც წინასწარმეტყველებს.

*"მე იმედი მაქვს, რომ მსოფლიო გაცილებით უკეთესი იქნება ომის მერე, ვიდრე იყო ომის წინ. გარკვეული, ასე ვთქვათ, დივიდენდი შეიძლება საქართველოსაც შეხვდეს."*

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განმარტებით, "დივიდენდში", უწინარეს ყოვლისა, ნატო-ში ინტეგრაციის დაჩქარება და, აგრეთვე, ამერიკის დახმარებით, საქართველოს უსაფრთხოების სისტემის კიდევ უფრო გაძლიერება იგულისხმება. ამის იმედს საქართველოს ხელისუფლებას, ჯორჯ ბუშის წერილის ერთი ადგილიც აძლევს: *"ჩვენ არ დავივიწყებთ მათ, ვინც გვერდში გვიდგას."*

ამერიკამ "გვერდში დგომის" დაფასება რომ იცის, ამას "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაც ადასტურებს. მაგრამ ახლა ის დროა, როდესაც საქართველოს დახმარებისთვის, ერაყის ომის დამთავრებამდე მაინც, ამერიკას ნაკლებად ეცლება. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ გადაიდო 16 მარტს დანიშნული ქართულ-ამერიკული სამედიცინო სწავლება და, რადგან "ომისთვის პარტნიორობის " დრო დადგა, შეიკვეცა ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაც.

# სხვა თუ არაფერი, ჩვენებური ქურთების ხათრით მაინც

პირველი გვერდიდან

როგორც ირაკლი არეშიძე აღნიშნავს, საქართველო ამერიკის წინაშე არა ეკონომიკურად, არამედ მორალურად და სულიერად არის ანგარიშვალდებული. ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა თავის დროზე იხსნეს საქართველო სამოცდაათწლიანი კომუნისტური დიქტატისგან, ამჯერად დახმარებას ერაყელი ხალხი ითხოვს, რომელსაც მსოფლიომ ზურგი არ უნდა აქციოს.

ერაყის გარშემო განვითარებული მოვლენები, ირაკლი არეშიძის აზრით, საქართველოსთვისაც გასათვალისწინებელი უნდა აღმოჩნდეს. საქართველო, რომელიც ათი წელია ცხოვრობს ოცნებით, რომ აფხაზეთში გაერო-ს დახმარებით დაბრუნდება, სერიოზულად უნდა დაფიქრდეს გაერო-ს შესაძლებლობებზე. როგორც ზემოაღნიშნულ განცხადებაშია ნათქვამი, ერაყში განვითარებული მოვლენები უშუალოდ უშიშროების საბჭოს იმ წევრთა სინდისზეა, რომლებიც არ გაუფრთხილდნენ გაერო-ს ავტორიტეტს და ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში სადამის რეჟიმის მიმართ შემუშავებული სანქციების შესრულება არ უზრუნველყვეს.




ირაკლი არეშიძე: "საქართველოს ზნეობრივი ვალია, მხარი დაუჭიროს ერაყელი ხალხის გათავისუფლებას."

## კულუარები

### თედო ისაკაძე უკმაყოფილოა

"მოქალაქეთა კავშირში" განხორციელებული ახალი საკადრო ცვლილებით საკმაოდ უკმაყოფილო დარჩა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თედო ისაკაძე. საქმე ის არის, რომ მისი კანდიდატურა ყველაზე აქტიურად განიხილებოდა პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტზე. რამდენიმე დღის წინ კი, ყველასთვის მოულოდნელად, ამ ვაკანტურ ადგილზე ავთანდილ ჯორბენაძის სამდივნოს უფროსის გიორგი ზურაბაშვილის კანდიდატურა დასახელდა და პარტიის მთავარმა საბჭომაც მხარი სწორედ მას დაუჭირა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თედო ისაკაძე, რომელიც ყოფილი სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის პროტეჟეა, ამ ბოლო დროს საკმაოდ არაკომფორტულად გრძნობს თავს სახელმწიფო კანცელარიაში და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. აქედან გამომდინარე, მოქკავშირის ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობის დაკავება მას ამ ამოცანას გაუადვილებდა.

როგორც ამბობენ, საქართველოს პრეზიდენტმა პარტიის საკადრო საკითხების გადაწყვეტა მთლიანად მიანდო სახელმწიფო მინისტრს და მან ეს უფლება დაუყონებლივ გამოიყენა – თედო ისაკაძეს პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტისაკენ სავალი გზა მოუჭრა და მოქკავშირის მთავარ საბჭოს მისთვის ყველაზე მისაღები კანდიდატი - გიორგი ზურაბაშვილი წარუდგინა. თანაც, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თედო ისაკაძეს არც ლევან მამალაძის გუნდი სწყალობს. შესაძლებელია, სწორედ ამიტომაც იყო, რომ მამალაძის გუნდის წევრებმა ჯორბენაძის არჩევანი სავსებით მოიწონეს.

მოვლენების ამგვარი განვითარება აშკარად დაძაბავს ურთიერთობას სახელმწიფო მინისტრსა და მის მოადგილეს შორის. სახელმწიფო კანცელარიაში არ გამორიცხავენ, რომ ამ კონფლიქტის გამო, შესაძლოა, თედო ისაკაძემ თანამდებობა დატოვოს.

### შესაძლოა, ცესკო-ს დაკომპლექტების წესი არ შეიცვალოს

უკვე რამდენიმე დღეა, პარლამენტის კულუარებში სახელმწიფო კანცელარიის მაღალჩინოსანთა მორიგ იდეაზე საუბრობენ, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებს ეხება. საუბარია ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე.

გავრცელდა ხმები, რომ სახელმწიფო კანცელარიაში მუშავდება ასეთი სცენარი: საარჩევნო კანონში ისეთი ცვლილებები უნდა შევიდეს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს თითქმის უცვლელად დატოვებს. ამ სცენარით, ცესკო-ს შემადგენლობა 18-დან 15 წევრამდე დავა. მის რიგებს გამოეთიშება სამი აკადემიკოსი – ალექსანდრე ვახანია, მინდია სალუქვაძე და ცესკო-ს ამჟამინდელი თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე.

ამ ცვლილების მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისია მაინც შერეული ნიშნით იქნება დაკოპლექტებული. მათ რიგებში დარჩებიან პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრები, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები. კომისიის ახალი თავმჯდომარეც სწორედ მათი რიგებიდან შეირჩევა.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ გაზეთში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ჯუმბერ ლომინაძე თანამდებობის დატოვებას აპირებდა. როგორც ამბობენ, ამ ინფორმაციის გაჟონვა თავად ჯუმბერ ლომინაძის ინტერესებში შედიოდა, რადგან მან პრეზიდენტის ყურადღების მიქცევა სხვა გზით ვერ მოახერხა (მანამდე მან რამდენჯერმე სცადა ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა, მაგრამ - უშედეგოდ).

საინტერესოა, რომ კანცელარიის ახალი იდეის თაობაზე პარლამენტში ხმამაღლა არავინ საუბრობს. თუმცა ამ ხმების არსებობა დაგვიდასტურა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, საარჩევნო კანონზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა. როგორც მან "24 საათს" განუცხადა, პარლამენტში ეს ხმები მართლაც ვრცელდება. თუმცა წერეთელს უჭირს იდეის ავტორების დასახელება.

ცესკო-ს "სოციალისტი" წევრი დენის დავითაშვილი ამბობს, რომ ეს ინფორმაცია **"ჭორია, ოღონდ არა მედიის, არამედ პარლამენტართა გარკვეული ნაწილის მიერ მოგონილი".** მისი თქმით, ახალი იდეის შესახებ მასაც უთხრეს, **"მაგრამ ეს მხოლოდ "ნიადაგის მოსინჯვა იყო".** დენის დავითაშვილმა არაფერი გვითხრა იმის თაობაზე, თუ პარლამენტართა რომელი კონკრეტული ჯგუფის ინტერესებში შედიოდა ამ ხმების გავრცელება.

რაც შეეხება "მოქალაქეთა კავშირს": პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ვიტალი ხაზარაძეც ამ ინფორმაციას "ჭორს" უწოდებს და ამბობს, რომ **"ცენტრალური საარჩევნო კომისიის დღევანდელი შემადგენლობა დასაშლელია"** და **"მოქალაქეთა კავშირის ინტერესებში არ შედის კომისიისათვის უფლებამოსილების გაგრძელება". "როგორ გგონიათ, ჩვენ დავუშვებთ, რომ არჩევნების ბედი ისევ ხათუნა გოგორიშვილმა გადაწყვიტოს? სად არის ლოგიკა?"** –აქეთ შემოგვიბრუნა კითხვა ბატონმა ხაზარაძემ.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჟვანიას გუნდმა აშკარად დაკარგა ცესკო-ზე კონტროლის მექანიზმები (და ეს ადგილობრივი არჩევნების დროსაც გამოჩნდა), მაშინ მოვლენების ამგვარი განვითარება ამ გუნდის ინტერესებში ნამდვილად არ უნდა შედიოდეს. არც სხვა ოპოზიციურ პარტიებს უნდა აძლევდეს ხელს ამ სცენარის განხორციელება, რადგან იგივე "ნაცმოძრაობას" და "ახალ მემარჯვენეებს" ცესკო-ში საკუთარი წევრის ყოლის ყველანაირი იმედი გადაეწურებათ.

აქედან გამომდინარე, ეს სცენარი ყველაზე მისაღები სწორედ რომ მოქალაქეთა კავშირისთვის უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ის არგუმენტიც უმაგრებს ზურგს, რომ ცესკო-ს ახლანდელი თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე საკმაოდ დადებითად არის განწყობილი იმავე ჟვანიას გუნდის მიმართ.

*24 საათი*


## სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით.**

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.
2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთში "24 საათი".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*

*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25 000 | 46 | 9 00 |
| 16 | 25 000 | 47 | 8 00 |
| 17 | 25 000 | 48 | 7 00 |
| 18 | 25 000 | 49 | 6 00 |
| 19 | 25 000 | 50 | 5 00 |
| 20 | 20 000 | 51 | 4 00 |
| 21 | 20 000 | 52 | 3 00 |
| 22 | 20 000 | 53 | 2 00 |
| 23 | 20 000 | 54 | 1 00 |
| 24 | 20 000 | 55 | 90 |
| 25 | 20 000 | 56 | 80 |
| 26 | 20 000 | 57 | 70 |
| 27 | 19 000 | 58 | 60 |
| 28 | 18 000 | 59 | 50 |
| 29 | 17 000 | 60 | 40 |
| 30 | 16 000 | 61 | 30 |
| 31 | 15 000 | 62 | 28 |
| 32 | 14 000 | 63 | 26 |
| 33 | 13 000 | 64 | 24 |
| 34 | 12 000 | 65 | 22 |
| 35 | 11 000 | 66 | 20 |
| 36 | 10 000 | 67 | 18 |
| 37 | 9 000 | 68 | 16 |
| 38 | 8 000 | 69 | 14 |
| 39 | 7 000 | 70 | 12 |
| 40 | 6 000 | 71 | 10 |
| 41 | 5 000 | 72 | 8 |
| 42 | 4 000 | 73 | 6 |
| 43 | 3 000 | 74 | 4 |
| 44 | 2 000 | 75 | 2 |
| 45 | 1 000 | | |

# ერაყის რეჟიმი ომისთვის ემზადება

## ასეთი სტრატეგია თავად სადამ ჰუსეინმა აირჩია

ღანემ ჯავადი
ლონდონიდან IWPR

ანგლო-ამერიკული კოალიციის ძალები ერაყის გარშემო წრეს კრავენ და ომის დაწყება მხოლოდ საათების საქმეა. პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის ვაჟმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი პიროვნება, რომელიც მოწინააღმდეგეს ინფორმაციას გადასცემს, დაუყოვნებლივ დაისჯება.

სადამის ვიწრო გარემოცვასთან დაახლოებული წყაროების თქმით, ბრძანება კვირას იქნა გაცემული, 24 საათით ადრე, ვიდრე აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ერაყის ხელისუფლებას ქვეყნის დატოვებისათვის 48-საათიან ულტიმატუმს წაუყენებდა. ბრძანების ავტორი, სადამის უმცროსი ვაჟი, ქუსაი ჰუსეინი ერაყის რესპუბლიკურ გვარდიას ხელმძღვანელობს და მისი პასუხისმგებლობის სფეროში შედის ასევე უშიშროების ძალებიც. ეს ცხადად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სადამ ჰუსეინს საკუთარი გაერმოცვის წევრების ერთგულებაში ეჭვი ეპარება.

წყაროების თქმით, სადამმა თანამდებობიდან გაათავისუფლა და ამჟამად შიდაპატიმრობაში ჰყავს თავისი ნახევარ-ძმა ბარზან თიქრითი. ბარზანსა და სადამს შორის არსებული დაპირისპირების თაობაზე ინფორმაცია, უკვე რამდენიმე წელია არსებობს. 1998 წლამდე, ათი წლის განმავლობაში ბარზანი ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერაყის ელჩად მუშაობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბარზანი ზოგიერთი ოპოზიციური ძალის მიერ სადამის შემცვლელად განიხილებოდა.

ომის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე ერაყში სამხედრო მანევრების დაწყება მიუთითებს, რომ სადამს განზრახული აქვს, თავის გადარჩენისათვის, ბრძოლები ერაყის იმ ნაწილში აწარმოოს, რომელიც სუნიტური მოსახლეობით არის დასახლებული და სადაც რეჟიმს ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს. რესპუბლიკური გვარდიის ნაწილებმა ერაყის ჩრდილოეთის - ქურთისტანის და სამხრეთის შიიტური რეგიონებიდან ცენტრისკენ დაიწყეს გადაადგილება და ამჯერად ბაღდადის გარშემო კედელს ქმნიან.

დედაქალაქის შიგნით კი, ქუჩის ბრძოლებისათვის არმიის სამი ძირითადი ნაწილი ემზადება – პრეზიდენტის უფროსი ვაჟის უდეი ჰუსეინის დაქვემდებარებაში მყოფი მებრძოლები – "ფედაინები", ქუსაი ჰუსეინის განსაკუთრებული დანიშნულების ძალები და "ბაასის" პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი ლაშქარი. ისინი, პოზიციებს გზაჯვარედინებზე, უშიშროების და დაზვერვის შენობების ირგვლივ ქვიშის ტომრების დახმარებით ამაგრებენ

თავად სადამი კი "მერსედესების" კორტეჟით უკვე აღარ დადის და როგორც კი ომი დაიწყება, მოსალოდნელია, რომ შენიღბვის მიზნით, ეროვნულ ხალათში გამოეწყოს და გადასაადგილებლად სატვირთო ან პიკაპის ტიპის ავტომანქანები გამოიყენოს, ისე, როგორც ამას წარსულში აკეთებდა.

სამხრეთ ერაყის ქალაქ ბასრაში არსებულმა წყარომ ტელეფონით საუბრისას უცხოელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსახლეობა რეგიონს **"სერიოზული საფრთხის მოლოდინში"** ტოვებს – რომელიც, ქიმიური იარაღის გამოყენების საფრთხეს უკავშირდება. სადამმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ ნებისმიერი, ვინც მის დამხობას შეეცდება, შედეგად მიიღებს **"მიწას ხალხის გარეშე."**

ქიმიური იარაღის გამოყენების და მოსალოდნელი კატაკლიზმების შიშს ის ფაქტიც აძლიერებს, რომ ერაყის სამხრეთ რეგიონის თავდაცვის ხელმძღვანელად დაინიშნა სადამის ბიძაშვილი ალი ჰასან ალ-მაჯიდი. ის ერაყელებში "ქიმიურ ალიდ" არის ცნობილი. ეს მეტსახელი მან აჯანყებული ქურთების წინააღმდეგ 1998 წელს ჩატარებული სამხედრო კამპანიის დროს მიიღო, როდესაც ქიმიური დარტყმების შედეგად, ათასობით ქურთი დაიღუპა.

ომის დაწყებისთანავე მოსალოდნელია, რომ სადამმა ჯიჰადი – საღვთო ომი გამოაცხადოს და არაბებს და მსოფლიოს ყველა მუსულმანს ამერიკელების, ბრიტანელების და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდოს. ასეთი მოწოდება კიდევ უფრო გაზრდის ტერორისტული აქტების საფრთხეს სპარსეთის ყურის იმ ქვეყნებში, რომლებიც აშშ-ს სამხედრო ძალებს ომისათვის ზურგის დახმარებას აღმოუჩენენ.

ერაყიდან მოსული ცნობების თანახმად, არც მოსახლეობა და არც სამხედროები თავგანწირვით არ იბრძოლებენ, რადგან მათ აქვთ სადამ ჰუსეინის რეჟიმისგან გათავისუფლების პერსპექტივა. მაღალი ჩინის მრავალმა ოფიცერმა უკვე მიანიშნა, რომ შემოჭრილ არმიას ისინი არ დაუპირისპირდებიან, არც ქურთისტანში და არც შიიტურ სამხრეთში. თუკი ბრძოლა იქნება, ეს უპირველესად იქნება ბაღდადში, რომელიც ანგლო-ამერიკულ არმიას დიდ წინააღმდეგობას გაუწევს და, შესაბამისად, მსხვერპლიც დიდი იქნება.

ამასთანავე, არის საშიშროება, რომ სადამი, შესაძლოა, ომის ტემპის დაგდებას ჰუმანიტარული ტრაგედიის შექმნით შეეცადოს, რაც ხელს შეუწყობს დასავლეთში ომის მოწინააღმდეგეთა გაძლიერებას და აიძულებს ომის დამგეგმავებს, თავიანთ ტაქტიკას გადახედონ. ქურთები შიშობენ, რომ ეს ტრაგედია შესაძლოა მათ წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებამ გამოიწვოს.

მაგრამ, ბაღდადიდან მოსული ცნობების თანახმად, ჰუმანიტარული ტრაგედია თავად დედაქალაქში მოხდება, სადაც ჟურნალისტების მთელი არმიაა თავმოყრილი. კარგად ინფორმირებულმა წყარომ დასავლეთ გარეუბან – ამარიადან გუშინ გვაცნობა, რომ ახალი სასარდლო ბუნკერი ბავშვთა თავშესაფრის ქვემოთ არის განლაგებული. 1991 წელს სწორედ ამარიაში ასობით მოქალაქე დაიღუპა, როდესაც ორი ამერიკული რაკეტა თავშესაფარს მოხვდა.

აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რას მოიმოქმედებს სადამი იმ შემთხვევაში, თუ მის წინააღმდეგ ომი წარმატებით დასრულდება. ზოგიერთი ფიქრობს, რომ თავის დაძვრენის დიდოსტატი, არაბულ სამყაროს თავშესაფრის თხოვნით მიმართავს; ზოგიერთის რწმენით, ის გაიქცევა, შეინიღბება და ახალ ოსამა ბინ ლადენად იქცევა – დევნილი და საშიში. მაგრამ, ამ ამოცანის გასაღებს სადამ ჰუსეინი თვითონვე იძლევა თავის 27-გვერდიან ანალიტიკურ წერილში, რომელიც მან 1979 წელს ირანის შაჰის დამხობის შემდეგ დაწერა.

ჰუსეინი წერს: ქვეყნის დატოვება შაჰის მთავარი შეცდომა იყო. ის რომ ქვეყანაში დარჩენილიყო, მისი მმართველობა გაგრძელდებოდა.








# თურქეთი ამერიკისათვის ბაზების დათმობას არ აპირებს

თურქეთის პარლამენტმა დღეს უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რა პოზიციას დაიკავებს ქვეყანა ერაყის ომში. თუმცა, რეზოლუციის პროექტში, რომელიც მთავრობამ პარლამენტს გუშინ გაუგზავნა, საუბარია მხოლოდ ამერიკული თვითმფრინავებისათვის თურქეთის საჰაერო სივრცის დათმობაზე. რაც შეეხება ამერიკელების ძირითად მოთხოვნას, თურქეთის ტერიტორიაზე 62 ათასი ჯარისკაცის განთავსების უფლებას, მის შესახებ პროექტში არაფერია ნათქვამი.

თურქეთის იუსტიციის მინისტრის, ჯემილ ჯიჯეკის განცხადებით, "თუ ამერიკის მხრიდან კიდევ იქნება მოთხოვნები, თურქეთი მათ განიხილავს, მაგრამ ჯერჯერობით ისინი მხოლოდ საჰაერო სივრცის გამოყენებას ითხოვენ".

მეჯლისისათვის წარდგენილი გადაწყვეტილების პროექტი თურქეთის არმიას ერაყში შესვლის უფლებასაც ანიჭებს. თურქეთს სურს, ომის დაწყებისთანავე ჩრდილოეთ ერაყში ბუფერული ზონა შექმნას, სადაც შეაჩერებს ლტოლვილთა ნაკადს. წინა ომში თურქეთს ნახევარმა მილიონმა ერაყელმა შეაფარა თავი. შიშობენ, რომ ამჯერად მათი რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

ჯიჯეკის განცხადებით, შეთანხმება ამერიკასთან ბუფერული ზონის შექმნის შესახებ უკვე მიღწეულია. თუმცა, თურქული ჯარების შესვლამ ქურთებით დასახლებულ ტერიტორიებზე შეიძლება შეიარაღებული დაპირისპირება გამოიწვიოს. ქურთები აცხადებდნენ, რომ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ამერიკელების გარეშე თურქების შემოსვლას. თავად ამერიკის მაღალი თანამდებობის პირებმაც ადრე რამდენჯერმე მიანიშნეს, რომ თუ ანკარა თურქეთის ტერიტორიაზე ამერიკულ ჯარებს არ დაუშვებდა, არც ამერიკა მისცემდა თურქებს ჩრდილოეთ ერაყში შეჭრის ნებართვას.

სამშაბათს ანკარაში გამართული ქურთებისა და თურქების შეხვედრის შემდეგ, ერაყში აშშ-ს სპეციალურმა წარგზავნილმა ზალმაი ხალილზადმა განაცხადა, რომ უკვე მიღწეულია კომპრომისი და ჩრდილოეთ ერაყში მოქმედი ყველა სამხედრო დაჯგუფება, მათ შორის თურქებიცა და ქურთებიც, ერთიანი, ამერიკული ხელმძღვანელობის ქვეშ იმოქმედებენ. ხალილზადის თქმით, ახლა მიმდინარეობს მუშაობა შესაძლო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ექსპერტების ვარაუდით, ეს შეთანხმება შეიძლება არამყარი აღმოჩნდეს.

თუ დღეს რაიმე არ შეიცვალა, ანკარა ამერიკას ომის დროს ამერიკული ჯარების განთავსებაზე საბოლოო უარს ეტყვის. ეს სერიოზული დარტყმაა როგორც ორმხრივ ურთიერთობებზე, ისე თურქეთის საფონდო ბირჟებზე, რომელიც მთელ იმედებს ამერიკის მიერ შეპირებულ დახმარებაზე ამყარებდა. წინასწარი შეთანხმების თანახმად, თურქეთს 30 მილიარდი დოლარი უნდა მიეღო, მათ შორის, 6 მილიარდი - გრანტის სახით. ახლა ამერიკელები აცხადებენ, რომ მხოლოდ საჰაერო სივრცის გამოყენების უფლება არ ღირს 30 მილიარდი. ახლა ანკარამ, შესაძლოა, ვერაფერი მიიღოს. ამ ინფორმაციამ უკვე იმოქმედა თურქეთის ეროვნულ ვალუტაზე, რომელიც ბოლო დღეებში 10 პროცენტით გაუფასურდა.

მიმომხილველები შიშობენ, რომ თურქეთის არმიამ შეიძლება ჩრდილოეთ ერაყის ნავთობით მდიდარი ქალაქები მოსული და კირკუკი დაიკავოს. ამით თურქები ორ კურდღელს დაიჭერენ: დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნას თავიდან აიცილებენ და ნავთობის სტრატეგიულ საბადოებს ჩაიგდებენ ხელთ. თუმცა, ეს დაასამარებს ერთიანი და დემოკრატიული ერაყის შექმნის გეგმას.

დიპლომატები ახლა ინტენსიურად ცდილობენ კომპრომისის მიღწევას. კომპრომისული გადაწყვეტილება იქნებოდა, თუ თურქეთი ამერიკულ ჯარებს ჩრდილოეთ ერაყისაკენ ომის აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ მაინც გაუხსნიდა გზას. პენტაგონს ახლა სწორედ ამის იმედი აქვს.


*თურქეთში ამერიკული სამხედრო ბაზები დაცარიელდა*

# შირაკისა და შრიოდერის აპარტამენტებში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს

დღეს ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, იმ შენობაში, სადაც ხუთშაბათის ევროკავშირის სამიტზე საფრანგეთისა და გერმანიის პრეზიდენტების შტაბები უნდა განთავსდეს, მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინეს.

"შემიძლია დავადასტურო, რომ რეგულარული შემოწმებისას ნაპოვნია მოსასმენი მოწყობილობა... და არა მხოლოდ საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების ოთახებში", – განაცხადა ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს პრეს-მდივანმა დომინიკ-ჟორჟ მარომ.

ფრანგულმა გაზეთმა "ფიგარომ" დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატები შპიონაჟში დაადანაშაულა. თუმცა, თავად ევროკავშირის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათთვის უცნობია, ვინ განალაგა შენობაში "ხოჭოები".

# საუდის არაბეთი ჰუსეინს ერაყის დატოვებისაკენ მოუწოდებს, ბაჰრეინი თავშესაფარს სთავაზობს

საუდის არაბეთმა გუშინ პირველად მოუწოდა სადამ ჰუსეინს, დაემორჩილოს ამერიკის ულტიმატუმს და თავშესაფარი უცხოეთში მოძებნოს. "სამეფო ყველაფერს აკეთებს, რათა თავიდან აიცილოს დამანგრეველი ომი და მხარს უჭერს სადამის მიერ ერაყის დატოვებასა და მისთვის უსაფრთხო თავშესაფრის გარანტირებას," – განუცხადა როიტერს საუდების ოჯახთან დაახლოებულმა წყარომ.

სადამისათვის წაყენებულ ულტიმატუმს ვადა წუხელ, თბილისის დროით ღამის ხუთ საათზე გაუვიდა. თუმცა, ამერიკელები აცხადებენ, რომ სადამმა და მისმა ოჯახმა თუნდაც დატოვოს ქვეყანა, ამერიკული ჯარები აკრძალული იარაღის მოსაძებნად იქ მაინც შევლენ.

საუდის არაბეთი მეორე არაბული სახელმწიფოა, გაერთიანებული საემიროების შემდეგ, რომელმაც ჰუსეინს ერაყის დატოვებისაკენ მოუწოდა. თუმცა, საუდები ერაყელ დიქტატორს თავშესაფარს არ სთავაზობენ. საგარეო საქმეთა მინისტრის, საუდ ალ-ფაიზალის თქმით, მისი ქვეყანა უკვე საკმარის ხალხს მასპინძლობს, მათ შორის, უგანდის ყოფილ დიქტატორ იდი ამინსა და პაკისტანის ყოფილ პრეზიდენტს, ნავაზ შარიფს.

გუშინ ღამით ცნობილი გახდა, რომ სადამს თავშესაფარი ბაჰრეინმა შესთავაზა. როგორც მეფე ჰამად ბინ ისა ალ ხალიფამ განაცხადა, იმისათვის, რომ ომი თავიდან აიცილოს, მისი სამეფო მზადაა, ჰუსეინი "მთელი თავისი ღირსების შესაფერისად მიიღოს და უმასპინძლოს".

საუდის არაბეთი მომავალ ომს დიდი შეშფოთებით უყურებს. ამჟამად ერაყს, საუდების სამეფოს მსგავსად, სუნიტი უმცირესობა მართავს. ერ-რიადი შიშობს, რომ ერაყის ხელისუფლებაში შიიტი უმრავლესობის მოსვლა საუდებისათვის ძალზე სახიფათო პრეცედენტი იქნება. საუდებს ერაყის დაშლისაც ეშინიათ, რაც ასევე მათი საზღვრის სიახლოვეს შიიტური ელემენტის გაძლიერებას გამოიწვევს.

ამ მოსაზრებების გამო, საუდის არაბეთი, რომელიც 1991 წლის ომის დროს ერაყის ერთ-ერთ უპირველეს მტრად ითვლებოდა, დღეს არათუ თვითონ არ მონაწილეობს ომში, არამედ ამერიკელებსაც არ აძლევს უფლებას, მის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზები და აეროდრომები გამოიყენოს.

# გუშინ „აბრაამ ლინკოლნმა„ სამხრეთ ერაყი დაბომბა

გუშინ აშშ-ს სამხედრო ავიაციამ ავიამზიდ "აბრაჰამ ლინკოლნიდან" სამხრეთ ერაყის არასაფრენ ზონაში მდებარე სამხედრო პოზიციებზე იერიში მიიტანა. "აბრაჰამ ლინკოლნი", ავიამზიდ "კონსტელეიშენთან" ერთად, ერაყის უშუალო სიხლოვეს, ირანის ნაპირებთან არის დისლოცირებული. საჰაერო დაბომბვა ვიცე-ადმირალის ჯონ კელის განცხადებით, საპასუხო აქციას წარმოადგენდა. ცოტა ხნის წინ, ერაყის არმიის დანაყოფებმა აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებს არასაფრენ ზონაში ცეცხლი გაუხსნეს და მოკავშირეთა თვითმფრინავებს საფრთხე შეუქმნეს. საპასუხოდ კი, ვიცე-ადმირალის ცნობით, რამდენიმე ერაყული "სასარდლო საკონტროლო"ობიექტი დაიბომბა.

ამასთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოკავშირეები ერაყის ტერიტორიაზე უკვე ორი მხრიდან შევიდნენ.

*ჩრდილოეთ ერაყიდან* - არაბული გაზეთის "ალ-ქაბას" კორესპონდენტები თავად შეესწრნენ ერაყის ჩრდილოეთში ქალაქ ჰარირის აეროდრომზე ხუთი ამერიკული ვერტმფრენის დაშვების ფაქტს.

*სამხრეთ ერაყიდან* - ბრიტანული ტელეკომპანია "სკაის" ცნობით, კოალიციური ძალები უკვე ერაყ-ქუვეითის საზღვარზე არსებულ დემილიტარიზებულ ზონაში იმყოფებიან. ამ ქვედანაყოფის უპირველეს ამოცანას პირველ მსხვილ ქალაქზე – ბასრაზე შეტევის დროს სამხრეთში არსებული ნავთობსაბადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ტელეკომპანიის კორესპონდენტის თქმით, ბასრასკენ დაძრული კოალიციის სვლა შესაძლოა, ერაყელებმა ნავთობსაბადოების აფეთქებებით შეაფერხონ.


*ავიამზიდი "აბრაჰამ ლინკოლნი"*

# აშშ „ნებაყოფლობით შექმნილი„ კოალიციის წევრებს ასახელებს

## მათ შორის საქართველო და აზერბაიჯანიც არიან

გაერო-ს უშიშროების საბჭოში არსებული განხეთქილების პასუხად, ბუშის ადმინისტრაციამ იმ 30 სახელმწიფოს სია გამოაქვეყნა, რომლებიც ამერიკის მეთაურობით ერაყის წინააღმდეგ"ნებაყოფლობით შექმნილ" კოალიციაში შედიან.

სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის თქმით, კოალიციაში გაერთიანებულია - 30 სახელმწიფო პლუს შეერთებული შტატები. ამას გარდა, მათ მხარს უჭერს კიდევ 15 ქვეყანა, რომელთაც თავიანთი სახელების გამჟღავნება არ სურთ.

ვაშინგტონი ძალისხმევას არ იშურებს, რათა ანტისაომარი კოალიცია შეასუსტოს. ამ მიზნით, ჯორჯ ბუში სამშაბათს ღამით რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინსაც ესაუბრა. ერაყის საკითხზე არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ორმა ლიდერმა ორმხრივი თანამშრომლობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. პუტინმა პრეზიდენტი ბუში მაისის თვეში მოსკოვში ხელახლა დაპატიჟა.

ბუშსა და პუტინს შორის ომის დაწყებამდე გამართული საუბარი ადასტურებს მრავალი ექსპერტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ერაყის თაობაზე მოსკოვი და ვაშინგტონი აუცილებლად გარიგდებიან. უბრალოდ, კრემლი ვაჭრობს და ამერიკის მხარდაჭერის სანაცვლოდ, რაც შეიძლება, დიდი სარგებლის მიღება სურს.

მართალია, სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ აშშ ომის შემდეგ ერაყის აღდგენაში საფრანგეთის მონაწილეობას მიესალმება, მაგრამ ამერიკის მაღალი თანამდებობის პირები ჟურნალისტებთან პირად საუბრებში აცხადებენ, რომ ადმინისტრაციაში მყოფი კონსერვატორები ამას პრაქტიკულად გამორიცხავენ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ სიაში არ არის ქუვეითი და ყატარი, სადაც ამჟამად ამერიკელთა შეიარაღებული ძალები იმყოფებიან. ამ სიაში არც ამერიკის მეზობლები - კანადა და მექსიკა არ მოხვედრილან.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა, რომ, თითქმის, 30-ვე ქვეყანა "გარკვეული ფორმით მონაწილეობას მიიღებს სამხედრო მოქმედებებში", თუმცა, ნათელი არის, რა როლს შეასრულებენ საქართველო და აზერბაიჯანი. მით უმეტეს გაურკვეველია, კოლუმბიის, ერიტრეის, ეთიოპიისა და ისლანდიის მონაწილეობის საკითხი ამ კამპანიაში.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ უშუალოდ სამხედრო მოქმედებებში მხოლოდ შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია ჩაებმებიან.

ვაშინგტონის მხარდამჭერ კოალიციაში შედიან: ავღანეთი, ალბანეთი, ავსტრალია, აზერბაიჯანი, კოლუმბია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, სალვადორი, ერიტრეა, ესტონეთი, ეთიოპია, საქართველო, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, იაპონია, სამხრეთ კორეა, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ფილიპინები, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და უზბეკეთი. გამთენიისას კოალიციას სამი ქვეყანა შეუერთდა: ბულგარეთი, პორტუგალია და სინგაპური.

# პარლამენტმა სადამს ერთგულება შეჰფიცა

გუშინ ერაყის პარლამენტმა საგანგებო სხდომა გამართა. პარლამენტარებმა პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს სრული თანადგომა და ერთგულება გამოუცხადეს. ისინი მზად არიან, დიქტატორთან ერთად სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლონ. **"ჩვენ სადამისათვის სისხლს გავიღებთ და სულებს გავწირავთ,"** - სკანდირებდნენ ერაყელი დეპუტატები სხდომის დაწყების დროს.

ერაყის პარლამენტის სპიკერმა საადუნ ჰამადიმ კოლეგებს სადამის ერთგულებისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ისინი თავიანთ ლიდერს მხარდამხარ უნდა გაჰყვნენ და ერაყი ამერიკელი დამპყრობლებისგან ერთად უნდა გაწმინდონ.

**"ერაყი არ არის ის ქვეყანა, რომელიც ისე მოიქცევა, როგორც აშშ-ს ადმინისტრაცია იტყვის,"** - განაცხადა მან. **"ჩვენ უარვყოფთ მის ულტიმატუმს და ვაცხადებთ, რომ ყველანი ერთად დავდგებით ჩვენი ლიდერის გვერდით. ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი მიწა. ყველა დამპყრობლის ბედი ერთია – მარცხი და ისტორიის წყევლა,"** - დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

თავისი გამოსვლის დასასრულს მან განაცხადა: **"ერაყის ხალხი, რომელმაც ჩვენ აგვირჩია და პასუხისმგებლობა დაგვაკისრა, დღეს ერთად დგას, როგორც ერთი კრიმინალური აგრესორის - აშშ-ს და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ."**

ზოგიერთმა დეპუტატმა თავის გამოსვლაში გადადგომისაკენ და ქვეყნის დატოვებისკენ თავად აშშ-ს ლიდერს მოუწოდა.


*ერაყის პარლამენტის სხდომაზე*

# მეორე პლანის პოლიტიკოსი „ჩრდილიდან` გამოდის

*სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარგსიანმა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა, რაც სომხეთის პოლიტიკურ დაფაზე დიდი ცვლილებების მაუწყებელია*

რევაზ ბახტაძე

სომხეთის გავლენიანმა თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარგსიანმა ორი დღის წინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაისში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. სარგსიანი პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარქარიანის რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო სიაში მეორე ადგილზეა თავად პრემიერის შემდეგ.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა თავდაცვის მინისტრის ბევრისათვის მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბარი არ მოისურვეს. "თავდაცვის მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა და ბუნებრივია, რომ ის პოლიტიკაში ჩართვას მთლიანად ცდილობს", - აღნიშნა პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ტიგრან ტორისიანმა.

აქამდე სარსგიანი არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ყოფილა. თუმცა, სომხეთში დღემდე ბევრი დარწმუნებული იყო, რომ იგი ერთ-ერთი პროქოჩარიანული პარტიის "ორიანც იერკირის" სპონსორი იყო.

სარგსიანი პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის ყველაზე გავლენიან და ნდობით აღჭურვილ პირად ითვლება. უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქოჩარიანმა თავისი წინასაარჩევნო შტაბის თავმჯდომარეობა სწორედ მას ანდო.

სერჟ სარგსიანი, რობერტ ქოჩარიანის მსგავსად, მთიანი ყარაბაღიდანაა. 1954 წელს სტეპანაკერტში დაბადებულმა სარგსიანმა ტექნიკური განათლება ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. სწორედ მთიანი ყარაბაღის თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელობის დროს დაუახლოვდნენ ქოჩარიანი და სარგსიანი ერთმანეთს. ომის მოგების შემდეგ კი, ფაქტობრივად, ერთად მართავდნენ მთიან ყარაბაღს 1997 წლამდე. ქოჩარიანმა და სარგსიანმა ერთად აიძულეს წინა პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი, რომ 1998 წელს გადამდგარიყო და მართვის სადავეები თავად აიღეს ხელში.

იმის მიუხედავად, რომ სარგსიანს უმაღლესი სახელისუფლო პოსტები ეჭირა ჯერ მთიან ყარაბაღში, ხოლო მოგვიანებით - სომხეთში, იგი ყოველთვის ქოჩარიანის ზურგს უკან იდგა. მას, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკოსს, ჯერჯერობით, თავი არ გამოუჩენია.

სომეხი ექსპერტების აზრით, სერჟ სარგსიანი მეორე პლანის პოლიტიკოსია, მაგრამ ძალიან ძლიერი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა. მათი თქმით, იგი სამართლიანად ითვლება ყველაზე გავლენიან პიროვნებად ქოჩარიანის ადმინისტრაციაში.

სერჟ სარგსიანი არა მარტო შიდასახელმწიფოებრივ საქმეებში, არამედ საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზეც დიდ როლს ასრულებს, განსაკუთრებით, ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით.

სომხეთში სერჟ სარგსიანს საკვანძო თანამდებობები უკავია, და არა მხოლოდ თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. თავდაცვის მინისტრობის და უშიშროების საბჭოს მდივნობის გარდა, იგი რუსეთ-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს თავმჯდომარეობასაც ითავსებს. ეს საბჭო რუსეთის ბაზარზე სომხური საქონლის მხარდაჭერასა და იქიდან ინვესტიციების მოზიდვაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

სარგსიანი საჯარო ტიპის პოლიტიკოსი არ არის. მასთან დაახლოებული ადამიანების თქმით, იგი საქმის კაცია, თავშეკავებული და სიტყვაძუნწი. თუმცა, მას იუმორის გამორჩეული გრძნობა აქვს, რაც რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევაში ხშირად ეხმარება.

ზოგიერთი სომეხი მიმომხილველის აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებისას, სარგსიანის ყოვლისშემძლეობის მითი დაიმსხვრა, რადგან ქოჩარიანმა პირველივე ტურში გამარჯვება ვერ მოახერხა. ამიტომ, ქოჩარიანი ახლა სახელისუფლებო ცვლილებებს ახორციელებს, რათა ერთ დროს პრეზიდენტთან ყველაზე დაახლოებული პირი სომხეთის ყველაზე გავლენიანი სტრუქტურის - თავდაცვის სამინისტროს მმართველობას ჩამოაცილოს.

თუმცა, უფრო მოსალოდნელია, რომ სარგსიანის პარლამენტში წასვლა თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრის შორსმიმავალი პოლიტიკური გეგმებითა და პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარქარიანის გავლენის დაბალანსებით იყოს ნაკარნახევი. პრემიერ-მინისტრის პარტიას ყველაზე დიდი საპარლამენტო ფრაქცია ჰყავს ამჟამინდელ პარლამენტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კი, თითქმის, მთლინად მარქარიანის რესპუბლიკური პარტიის წევრები აკონტროლებენ, რაც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის თავად პრემიერს ძალიან ბევრ ბერკეტს აძლევს.

სომეხი ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სარგსიანმაც იყაროს კენჭი. ჯერჯერობით, მას ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს, რაც სავსებით ლოგიკურიცაა. მანამდე ჯერ დიდი დროა, ქოჩარიანი მეორე ვადით მხოლოდ 5 მარტს აირჩიეს.

"ყოველთვის მეორე პლანის პოლიტიკოსად დარჩენა მისთვის ნაკლებად მიმზიდველი იქნება, თუ გავითვალისწინებთ მის შესაძლებლობებსა და პოლიტიკურ ამბიციებს", - აღნიშნა ცნობილმა სომეხმა ექსპერტმა გევორქ პოღოსიანმა "24 საათთან" საუბრისას.

ახლა, სარგსიანს კარდინალურად მოუწევს თავისი იმიჯის შეცვლა, რადგან აქამდე მას ისეთი საქმეების კეთება უხდებოდა, რაც მოსახლეობაში ნაკლებად პოპულარული იყო. სომხეთში ბევრი დარწმუნებულია, რომ უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს მომხდარი გაყალბებების უმრავლესობა და ქოჩარიანის ხელახლა არჩევა სწორედ სარგსიანის დამსახურებაა. თავდაცვის მინისტრს ქოჩარიანის დამქაშობის ტვირთი აწევს, რომლისგან გასათავისუფლებლად მას ხუთი წელი აქვს დარჩენილი.

# საქართველოს ხელისუფლება და „იტერა„ ვალების ორმხრივ ჩათვლაზე შეთანხმდნენ

საქართველოს ხელისუფლება და კომპანია „იტერას" ხელმძღვანელობა ორმხრივი ვალების ეტაპობრივად დაფარვაზე შეთანხმდნენ.

როგორც კავკას-პრესისთვის გახდა ცნობილი, მხარეები მივიდნენ შეთანხმებამდე მიმდინარე წელს 20 მილიონი ლარის ვალის ორმხრივი ჩათვლის შესახებ, დანარჩენი კი 2004 წლისათვის გადაიდო. ვალის დაფარვის მექანიზმი შემდეგია: მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ბიუჯეტის წინაშე „აზოტის" ვალის დაფარვის ხარჯზე 20 მილიონი ლარით გაიზრდება. ამ ფიქტიური გადარიცხვის სანაცვლოდ კი ბიუჯეტიდან აღნიშნული რაოდენობის თანხა „თბილგაზიდან" „იტერას" გადაერიცხება. ვალის დაფარვის ხარჯზე - გათვალისწინებულია „აზოტისა" და „თბილგაზის" ვალის ორმხრივი ჩათვლა ბიუჯეტის მეშვეობით.

ამ ოპერაციის კანონიერებისათვის აუცილებელია ცვლილებების შეტანა კანონში 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაებ, მაგრამ შესაბამისი შესწორებების შეტანამდე, „იტერასთან" შეთანხმებისამებრ, საქართველოს ფინანსთა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროები უნდა გამოვიდნენ დავალიანების დაფარვის ზემოთ აღნიშნული ვარიანტის შესრულების გარანტებად.

იმ შემთხვევაში, თუ დავით მირცხულავა და მირიან გოგიაშვილი „იტერასთან" შეთანხმებას მოაწერენ ხელს, თბილისში დაუყოვნებლივ ჩამოსვლისათვის მზადაა „იტერას" ვიცე-პრეზიდენტი გენადი სკიდანოვი, რომელიც ხელს მოაწერს შეთანხმებას „აზოტის" ყიდვის შესახებ და საწარმოს რეაბილიტაციისათვის 14 მილიონის ოდენობის პირველ ინვესტიციას ჩადებს. **კავკას-პრესი.**

## მოკლედ

**თბილისი.** მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „საჭიროა კარგად გაანგარიშება, რომელი სამინისტრო იქნება საჭირო ხვალ და ზეგ." ამ შემთხვევაში პრეზიდენტი გულისხმობდა ქონების მართვის სამინისტროს, რომლის შემდგომი სტატუსის ბედი კვლავაც გაურკვეველია. შეგახსენებთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმა, რომელიც სამინისტროების გაუქმებასაც გულისხმობს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი შეუსრულებელი რეკომენდაციაა. **.მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სს „თბილგაზმა" „იტერას" მიმართ არსებული დავალიანების გადახდა დაიწყო. „თბილგაზის" გენარალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განაცხადა, რომ გუშინ „იტერას" გადაურიცხეს დავალიანების 30 პროცენტი და უახლოეს დღეებში, შესაძლოა დღესაც, თანხა მთლიანად იქნას გადახდილი. ამაში კი „თბილგაზს" ტრადიციულად დედაქალაქის მერია დაეხმარება, რომელიც რომელიმე ბანკიდან კრედიტს აიღებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის პარლამენტის სპიკერი არმენ ხაჩატრიანი აცხადებს, რომ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სომხეთის ეკონომიკის განვითარებას დიდ იმპულსს მისცემს. ამის შესახებ ხაჩატრიანმა განაცხადა სომხეთში საქართველოს ელჩთან ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილთან ოთხშაბათს გამართულ შეხვედრაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რეგიონული პოლიციის უფროსი ზაზა ძნელაძე ქუთაისის საკრებულოს წევრის ბონდო შალიკიანის დასჯას მოითხოვს, რომელმაც მისი თქმით, „ადგილობრივ ბიუჯეტს დიდი ოდენობით თანხა დაუმალა". „მიუხედავად იმისა, რომ შალიკიანი საკრებულოს წევრია, მის მიმართ პოზიციების დათმობას არ ვაპირებ და ერთ თეთრსაც არ ვაპატიებ მას" - განაცხადა იმერეთის პოლიციის უფროსმა. **„ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** „დელტას" პრეზიდენტმა გივი ლეკიშვილმა განაცხადა, სს „ისრაელის სამხედრო წარმოების" მარკეტინგის სამსახურის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა მონი პაზმა დღეს 31-ე საავიაციო ქარხანა დაათვალიერა და გაეცნო საქართველოს თავდაცვით მრეწველობას. ერთი დღით ადრე გენერალი სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის ინფორმაციით, ლეგიონის თანამშრომლების მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტზე სააქციო საზოგადოება „იმერეთის ენერგოკომპანიის" მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. „იმერეთის ენერგოკომპანიას" სულ სანქციასაურავების გათვალისწინებით, 89,972 ათასი ლარი დაერიცხება, ხოლო სისხლის სამართლის საქმის მასალები, საგანგებო ლეგიონმა გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.**"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ლონდონის სიტის ლორდ მერი ალდერმან გევინ არტური ქალბატონ მერ ქეროლ ბლექშოსთან ერთად, 22-25 მარტს საქართველოს ეწვევა. მერის ვიზიტი საქართველოში მიზნად ისახავს დიალოგს - ეფექტური ფინანსური მომსახურების სექტორის უპირატესობათა შესახებ. მერი ოფიციალურად გახსნის ბრიტანეთის საბჭოს ახალ შენობას, ხოლო ბლექშო, საზეიმოდ გახსნის „ბრითიშ მედითერენიან ეავეიზის" ოფისს. ლონდონის კორპორაციის (ლონდონის სიტის ადგილობრივი მმართველობა) ხელმძღვანელის, ლორდ მერის საქმიანობა მთელს ბრიტანეთს მოიცავს და ხელს უწყობს ლონდონის სიტის, როგორც მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ფინანსური და საქმიანი ცენტრის მუშაობას. იგი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით მოგზაურობს, რათა სტიმული მისცეს ბრიტანეთის ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით, ლონდონის სიტის ბაზრებსა და მომსახურებას. **პრაიმ-ნიუსი**

## მონიტორინგი

### სახაზინო ვალდებულების განთავსება

თარიღი 19.03.03

| აუქციონის N | 11 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 119 დღე |
| ემისიის ოდენობა | 2,000,000 |
| მოთხოვნა | 2,927,000 |
| დისკონტის პროცენტი | 44.12% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 1,748,481 |
| დასაფარი თანხა | 1,500,000 |
| ბალანსი | 248,481 |

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

მლნ. ლარებში

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 18 მარტი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 252.46 | 141.26 | 56% | 2.51 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 186.38 | 98.28 | 53% | 1.52 |
| საგადასახადო შემოსავლები | 151.98 | 87.98 | 58% | 1.45 |
| სოციალური ფონდი | 53.84 | 36.7 | 68% | 0.77 |
| საგზაო ფონდი | 12.23 | 6.29 | 51% | 0.22 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 75.16 | 43.97 | 59% | 1.93 |

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 14 - 20 მარტის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UKJ | US$ | €uro | Ýen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.6388 | 0.6794 | 0.0054 |
| US$ | 1.5655 | | 1.0635 | 0.0084 |
| €uro | 1.4719 | 0.9402 | | 0.0079 |
| Ýen | 185.88 | 118.79 | 126.28 | |

# "ეი-ი-ეს თელასმა" მაშველი გამოიძახა

### ამერიკულ კომპანიას ქართულ მხარესთან საუბარი უჭირს

მაია ურუშაძე

*როგორც წესი, საქართველოს ხელისუფლება საკუთარი პირობების შესრულებას განუსაზღვრელი დროით აგვიანებს. ამჯერად, „ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისთვის მაშველებს მოსკოვიდან უხმო. კორპორაცია „ეი-ი-ეს"-ის ვიცე-პრეზიდენტი, „ეი-ი-ეს სილკ როუდის" (მოსკოვის ოფისი) მენეჯერი ჯონ ჰეიფეკერი „გულახდილსა და კონსტრუქციულ საუბარს" უწოდებს გუშინ სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან დახურულ კარს მიღმა გამართულ ორსაათიან შეხვედრას, რომლის კომენტირებაც ქართულმა მხარემ არ მოისურვა.*



ჯონ ჰეიფეკერი ირიბარენის დასახმარებლად ჩამოვიდა

„ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ ჯონ ჰეიფეკერს, რომელიც ამჟამად თბილისს სტუმრობს, თავად ირიბარენის მოღვაწეობის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. სამაგიეროდ, ირკვევა, რომ „ეი-ი-ეს" კორპორაცია უკმაყოფილოა საქართველოში შექმნილი საინვესტიციო გარემოთი: კომპანიის ძირითადი პრეტენზიები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითა და ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებით არის გამოწვეული. „ეი-ი-ეს" კორპორაცია ქართულ მხარეს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალის პოვნას სთხოვს.

როგორც ჯორბენაძესთან შეხვედრის შემდეგ თავად ჰეიფეკერმა განაცხადა, საუბრის ძირითადი თემა საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები იყო. **„ჩვენ ვმუშაობთ მთავრობასთან, რომ ეს ვალდებულებები შესრულდეს. მათგან ზოგის შესრულების ვადა უკვე ამოწურულია. ჩვენ კი, ამ ვალდებულებებზე დაყრდნობით, გარკვეული კომერციული გადაწყვეტილებები გვაქვს მიღებული."**

ჰეიფეკერი ამ ვალდებულებებში გულისხმობს, რომ საბითუმო ბაზარმა „ეი-ი-ეს თელასისთვის" კუთვნილი თანხების გადარიცხვა დროულად უნდა მოახერხოს, შედეგად კი, „ეი-ი-ეს"-ი რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტსა და „ეი-ი-ეს მტკვრის" მეცხრე ენერგობლოკის მუშაობას შეუფერხებლად მოახდენს. „ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ ხელისუფლებასთან შეთანხმებული სქემები **„მეტად მდორედ მუშაობს"**.

სხვათა შორის, „ეი-ი-ეს სილკ როუდის" მენეჯერი, ქართულ მხარესთან ერთად, „ეი-ი-ეს ხრამთან" დაკავშირებული საკითხების განხილვასაც აპირებს. **„ჩვენ ცალკე შეხვედრა გვექნება „ეი-ი-ეს ხრამთან" დაკავშირებით,"** – განაცხადა მან, თუმცა არ დაუკონკრეტებია, თუ როდის და ვისთან აპირებს ამ თემაზე საუბარს. როგორც ცნობილია, საქართველოს ქონების მართვის სამინისტროში „ეი-ი-ეს ხრამისთვის" „ხრამი-1"-სა და „ხრამი-2"-ის ჩამორთმევის საკითხის განხილვას, კარგა ხანია, აპირებენ.

ჯონ ჰეიფეკერს ხვალ პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრაც სურს. სავარაუდოდ, პრეზიდენტთან საუბრის თემა იგივე იქნება: „ეი-ი-ეს"-ს საქართველოს მთავრობისგან მხოლოდ ერთი რამ – ტარიფის შემცირებით გამოწვეული ზარალისგან თავის დაზღვევა სურს.

# შევარდნაძემ საბაჟო და საგადასახადო სამსახურების უფროსები დაითხოვა

ედუარდ შევარდნაძემ გუშინ საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეები მთავრობის სხდომიდან დაითხოვა. **„ვთხოვ საბაჟოს და საგადასახადოს, წავიდნენ და საქმეს მიხედონ",** - განაცხადა შევარდნაძემ და დასძინა, რომ საბაჟო დეპარტამენტში შემოსავლების აკრეფის მხრივ ვითარება რთულია და **„მარტო გვარიშვილობა საქმეს არ უშველის"**.

შეგახსენებთ, რომ პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესასრულებლად ამ ორ უწყებას დარჩენილ დროში 90 მილიონ ლარამდე აქვს შესაგროვებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ხელმძღვანელების თანამდებობაზე ყოფნის საკითხი მართლაც სათუო გახდება. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შემდგომი თანამშრომლობის საკითხი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონს ეწვია, სადაც მან შეხვედრა ამ უწყების ხელმძღვანელთან თემურ ძიძიგურთან და ფინანსთა მინისტრთან მირიან გოგიაშვილთან გამართა.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, თუმცა, როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი ვიზიტის აუცილებლობა საგანგებო ლეგიონში კორუფციის მაღალი დონის არსებობამ გამოიწვია.

**„საგანგებო ლეგიონმა უნდა შეძლოს, რომ მან გაცილებით მეტი ბერკეტები აამოქმედოს, რათა მოწესრიგდეს საბაჟო დეპარტამენტის მუშაობა,"** - განაცხადა ჯორბენაძემ.

სახელმწიფო მინისტრმა განსაკუთრებული იმედი „ავღანელთა კავშირის" თავმჯდომარის ნუგზარ კახნიაურის მიმართ გამოთქვა, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინ საგანგებო ლეგიონის უფროსის მოადგილედ დაინიშნა.

რაც შეეხება მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს უწყებაში, ჯორბენაძე ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ **„ძალიან ბევრი რამე შეიცვლება და ახლო მომავალში ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება, ვინც თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს"**.

*„ინტერ-პრესი", „მედია-ნიუსი"*

# ჯავახეთი თბილისიდან არ ჩანს!

### ხელისუფლებამ ახალციხელებს არჩევანი არ დაუტოვა, "ბი-პი"-ს კი მიწების შესყიდვა ეჩქარება

*"ბრიტიშ პეტროლეუმი" მოსახლეობისაგან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტრასის გასწვრივ მდებარე მიწის ნაკვეთებს ყიდულობს. ეს პროცესი, ერთ თვეზე მეტია, რაც დაიწყო. პირველ ეტაპზე მიწის საკომპენსაციო თანხებს ბორჯომის, ახალციხისა და წალკის მოსახლეობა იღებს. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობისათვის მიწების გაყიდვის სანაცვლოდ მიღებული თანხა მოულოდნელი და უალტერნატივო შემოსავალია, რადგან ისინი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ. რაც მთავარია, აქაურებს ძალიან სტკივათ გული, რომ მათ პრობლემებზე ნაკლებად ზრუნავს ქვეყნის ხელისუფლება. მათივე თქმით,* ***"ჯავახეთი თბილისიდან არ ჩანს!"***

სოფო კვინტრაძე

იუსტიციის სამინისტროს სარევიზიო კომისიის, ნოტარიუსთა პალატისა და "ბრითიშ პეტროლეუმის" წარმომადგენლები ბორჯომისა და ახალციხის რაიონების ნოტარიუსებს ადგილზე სიტუაციის გასარკვევად ეწვივნენ. "ბრითიშ პეტროლეუმს" ბორჯომის რაიონში ოთხასამდე მიწის ნაკვეთის შესყიდვა აქვს გადაწყვეტილი, აქედან სამასზე სანოტარო აქტი უკვე გაფორმებულია და, შესაბამისად, მიწის მფლობელებზე კომპენსაციაც გაცემულია. ახალციხის რაიონში კი, ყველაზე მეტი რაოდენობის მიწის ნაკვეთია მოქცეული "ბი-პი"-სთვის ინტერესთა არეში. აქ 824 ნაკვეთზეა საუბარი, საიდანაც 550-ზე უკვე გაფორმდა სანოტარო აქტი. როგორც გაირკვა, მაქსიმალური კომპენსაცია, რომელიც ახალციხეში გაიცა, 115 ათასი ლარია, ხოლო მინიმალური 300 ლარი. მიწის ნაკვეთების ფასი დამოკიდებულია არა მარტო მის ფართობზე, არამედ განაშენიანებაზე. ყველაზე ძვირადღირებული კაკლიანი ნაკვეთები ყოფილა.

"ბრითიშ პეტროლეუმი" სანოტარო აქტების გაფორმების პროცესის დაჩქარებას ცდილობს, როგორც "ბი-თი-სის" მილსადენის კომპანიის იურისტი დავით სახოკია აცხადებს, აპრილში სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს. "24 საათი" კი უკვე წერდა, რომ კომპანია სამშენებლო სამუშაოებს სწორედ ბორჯომის მონაკვეთიდან იწყებს.

ბორჯომისა და ახალციხის ნოტარიუსები აცხადებენ, რომ დოკუმენტაციის გაფორმებისას შემდეგი პრობლემები ჩნდება: ერთი, როცა მიწის ნაკვეთზე ყადაღაა დადებული და მეორე, როცა მესაკუთრე ქვეყნის საზღვრებს გარეთ იმყოფება და მასთან დაკავშირება არ ხერხდება. როგორც იუსტიციის სამინისტროს სარევიზიო კომისიის წევრი, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე აცხადებს, ასეთ დროს ურთიერთობას სამოქალაქო კოდექსის სამეზობლო სამართალი არეგულირებს.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობა, კომპენსაციასთან დაკავშირებით "ბი-პის" შემოთავაზებებს სიხარულით ხვდება. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ახალციხეში ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა. საკომპენსაციო თანხას საბანკო ანგარიშებზე მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ტოვებს. უმრავლესობას თანხა ნაღდ ფულად მიაქვს და უმალ ქალაქში საცხოვრებელ ბინებს ყიდულობს, რომლებიც ბოლო პერიოდში საკმაოდ გაძვირდა. ახალციხის ნოტარიუსის ლიანა მინაძის განცხადებით, არის შემთხვევები, როცა გლეხები მიწის გაყიდვაზე უარს აცხადებენ. **"მათი არგუმენტი ასეთია: "მე ჩემი მიწა უფრო მეტ შემოსავალს მომიტანს ამ სამი წლის მანძილზე, ვიდრე "ბი-პის" მიერ შემოთავაზებული თანხაა,"** – გვითხრა ლიანა მინაძემ. ამასთან დაკავშირებით, "ბი-თი-სის" მილსადენის კომპანიის იურისტი დავით სახოკია აცხადებს, რომ ისინი კვლავ გააგრძელებენ მოლაპარაკებებს ასეთ გლეხებთან, რათა ორივე მხარისათვის სასურველ შედეგამდე მივიდნენ. ამ პროცესში არც საკომპენსაციო თანხის გაზრდა გამოირიცხება.

# ავსტრია სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკურ პარტნიორებს ეძებს

სოფიკო ოხანაშვილი

*ავსტრიისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატების ხელშეწყობით, გუშინ თბილისში ავსტრიის ეკონომიკური მისია გაიხსნა. ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 19 ავსტრიული კომპანიის წარმომადგენლები უცხოური ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებულ, 145 ქართული კომპანიის ხელმძღვანელებს ორი დღის განმავლობაში შეხვდებიან და მომავალი პარტნიორობის ფორმებზეც შეთანხმდებიან. ავსტრიის სავაჭრო პალატის წარმომადგენლის ლევან ნებიერიძის თქმით, კოლეგებთან შეხვედრის განსაკუთრებული სურვილი სამშენებლო სფეროში მოღვაწე ქართულმა კომპანიებმა გამოთქვეს.* ***"გამათბობელი ხელსაწყოების მწარმოებელ ერთ ავსტრიულ კომპანიასთან შეხვედრის სურვილი 32 ქართულმა სამშენებლო კომპანიამ გამოთქვა",*** *- განაცხადა ნებიერიძემ.*



გურამ ახვლედიანს ავსტრიელებთან თანამშრომლობის იმედი აქვს

როგორც ქართული, ასევე ავსტრიული მხარის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ კომპანიები საერთო ენას გამონახავენ და წარმატებულ პარტნიორობასაც შეძლებენ. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარეს გურამ ახვლედიანს, ინვესტიციის მოზიდვის მხრივ, ოპტიმიზმის საფუძველს საქართველოში არსებული რამდენიმე გარემოება აძლევს: **"ეს არის მყარი ეროვნული ვალუტა, ინფლაციის საკმაოდ დაბალი დონე, ლიბერალური სავალუტო რეჟიმი, გამართული და მოქნილი საბანკო სისტემა და ჩვენი გეო-პოლიტიკური მდგომარეობა - ეს ყველაფერი ისეთი ფაქტორებია, რომ არ შეიძლება, ავსტრიის კომპანიები არ დაინტერესოს".**

კომპანიების წარმომადგენლები ინდივიდუალურად შეხვდებიან ერთმანეთს და მომავალ სავაჭრო ურთიერთობებზე მოლაპარაკების პროცესში შეთანხმდებიან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავსტრიელებთან ურთიერთობა, ძირითადად, ორი მიმართულებით წარიმართება. პირველი მიმართულება გულისხმობს ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას დარგებში, რომლებშიც ავსტრიის კომპანიებს ტრადიციული გამოცდილება გააჩნიათ. ავსტრიელები ფართომასშტაბიანი რეგიონული პროექტებითაც ინტერესდებიან. ძირითადად, ეს ეხება ელექტროენერგიისა თუ კომუნიკაციების სფეროს და ტრანსპორტის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნის პროექტებს.

ამგვარი შეხვედრები ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში გაიმართება. ავსტრიელები უკვე შეხვდნენ აზერბაიჯანელ ბიზნესმენებს, თბილისის შემდეგ კი ისინი ერევანში ჩასვლას გეგმავენ. მსგავსი შეხვედრა ერევანში ხვალ გაიმართება.

ახვლედიანმა ავსტრიელ სტუმრებს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გააცნო. მისი ინფორმაციით, 2001-2002 წლებში ავსტრიასა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა 10,4 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტს შეადგენდა. 2001 წელს სალდო 3,3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ავსტრიის სასარგებლოდ დაფიქსირდა. ამავე პერიოდში საქართველოდან ავსტრიაში განხორციელებულმა ექსპორტმა მხოლოდ 450 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ავსტრიის ექსპორტში კი, ლომის წილი ელექტროტექნიკისა და კვების მრეწველობის პროდუქციაზე მოდის.

ავსტრიელ ბიზნესმენებთან შეხვედრა საქართველოში პირველად 1999 წელს შედგა. ნებიერიძის ინფორმაციით, მაშინ სავაჭრო ურთიერთობით, ძირითადად, ისეთი ქართული კომპანიები დაინტერესდნენ, რომლებსაც მზა პროდუქციის „გასაღება" უნდოდათ. მისივე შეფასებით, სასიხარულოა, რომ ახლანდელ შეხვედრაში ქართული სამრეწველო კომპანიები აქტიურობდნენ.

სამართალი

# „ავიაკომპანიის დაპატრონებას მკვლელები ცდილობენ“

თამუნა კაკიტაძე

*გუშინ კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიებით უკმაყოფილო ქართველი სპორტსმენები ხელს პირდაპირ პრეზიდენტის მძახლის – გურამ ახვლედიანისკენ იშვერდნენ...*

*გუშინ ცნობილი გახდა, რომ გამოძიებას, რომელსაც კახი ასათიანის მკვლელობის ვერსიები მისმა მეუღლემ, დაახლოებით, ორი თვის წინ მიაწოდა, ახვლედიანების ოჯახის წევრების დაკითხვა არც უცდია...*

*გუშინ ინტერნეტით გავრცელდა "აირზენასთან" დაპირისპირებული კომპანიის "გერმანიის" მფლობელის ბიშოპის კომენტარი, რომელშიც ის აღიარებს, რომ ახვლედიანთან თანამშრომლობს...*



## "პრეზიდენტი თავისი ოჯახის მძევლად იქცა"

**"დიდი შერლოკ ჰოლმსობა და გამოძიება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ავიაკომპანიის დაპატრონებას მკვლელები ცდილობენ";**

**"რით ვერ გაძღა პრეზიდენტის ოჯახი, ამხელა კაცი გააგორეს და ახლა ქალებს მიადგნენ. ვინ არის, ბოლოსდაბოლოს, ეს ახვლედიანი, რომ ვერ მოევლო";**

ეს სიტყვები გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში კახი ასათიანის მკვლელობის გამოუძიებლობითა და მისი ოჯახის ბიზნესის მავანთა მიერ ხელში ჩაგდების სურვილით აღშფოთებული სპორტსმენების შეხვედრაზე გაისმა.

**"რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, აზოტი, 31-ე ქარხანა, ნავთობი – ყველაფერი ეს პრეზიდენტის ნათესაობის ხელშია. თუ მაგათ მეტი საქართველოში საქმეს ველარავინ გააკეთებს, დავიხუროთ ქუდები და წავიდეთ"**, - ამბობდნენ სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენები და გულშემატკივრები და აღნიშნავდნენ იმას, რომ კახი ასათიანის მეუღლის მიერ პრეზიდენტისათვის, ერთიერთზე შეხვედრისას, ახვლედიანებისა და პატარკაციშვილის "აირზენათი" დაინტერესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიება ოდნავადაც კი არ წასულა წინ.

**"არადა, პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ყველაფერს მიხედავდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ პრეზიდენტს ეს არ შეუძლია, იგი საკუთარი ოჯახის მძევლად იქცა"**, - ითქვა გუშინდელ შეხვედრაზე, სადაც საბოლოოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ ერთი მიმართვა, ფორმალობის დასაცავად, პრეზიდენტის სახელზე მაინც უნდა შეადგინონ. თუმცა, ამ მიმართვაზე უფრო მეტად, იმ მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობისა ეიმედებათ, რომლის შექმნაზეც გუშინვე შეთანხმდნენ და რომელმაც კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიებაზე კონტროლი უნდა დააწესოს.

**"მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე კახის ველაპარაკე და მითხრა, უნამუსოდ მაწვებიან ავიაბიზნესზეო,** - თქვა შეხვედრაზე მყოფმა გოგი თოფაძემ, **- არავისთვისაა საიდუმლო, რომ კახი - სპორტსმენი არავის მოუკლავს, მოკლეს კახი - ბიზნესმენი. კახის სახელი ბიზნესის სამ სფეროს უკავშირდებოდა. ჩაიხედოს გამოძიებამ ღრმად სამივეში და მისი მკვლელობის მსურველის დადგენაც არ გაუჭირდება".**

## სად იხედება გამოძიება

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, სადაც კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიება მიმდინარეობს, მათ ხელთ არსებულ მასალებს მკაცრად ასაიდუმლოებენ და ინფორმაციის გაცემის ვადას ორი-სამი თვით აგრძელებენ. გამოძიების დუმილის გამო, ძნელი სათქმელია, "აირზენას" ირგვლივ განვითარებული არაერთი სკანდალიდან რომელმა ჰპოვა ასახვა საგამოძიებო მასალებში, ან კი, საერთოდ, ჰპოვა კი? ასეთი ეჭვი მას შემდეგ აღგვეძრა, რაც საგამოძიებო ნაწილის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა გამოძიების ინტერესების დასაცავად ყველაზე დაფარულ ინფორმაციად გურამ ახვლედიანის დაკითხვა-არდაკითხვის საკითხი მიიჩნია. ეს საკითხი მართლაც მნიშვნელოვნად შეიძლება იქნას მიჩნეული, ოღონდ არა იმდენად გამოძიების ინტერესებისთვის, არამედ თავად გამოძიების უსუსურობის დასადასტურებლად. მათ, კახი ასათიანის მეუღლისგან ინფორმაციის მიღების შემდეგ, პრეზიდენტის მძახლის დაკითხვის სრული საფუძველი ჰქონდათ, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურას არც გურამ ახვლედიანი, არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი არ დაუკითხავს. "24 საათის" შეკითხვაზე, დაიკითხა თუ არას კახი ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, გურამ ახვლედიანმა განაცხადა: **"ეს სისულელე და აბსურდია. ასეთ შეკითხვას პასუხს ვერ გავცემ".**

**"ის, რაც დედამ პრეზიდენტს მოახსენა, იგივე უთხრა გამოძიებასაც, თუმცა, არა ჩვენების მიცემისას, არამედ - არაოფიციალურად. ეს გახლდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "აირზენას" ხელში ჩაგდება ორ დაჯგუფებას სურდა - პატარკაციშვილისა და ახვლედიანის, და რომ ეს შესაძლოა, უკავშირდებოდეს მამაჩემის მკვლელობას,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მაკა ასათიანმა. მისივე ინფორმაციით, გამოძიებამ მკვლელობასთან დაკავშირებით მხოლოდ პატარკაციშვილი დაკითხა.

## რატომ მაინცდამაინც ახვლედიანი

კახი ასათიანის მკვლელობის პირველი და, ფაქტობრივად, ერთადერთი ვერსია კახი ასათიანის საქმიანობაა. მოგვიანებით, ეს ვერსია კახი ასათიანის ქვრივმა დააკონკრეტა, გამოჩნდა "აირზენას" ხელში ჩაგდებითა თუ მისი ჩაძირვით დაინტერესებული ორი ძალა. დღეს უკვე, ასათიანების ოჯახს ეჭვი ბადრი პატარკაციშვილზე აღარ მიაქვს.

**"ორივე მათგანისგან იყო რაღაც მოძრაობები "აირზენას" ხელში ჩაგდების თვალსაზრისით. თუმცა, მამას სიკვდილის შემდეგ პატარკაციშვილი არენაზე აღარ გამოსულა, რასაც ვერ ვიტყვით ახვლედიანზე, რომელიც, მას შემდეგ, რაც ვერ მოახერხა ჩვენს ბიზნესში შემოსვლა, ყველანაირი გზით ცდილობს ჩვენს ჩაძირვას,** - ამბობს მაკა ასათიანი, - **შესაბამისად, ეჭვები სწორედ მის მიმართ გაგვიძლიერდა."**

ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს ახვლედიანის კატეგორიული უარი ავიაკომპანია "გერმანიასთან" თანამშრომლობის შესახებ. მით უმეტეს, რომ გუშინ გავრცელდა ამ კომპანიის მფლობელის ბიშოპის კომენტარი, რომელშიც ნათქვამია: **"მე ვერ ვხედავ პრობლემას იმაში, რომ ვმეგობრობ და ვთანამშრომლობ ახვლედიანთან."**

აქედან გამომდინარე, ადვილი დასაჯერებელია, რომ პარიზში "აირზენასთან" მოლაპარაკების მაგიდას, "გერმანიის" სახელით, ახვლედიანი ესწრებოდა – არადა, მაკა ასათიანის მიერ გახმაურებულ ამ ინფორმაციას თავად პრეზიდენტის მძახალი კატეგორიულად უარყოფდა.

სხვათა შორის, ბუნებრივად ჩნდება ერთი შეკითხვა: რატომ სხდებოდნენ მოსალაპარაკებლად ქართული და გერმანული ავიაკომპანიები მაინცდამაინც პარიზში – იმიტომ ხომ არა, რომ სწორედ აქ ბინადრობენ ახვლედიანის სიძე, პრეზიდენტის ვაჟი პაატა შევარდნაძე და ქართულ ავიაბიზნესში მეტად გათვითცნობიერებული კრიმინალური ავტორიტეტი ტარიელ ონიანი.

ონიანის მოლაპარაკებებში მონაწილეობას უარყოფს "აირზენას" საზოგადოებრივი ურთიერთობების მენეჯერი თეა გაბაძე. მისი თქმით, **"აირზენას" ონიანისთანა მფარველები რომ ჰყავდეს, ასათიანების ოჯახის ქალბატონებზე თავდასხმას ვერავინ გაბედავდა."**

ამ ორომტრიალში, ერთგვარად, ყურადღების მიღმა დარჩა ბადრი პატარკაციშვილი. არადა, კახი ასათიანის მკვლელობის შემდეგ პირველი ეჭვები სწორედ მასზე გამოითქვა. ამ ეჭვების საფუძველს მისი მხრიდან "აირზენას" აქციებზე მიღებული უარი და მოგვიანებით ახალი ავიაკომპანიის დაფუძნება წარმოადგენდა. დღეს უკვე ცნობილია, რომ კახი ასათიანის მკვლელობის შემდეგ პატარკაციშვილმა ავიაბიზნესი შეაჩერა. ამბობენ, ამ გადაწყვეტილებაში პარიზული კვალიც შეინიშნებაო. ამ ინფორმაციას ვერავინ ადასტურებს, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ ეტაპზე "აეროფლოტის" ყოფილი მესვეური "აირზენასა" და"გერმანიის" დაპირისპირებას მომლოდინეს პოზიციიდან ადევნებდეს თვალს.

# ზოგი „კარიერაზე“ აქედან ოცნებობს



*10 დღეში ავჭალის არასრულწლოვან ბავშვთა კოლონიის მსჯავრდებულებს კომპიუტერებით დაასაჩუქრებენ. მანამდე კი 21 პატარა დამნაშავე ჟანგიანი რკინებისგან წვეტიანი იარაღის დამზადებით "ერთობა". მართალია, საძინებელ ოთახში ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი უდგათ და სპორტული მოედანიც აქვთ, მაგრამ ამბობენ, ღამით საბნის ქვეშ წვეტიანი რკინების დამუშავებას მაინც არ იშლიანო. გუშინ თბილისის საკრებულოს არასრულწლოვანთა კომისიამ კოლონია ფეხბურთის, კალათბურთისა და რაგბის 15 ბურთით მომარაგა, ეკლესიის წარმომადგენელმა საეკლესიო ბუკლეტები დაურიგა.*

ნანა ქადაგიშვილი

ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის დამსახურებით, ავჭალაში გასული წლის მაისში გაიხსნა არასრულწლოვანთა კოლონიის ახალი შენობა. შენობის გარემონტებამდე პატარა მსჯავრდებულები გადაიყვანეს ხობის რაიონში, სადაც იმდენად გაუსაძლისი პირობები დახვდათ, რომ ცენტრის თანამშრომლებმა ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაშინდელ უფროსს, დემურ მიქაძეს სასწრაფოდ ახალი შენობის გამოყოფა სთხოვეს. შენობა ერთ კვირაში გამოძებნეს, რომელშიც იუსტიციის სამინისტრომ 200 ათასი ლარის ღირებულების რემონტი გააკეთა. ახლა კოლონიას დიდი საძინებელი ოთახი, სკოლა, სასადილო დარბაზი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპორტული მოედანიც აქვს. ასეთი საკლასო ოთახები თბილისის ბევრ სკოლას შეშურდება. სასწავლო სახელმძღვანელოები და თვალსაჩინოებებიც აქვთ, 10 პედაგოგი და შესანიშნავი სკოლის დირექტორი ჰყავთ, მაგრამ, რად გინდა - 16-17 წლის ბიჭების დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა და საათის ცნობაც კი არ იცის. გუშინ საკრებულოს წევრებთან ერთად სტუმრად ჩასულმა ტელევიზიის ჟურნალისტებმა ერთ-ერთ მსჯავრდებულს ხელში წიგნი ვერ დააჭერინეს - ტელევიზორში წიგნით ხელში გამოჩენა "გაუტყდა". ეს მოზარდი მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. კოლონიის ხელმძღვანელის, გიორგი ასათიანის თქმით, ძირითადად კონტიგენტს მცირეწლოვანი ქურდბაცაცები წარმოადგენენ. ზოგი "ქურდულ კარიერაზე" აქედანვე ოცნებობს, თუმცა ბევრი იმასაც ამბობს, - ციხეს ერთხელ რომ იგემებ, აქ მეორედ მოსვლას ყველანაირად მოერიდებიო. როგორც ბავშთა უფლებების დაცვის ცენტრის ფსიქოლოგები ამბობენ, კოლონიაში ყველაზე ძნელი ისეთების გამოსწორებაა, ვისაც ციხეში დიდხანს აჩერებენ.

"მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს, ხშირად ციხეში რამდენიმე თვით, ხან კი ერთი წლითაც აჩერებენ. კოლონიაში გადაყვანის შემდეგ მათ უკვე ციხის ჩვევები აქვთ შეთვისებული და მათთან ურთიერთობა ბევრად ძნელია, ვიდრე თავიდანვე კოლონიაში მიყვანილებთან", - ამბობენ ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობენ. ცენტრი კოლონიაში არასრულწლოვან დამნაშავეთა საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. მისი თანამშრომლები წინა მოწვევის საკრებულოს ძალზე ემდურიან (ცენტრს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიისთვის ორი პროექტი წარუდგენია: "არასრულწლოვანი დამნაშავე და განათლება" და "სახელობო განათლება", მაგრამ საკრებულოსგან ერთი თეთრიც არ მიუღია). ცენტრმა, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს წყალობით, პირველი პროგრამის ამოქმედება მაინც მოახერხა, მაგრამ მეორე დაუფინანსებელი დარჩა. არადა, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ამ პროგრამის განხორციელება განათლების პროგრამაზე არანაკლებად სჭირდებათ. კოლონიაში რაიმე სახელოსნო რომ იყოს და ბავშვებმა რაიმე ხელობა მაინც შეისწავლონ, იქნებ ცივი იარაღის საკეთებლად ნაკლებად მოიცალონ. თანაც, კოლონიიდან რომ გავლენ, ერთი სასარგებლო საქმის კეთება მაინც შეეძლებათ.

როგორც კოლონიის პედაგოგები იხსენებენ, საბჭოთა პერიოდში სასჯელმოხდილ არასრულწლოვანს კოლონიიდან ისე არ გაუშვებდნენ, სანამ სამსახურს არ მოუძებნიდნენ. "დღეს იმისი საშუალებაც არ გვაქვს, რომ კოლონიიდან წასული ბავშვი ადგილზე მივიყვანოთ. ბიუჯეტიდან თითო ბავშვზე 12 ლარია გამოყოფილი. ეს თანხა ბავშვის რაიონში გასაგზავნად - ბილეთის ფულად თუ გვყოფნის, მათ დასაქმებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია", - ამბობს გიორგი ასათიანი.

საკრებულოს არასრულწლოვანთა კომისიამ გუშინ კოლონიაში ერთი სასიამოვნო ამბავიც ჩაიტანა - საკრებულომ ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრს 30 ათასი ლარი გამოუყო. ეს თანხა სოციალურ მუშაკთა ჯგუფის შექმნასა და კოლონიიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა დასაქმებას მოხმარდება.



*კოლონიის კონტინგენტი*

# მოწმის ჩვენებაზე პროკურატურა და სასამართლო რეაგირებას არ ახდენს

ხათუნა ჯანგირაშვილი

რატომ არ გამოიყენა გენერალურმა პროკურატურამ კანონი, რომლის მიხედვითაც, მძიმე დანაშაულის დაფარვისა და იარაღის უკანონოდ შენახვისთვის დამნაშავეს სასჯელი ემუქრება?

ეს კითხვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის, გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე განსასჯელის მეგობრის, მოწმე მალხაზ ხვედელიანის სიმამრი, ამირან ადეიშვილი დაიკითხა. მოწმე ადეიშვილმა, საკუთარი სიძისა და განსასჯელის დის მსგავსად, გუშინდელ სასამართლო პროცესზე წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება შეცვალა და მკვლელობის მოტივად სექსუალური ძალადობა დაასახელა. ამირან ადეიშვილმა გუშინ აღიარა, რომ მძიმე დანაშაული – მკვლელობა დამალა და მკვლელობის იარაღი საკუთარ სეიფში შეინახა. როგორც მოსალოდნელი იყო, პროცესზე, რომელზეც გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულს ასამართლებენ, სულ უფრო ბევრი რამ ხდება გაურკვეველ-გაუგებარი. ამირან ადეიშვილის სასამართლო ჩვენებამ მართლაც დაადასტურა, რომ საქმის გამოძიება დარღვევებითა და უკანონოდ არის ჩატარებული. საქმის მასალებისა და განსასჯელის მეგობრის, მალხაზ ხვედელიანის სასამართლო ჩვენების მიხედვით, გამოძიებამ მკვლელობის იარაღი "მშრალ ხიდთან" იპოვა. ადეიშვილმა კი გუშინ განაცხადა, რომ გრიგოლ ხურცილავას იარაღი თავად ჩამოართვა და გადამალა. ისევე, როგორც წინასწარ ძიებაში, სასამართლო პროცესზეც არავის დაუსვამს ადეიშვილისთვის შეკითხვა: რატომ დაარღვია კანონი – და უკანონოდ რატომ შეინახა იარაღი. ადეიშვილმა გუშინ ისიც განაცხადა, რომ მისი სიძე არ მისულა "რუსთავი 2"-ში და, ანგარების მიზნით, ჟურნალისტის მკვლელის ვინაობის დასახელება არ შეუთავაზებია ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისთვის. მოწმის თქმით, ჩანაწერი, რომელზეც მისი სიძეა დაფიქსირებული, ფარული ვიდეოკამერით ოჯახის წევრებმა გადაიღეს და "რუსთავი 2" –ის ხელში საეჭვო გარემოებაში აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, ბრალდების მოწმემ გუშინ სხვები დაადანაშაულა და ის სასამართლოს შენობიდან სპეციალური დაცვის თანხლებით ისე გააპარეს, რომ ჟურნალისტებს მასთან მიახლოებისა და გასაუბრების საშუალებაც არ მისცეს. ადეიშვილთან მიკარება ვერ შეძლეს შენობის გარეთ მყოფებმაც, რომლებიც უკვე ცხრა წელია, ადეიშვილისგან ვალების დაბრუნებას ითხოვენ.

გუშინდელ პროცესზე თითქმის ორი საათის განმავლობაში იკითხებოდა სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნით მოწვეული მოწმე, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, რომელიც მკვლელობის დღიდან სამართალდამცველებს სთხოვდა, დაეკითხათ. **"მე ვთვლი, რომ პროკურატურა ვალდებულია, ყველა ვერსია გამოიძიოს. მოგვიანებით შემპირდნენ კიდეც, რომ კასეტასთან დაკავშირებით, რომელზეც მე მქონდა ინფორმაცია, ცალკე აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ სანაია პოლიტიკური მკვლელობის მსხვერპლია. ხელისუფლებას კი არ სურს, დადგინდეს სიმართლე, მას ხელს აძლევს ის, რაც აქ, ამ პროცესზე ხდება",** – ასეთი განცხადება გააკეთა თევდორაძემ, რომელმაც არც დაადასტურა და არც უარყო სანაიას მკვლელობის კავშირი იმ კასეტის არსებობასთან, რომელზეც მაღალჩინოსანი პოლიციელების ნარკობიზნესთან კავშირზე იყო საუბარი და რომელიც მკვლელობამდე ორი დღით ადრე გადასცა სანაიას.

ელენე თევდორაძისგან განსხვავებით, მკვლელობასთან ვიდეოკასეტის კავშირი კატეგორიულად გამორიცხა, ასევე ბრალდების მხარის მოთხოვნით დაკითხულმა ხიზრი ალდამოვმა და ვიდეოკასეტაზე ჩაწერილი მასალის დეტალებზე ისაუბრა.

"სანამ არ გაირკვევა, რა ინფორმაციას ფლობს ელენე თევდორაძე, როდესაც ის მკვლელობის პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობს, ვითხოვ პროცესის გადადებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი ეკარგება დანარჩენი მოწმეების დაკითხვას", – განსასჯელის ადვოკატის ეს პოზიცია არც პროკურორებმა და არც მოსამართლემ არ გაიზიარეს. მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორების მოთხოვნა სასამართლო პროცესზე დამატებით მოწმეებად იმ ექსპერტების დაკითხვის შესახებ, რომლებიც საქმეში ფიგურირებენ. მომდევნო პროცესზე დაიკითხება, აგრეთვე, უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი, რომელსაც, როგორც ელენე თევდორაძე აცხადებს, თავის დროზე, სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა.

# შს მინისტრის პირველმა მოადგილემ თანამდებობა დატოვა

თამარ კაკიტაძე

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ზურაბ ჩხაიძემ გადადგომის შესახებ სამშაბათს საღამოს განცხადება დაწერა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერჯერობით თანამდებობიდან ოფიციალურად გათავისუფლებული არ არის, ოთხშაბათიდან სამსახურში აღარ გამოცხადებულა.

ჩვენი ინფორმაციით, კახა თარგამაძის მარჯვენა ხელად წოდებულმა გენერალმა ამგვარი გადაწყვეტილება სწორედ ექსმინისტრთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო. თუმცა, რა გახდა იმის მიზეზი, რომ მინისტრის მოადგილემ სავარძელი მაინცდამაინც დღეს დატოვა, ამაზე კონკრეტულად არც თავად ჩხაიძე და არც ექსმინისტრი არაფერს ამბობენ. **"თანამდებობიდან მინისტრთან დაპირისპირების გამო არ წავსულვარ, თუმცა ამ ეტაპზე კომენტარის გაკეთებისგან თავს შევიკავებ",** – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ექსმოადგილემ.

ერთგული მეგობრის მიერ პოლიციის რიგების დატოვება უფრო გლობალურად ახსნა კახა თარგამაძემ, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩხაიძეს სამინისტროდან წასვლა წარსულშიც რამდენჯერმე გადააფიქრებინა. **"ქვეყანა კატასტროფის წინაშეა. კრიმინოგენული მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და აფეთქების პირზეა. ამ სიტუაციაში პრეზიდენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სჭირდება თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც დანგრევის პირას მიიყვანეს. ზურაბ ჩხაიძე ერთადერთი კაცი იყო, ვინც საქმეს აკეთებდა. ალბათ, მასაც მობეზრდა ამდენი დაპირისპირება და დღეს უკვე ველარ გადავაფიქრებინე თანამდებობიდან წასვლა,"** – ამბობს კახა თარგამაძე.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ხშირად საუბრობდნენ მინისტრსა და პირველ მოადგილეს შორის არსებულ უთანხმოებაზე, ჩხაიძის თანამდებობიდან გათავისუფლება დღის წესრიგში არც ერთხელ არ დამდგარა. არადა, კობა ნარჩემაშვილი სამინისტროს რეფორმის მომხრეთაგან საყვედურს, ყველაზე ხშირად, სწორედ ჩხაიძის თანამდებობაზე დატოვების გამო იმსახურებდა.

და მაინც, რა შეიძლება გამხდარიყო პირველი მოადგილის თანამდებობიდან წასვლის მიზეზი?

დაახლოებით, ათი დღის წინ, პრეზიდენტის მიერ ე.წ. კანონიერი ქურდების მისამართით გაკეთებული განცხადების შემდეგ, შს მინისტრმა ხელქვეითებს მარტის ბოლომდე ქვეყანაში "შავი სამყაროს" პრობლემის აღმოფხვრა დაავალა. ამ ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებლობა კი კობა ნარჩემაშვილმა ზურაბ ჩხაიძეს დააკისრა.

**"სამართალდამცავებმა კონკრეტული პასუხისმგებლობა უნდა იტვირთონ, და თუ ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ, ყველას სამსახურის დატოვება მოუწევს",** - აღნიშნა მინისტრმა.

რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის შედეგებით თავი მოიწონეს. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, რატომღაც, "მთავარი გმირი" – ზურაბ ჩხაიძე არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, იგი ჟურნალისტებს კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის დაწყებამდე შეხვდა და საგულისხმო განცხადებაც გააკეთა. **"თანამდებობაზე შეყვარებული პიროვნება არ ვარ. მომავალში, შესაძლოა, მუშაობა საკანონმდებლო ორგანოში გავაგრძელო,"** – თქვა ორი კვირის წინ მინისტრის პირველმა მოადგილემ და მინიშნება "კანონიერ ქურდებთან" ბრძოლაში არსებულ სიძნელეებზე გააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ კობა ნარჩემაშვილს მოადგილის გათავისუფლებაზე გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღია, სამინისტროში საკადრო გადაადგილებაზე უკვე აქტიურად საუბრობენ და პირველი მოადგილის სავარაუდო კანდიდატურასაც ასახელებენ. გავრცელებული ხმებით, ჩხაიძის ადგილს თბილისის პოლიციის უფროსი ლევან მაისურაძე დაიკავებს. დედაქალაქის მთავარი პოლიციელის თანამდებობაზე კი, სავარაუდოდ, ან შსს-ს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი ალეკო ტაბატაძე, ან ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი გოგი ნებიერიძე დაინიშნება. სამინისტროში გადაინაცვლებს მაისურაძის მოადგილე დავით კეკუაც.

ერთი სიტყვით, ზურაბ ჩხაიძემ გადაწყვეტილება მიიღო და, როგორც მისი ახლობლები ამბობენ, პრეზიდენტმა მის გათავისუფლებაზე ხელი რომც არ მოაწეროს, იგი სამინისტროში აღარ დაბრუნდება. თუმცა, მინისტრის ექსმოადგილემ ჩვენთან საუბარში არ გამორიცხა, რომ მომავალში, შესაძლებელია, პოლიციელის მუნდირი კვლავ ჩაიცვას.

ინფორმაცია

## აზერბაიჯანი ერაყთან ერთადაა

საერთაშორისო სამართალდამცავმა ორგანიზაციამ, „ოფენ დორსმა“, რომელიც იკვლევს სხვადასხვა ქვეყნებში სინდისის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებს, ამასწინათ გამოაქვეყნა იმ სახელმწიფოთა სია, სადაც ქრისტიანებს განსაკუთრებით დევნიან. აზერბაიჯანი ამ სიაში „მოწინავეთა“ რიგებში დგას. აღსანიშნავია, რომ სიაში შესულ ქვეყნებს შორის აზერბაიჯანი ერთადერთი ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოა. ამ სიაში მისი „მეზობლები“ არიან: ერაყი, ლიბია, ავღანეთი, ჩრდილოეთ კორეა, იემენი, ეგვიპტე, სომალი, ნიგერია, რაც აზერბაიჯანს, როგორც ევროპის საბჭოს წევრს, ჩირქს სცხებს. **მედია-ნიუსი**

## გლდანის ქუჩებსაც ეშველებათო

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტით გლდანი-ნაძალადევის რაიონში დაზიანებული ქუჩების აღდგენით სამუშაოებს იწყებს. აღნიშნულ რაიონში პირველი ეტაპისათვის წრომისა და დობროლიუბოვის ქუჩებზე, მსოფლიო ბანკის პროექტით, 600-იანი და 1000 დიამეტრიანი სანიაღვრე კოლექტორები გაკეთდება, რის შემდეგაც ქუჩაზე უკვე სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყება. შემდეგ კეთილმოწყობის სამსახური გამოაცხადებს ტენდერს იმის გამოსავლენად, რომელი კომპანიები დაიწყებენ დედაქალაქის სხვა ქუჩებზე აღდგენით სამუშაოებს. წელს მსოფლიო ბანკისა და მერიის თანადაფინანსებით, 28 ქუჩის რეაბილიტაცია იგეგმება. თბილისის ბიუჯეტიდან კეთილმოწყობის სამსახურმა წელს 14 მლნ. 170 ათასი ლარი უნდა მიიღოს, აქედან 4 მილიონამდე ლარი მხოლოდ ქუჩების რეაბილიტაციისათვისაა ნავარაუდევი. **ინტერ-პრესი**

## ინიციატივა ჩიხში შეგვიყვანს?

საქართველოს პრეზიდენტი კვლავ შეაწუხა თბილისის მერიის თავზე მოფრიალე დროშამ.

"არ ვიცი, ვისი საქმეა, რომ თბილისის თავზე ეს დროშა არ ფრიალებდეს. როგორ შეიძლება, დედაქალაქში, მერიის თავზე, შესასვლელთან და გასასვლელთან არ ეკიდოს სახელმწიფო დროშა", - განაცხადა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე შევარდნაძემ. მისივე თქმით, სამწუხაროდ, თბილისის საკრებულოს მსგავსად, ასეთ გადაწყვეტილებებს ხშირად იღებენ სხვა საკრებულოებიც. კარგია, რომ თბილისში ინიციატივას იჩენენ, მაგრამ ზოგიერთმა ინიციატივამ, შესაძლოა, ისეთ ჩიხში შეგვიყვანოს, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელი გახდეს და ქვეყანაში სერიოზული პრობლემები შეიქმნას", - აცხადებს იგი. **მედია-ნიუსი**

## ნიკოლა პუსენის „არკადიელი მწყემსები“


ნიკოლა პუსენი – არკადიელი მწყემსები

1594 წელს საფრანგეთის პატარა ქალაქ ლეზანდელიში დაიბადა **ნიკოლა პუსენი**. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იგი რომში დამკვიდრდა, სადაც ფერწერის ხელოვნებას სრულყოფილად დაეუფლა. მშობლიურ საფრანგეთში იშვიათად ჩადიოდა, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც, მაგალითად 1640 წელს, როცა იგი კარდინალმა **რიშელიემ** გამოიძახა.

აბსოლუტიზმის ეპოქა, რომელიც წინა ისტორიული პერიოდებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ახალდაბადებული ბიუროკრატიის უპიროვნო და უსახური სისტემა უცნაურად შეერწყა სამეფო ძალაუფლების ღვთაებრიობის იდეას, გამოირჩევა უცნაური მითებისა და გამოცანების არსებობით. ერთ-ერთი ასეთი საიდუმლოება უკავშირდება პუსენის სურათს „არკადიელი მწყემსები“.

1656 წელს რომში მხატვარი აბატმა, ვინმე **ლუი ფუკემ** მოინახულა. ამის შემდეგ აბატი წერდა თავის ძმას, ნიკოლას, **ლუი XIV**-ის ფინანსთა მინისტრს: „ბატონ პუსენთან ერთად ჩვენ რაღაც ჩავიფიქრეთ... მეფეებიც კი ვერ დააცდენენ მას სიტყვას ამის შესახებ. მის შემდეგ, შესაძლოა, მსოფლიოში ვერავინ დააბრუნებს ამას. ამავე დროს ეს არ მოითხოვს დიდ ხარჯებს, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი მოგების მოტანა შეუძლია. ამას ახლა ბევრნი ეძებენ და ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, ამის მსგავსი ან უკეთესი ქონება ახლა არავის გააჩნია დედამიწაზე“.

ვერავინ შეძლო ფუკეს ამ სიტყვების ახსნა. სამაგიეროდ, ცოტა ხანში აბატის ძმას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ამ დროიდან მოყოლებული, ისტორიაში მისი კვალი იკარგება. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ სწორედ ყოფილი მინისტრი, უფრო ზუსტად კი სუპერინტენდანტი ნიკოლა ფუკე იყო ბასტილიის ტუსაღი, რომელსაც „რკინის ნიღაბს“ უწოდებენ. ნიკოლა ფუკეს დაპატიმრებიდან ცოტა ხნის შემდეგ ლუი XIV-მ მოითხოვა, რომ პუსენის სურათი ვერსალის სასახლეში განლაგებულ მის პირად აპარტამენტებში დაემალათ...

სურათის წინა პლანზე ვხედავთ სამ მწყემსსა და ნორჩ ქალიშვილს, რომლებიც გარს შემორტყმიან ძველებურ საფლავს, რომელზედაც ლათინური სიტყვებია ამოკვეთილი: et in arcadia ego — **როდესაც მე არკადიაში**. უკანა პლანზე გამოსახულია კლასიცისტური მხატვრობისათვის ტიპიური მითოლოგიური პეიზაჟი. საინტერესოა, რომ 1970 წელს საფრანგეთში აღმოაჩინეს ზუსტად ასეთი საფლავი, რომლის გვერდით იყო კლდის ისეთივე ნატეხი, რომელსაც ფეხით ეყრდნობა ერთ-ერთი მწყემსი, ხოლო საფლავის უკან იგივე პეიზაჟი გადაშლილიყო. რამდენიმე წლის შემდეგ საფლავის ქვა ვიღაცამ შეუბრალებლად დაამსხვრია, თითქოსდა მის ქვეშ რაღაცას ეძებდა...

გარდა ამისა, ცნობისმოყვარეთა ყურადღებას იპყრობს ლათინურ ფრაზაში ზმნის არარსებობა. ლათინური წინადადება აშკარად ნაკლულია და ეს იწვევს ეჭვს, რომ საქმე ანაგრამასთან, ანუ პირველად ფრაზაში ასოების გადაადგილებით მიღებულ სულ სხვა ფრაზასთან გვაქვს. გაშიფვრის ერთ-ერთი ვარიანტია i tego arcana dei — **საღვთო საიდუმლოებას ვფლობ**.

ეს წინადადება ადრეც გვხვდება პუსენის სურათებში. მაგალითად, 1630-35 წლებში, „არკადელ მწყემსებამდე“ ათი წლით ადრე შექმნილ ერთ-ერთ ნამუშევარზე გამოსახულია წყლის წარმართული ღვთაება, თეთრწვერა მოხუცი, რომელიც კლდეში გამოთლილ საფლავის ქვას ეყრდნობა. საფლავს თავისქალის გამოსახულება და იგივე წარწერა ამშვენებს.

შესაძლოა, რომ პუსენი იტალიელი მხატვრის, **ჯოვანი ფრანჩესკო გვერჩინოს** სურათმა შთააგონა. გვერჩინოს სურათზე გამოსახულია ტყიდან გამომავალი ორი მწყემსი. მათ წინ, მდელოზე მოჩანს თეთრი საფლავის ქვა, რომელზედაც მკაფიოდ გაირჩევა იგივე წარწერა. ამ სურათის სიმბოლური მნიშვნელობა უცნობია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ გვერჩინო ეზოტერულ მეცნიერებათა დიდ მცოდნედ ითვლებოდა.

იდუმალებათა ზოგი მოყვარული ფიქრობს, რომ იდუმალი ფრაზა შუა საუკუნეებში კათარების, ანუ ალბიგოელების ერესთან დაკავშირებული ზოგიერთი წარჩინებული გვარის დევიზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ჰიპოთეზები არ მართლდება. როგორიც არ უნდა იყოს ამ სიტყვების წარმოშობა, გვერჩინოსა და პუსენისათვის ეს ალბათ არ ყოფილა უბრალოდ პასტორალური შეფერილობის ლირიკული პოეზია. როგორც ეტყობა, ეს სიტყვები რომელიმე საიდუმლო საზოგადოების პაროლს წარმოადგენდა და ფარავდა რეალობას, რომლის ცოდნაც მხოლოდ განდობილთათვის იყო დასაშვები. სწორედ ამ ეპოქაში შეიმჩნევა მასონურ ლოჟათა ქსელის გაფართოება და ბურჟუათა, ეგრეთ წოდებული მესამე წოდების კავშირის, „ფრონდის“ აქტივობის დასაწყისი.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოში, რომელიც მონარქის საკუთრებად ითვლებოდა, საიდუმლო საზოგადოების დაარსება საშუალო კლასების წარმომადგენლებისათვის აბსოლუტისტური ტირანიის ერთადერთი რეალური ალტერნატივა იყო. მეორე მხრივ, მონარქები ყოველთვის არ სდევნიდნენ ამ საზოგადოებებს, პირიქით, ხშირად ექცეოდნენ მათი გავლენის ქვეშ. ამას ხელს უწყობდა მისტიური ატმოსფერო, რომლითაც საიდუმლო საზოგადოებები მოხერხებულად სარგებლობდნენ თავიანთი მიზნების მისაღწევად.




# აბსოლუტიზმი

### ზოგადი ხასიათი

სიტყვა აბსოლუტური (absolutus) ლათინურად ახსნილს, აშვებულს ნიშნავს. როცა ეს ტერმინი ძალაუფლების მიმართ გამოიყენება, იგულისხმება, რომ ეს ძალაუფლება ყოველგვარი შეზღუდვებისა და ვალდებულებებისგან თავისუფალია. ბუნებრივია, რომ ამგვარი ძალაუფლებით აღჭურვილი ხელისუფლება მხოლოდ მონარქიული შეიძლება იყოს.

ევროპაში აბსოლუტური მონარქიები შუა საუკუნეებში დაწყებული ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა, როცა XVI საუკუნის დასასრულისთვის მეფეებმა ძნელი და მრავალგვაროვანი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, დაიმორჩილეს წარჩინებულთა კლასი და ალაგმეს ფეოდალთა ამბიციები. ჰერცოგის, მარკიზის, ბარონისა და სხვათა ტიტულებმა უკანა პლანზე გადაიწიეს და მთავარი მნიშვნელობა სახელმწიფო თანამდებობებმა დაიკავა. დაბადებით მონიჭებულმა სამეფო ღირსებამ უარი თქვა ასევე დაბადებით მონიჭებული უფლებების უკრიტიკოდ აღიარებაზე და ძლიერი პიროვნებების მიერ გამოვლინებულ პოლიტიკურ უნარს დაეყრდნო. ჰერცოგებსა და სხვა წარჩინებულებს მათზე ამაღლებული ნაკლებად დიდგვაროვანი ადამიანების ატანა მოუხდათ, ხოლო სახელმწიფოში ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ბიუროკრატიის უპიროვნო და ყოვლისშემძლე აპარატი.

ისტორიული პროცესის კონკრეტული თვისებების წყალობით, აბსოლუტისტური სახელმწიფოს ყველაზე მკაფიო მაგალითი შეიძლება დავინახოთ საფრანგეთის მონარქიაში, თუმცა კი გერმანიისა და იტალიის შედარებით წვრილი სახელმწიფო წარმონაქმნები იგივე პრინციპზეა აგებული.

ამრიგად, არაა, სავალდებულო, რომ აბსოლუტისტური სახელმწიფოს სათავეში მეფე იდგეს, ეს შეიძლება იყოს ჰერცოგიც. ქვეყნის შიგნით ამგვარი მთავრის ხელში ყოველგვარი ძალაუფლება იყრის თავს და ამ ძალაუფლების ინსტრუმენტია ბიუროკრატია, რომელსაც, ჩვეულებრივ, გამოცდილი და უნარიანი პოლიტიკოსი ხელმძღვანელობს. ქვეყნის გარეთ, სახელმწიფოს მმართველი უკვე არ აღიარებს სხვა მეფის ან იმპერატორის უზენაეს ავტორიტეტს და არც პაპის უფლებას, ჩაერიოს სახელმწიფოს შინაგან საქმეებში. სავოის ჰერცოგმა, **ემანუელე ფილიბერტომ** 1561 წელს განაცხადა: „ჩვენ, მთავრები, ყოველგვარი კანონისაგან აშვებული და თავისუფალნი ვართ“. ასევე დაიწყო ერთ-ერთი თავისი საჯარო გამოსვლა **ლუდვიგ ბავარიელმა**: „ჩვენ, რომელნიც კანონს მაღლა ვდგავართ...“.

ქვეშევრდომებს (რომლებსაც ჯერ ვერ უწოდებ მოქალაქეებს) თავიანთი უმთავრესი უფლებების დაცვის არანაირი გარანტია არ გააჩნიათ. ნებისმიერი მათგანი შეიძლება დაატუსაღონ მეფის მიერ ხელმოწერილი სტანდარტული განჩინების საფუძველზე, რომელზედაც აწერია: „რადგანაც ასე მნებავს“. ეს უკიდურესი შემთხვევა რომ არ გავითვალისწინოთ, მეფეს ყოველთვის შეუძლია შეაჩეროს ნებისმიერი სოციალური ან სამართლებრივი პროცესი და თავისი ნებისამებრ წარმართოს ის.

ევროპის ისტორიაში პირველად სწორედ აბსოლუტისტურ სახელმწიფოში ჩნდება სამხედრო უნიფორმა, რადგან ქვეყანაში არსებული შეიარაღებული ძალები უკვე მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებიან. თვით სახელმწიფო მიჩნეულია მისი მთავრის კერძო საკუთრებად, რომელსაც იგი ისევე გადასცემს მემკვიდრეებს, როგორ ნებისმიერ უძრავ ქონებას. მემკვიდრის შერჩევაც (თეორიულად მაინც) მთავარს სურვილისამებრ შეუძლია. ამიტომ აბსოლუტიზმის დასაწყისში ხშირია სხვადასხვა დონის კამათი ქვეყნის ტახტის სხვადასხვა პრეტენდენტებს შორის.

სოციალურად, აბსოლუტური მონარქია საზოგადოების უთანასწორო დაყოფას ეყრდნობა. უმრავლესობა მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს, მცირე ჯგუფის ხელში კი თავს იყრის ძირითადი სიმდიდრე და სოციალური პრივილეგიები. წარჩინებულთა კლასი ორ ნაწილადაა დაყოფილი: დაშნის არისტოკრატია (noblesse d'ep e — ძველ ფეოდალთა შთამომავლები) და კაბის არისტოკრატია (noblesse de robe — მონარქის ნებით შერჩეული მაღალი თანამდებობის პირები, ბიუროკრატიის ზედაფენა). საკადრო პოლიტიკისთვის არჩევანის შესაქმნელად იზრდება სამეფო კარში შემავალ პირთა რაოდენობა და მათგან ზოგიერთს ენიჭება წმინდად დეკორატიული უფლებები: მაგალითად, არ მოიხადონ ქუდი მეფის თანდასწრებით და სხვა ამგვარი. გამეფებული მენტალობა წარჩინებულისათვის უღირსად მიიჩნევს არა მარტო ხელით შრომას, არამედ სავაჭრო, კომერციულ მოღვაწეობას, ე. ი., ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

იურიდიულ თავისებურებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მაიორატის წესი და სასჯელთა კლასიფიკაცია დამნაშავის სოციალური წარმოშობის მიხედვით. მაიორატის წესი გულისხმობს იმას, რომ ქონების შენარჩუნებისათვის მკაფიოდ განსაზღვრული იყო მხოლოდ უფროსი ვაჟების მემკვიდრეობითი უფლებები. დანარჩენი შვილების უფლებები გაურკვეველი იყო: მათ ან უფროსი ძმის სახლში დარჩენა შეეძლოთ ყოველი უფლების გარეშე, ან ჩეკის სახით ქონების მცირე ნაწილი ერგებოდათ. ამ გაურკვევლობის გამო ხშირი იყო მემკვიდრეთა შორის სასტიკი დავა. სასჯელის სიმძიმეც ერთი და იმავე დანაშაულისთვის განპირობებული იყო დამნაშავის წოდებით.


ბასტილია – ფრანგული აბსოლუტიზმის ციტადელი

აბსოლუტური მონარქიის ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც იმპერიალიზმი. საფრანგეთი, მაგალითად, ყოველთვის ესწრაფოდა იმ სახელმწიფო საზღვრების შევსებას, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში იყო მიჩნეული ტრადიციულად და ობიექტურად (მათი სუბიექტურობა და ნებისმიერობა მხოლოდ ბოლო დროს გამოჩნდა), ქვეყნის გარეთ კი, ევროპის ფარგლებში, ცდილობდა, ხელში ჩაეგდო პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეგემონია.

აბსოლუტისტური წყობა დროსა და სივრცეში იცვლება. შეიძლება გამოვყოთ მისი სამი სახე: 1. წმინდა აბსოლუტიზმი (**ლუი XIV**): სახელმწიფო მეფის საკუთრებადაა მიჩნეული და მასში არსებული ყველა ინტერესი კმაყოფილდება იმდენად, რამდენადაც მეფის სურვილებს ეთანხმება; 2. განათლებული დესპოტიზმი (XVIII საუკუნე): მეფე ნებისმიერ პოლიტიკურ თავისუფლებას უარყოფს, მაგრამ უფრო მეტად ზრუნავენ თავიანთ ქვეშევრდომებზე — ხშირია რეფორმები და ხაზგასმულია იუსტიციის როლი სახელმწიფო ცხოვრებაში; 3. რესტავრაცია (XIX საუკუნის პირველი ნახევარი): კომპრომისია ძველსა და ახალს შორის: ნარჩუნდება **ნაპოლეონ ბონაპარტის** მიერ შემოღებული ადმინისტრაციული ერთგვაროვნება, მაგრამ ნაწილობრივ აღდგება პრივილეგიების სისტემა.

### ოფიციალური ქრისტიანობა

რაც შეეხება რელიგიას, აბსოლუტიზმის პერიოდში ერთადერთი ფუძემდებლური პრინციპი მეფობს: აუცილებელია შენარჩუნდეს სრული პარალელიზმი პოლიტიკურ-სოციალურსა და სულიერ-რელიგიურ მოწყობას შორის. ამგვარი პრინციპი არასოდეს ყოფილა აშკარად გამოხატული, მაგრამ ყოველთვის მოქმედებდა რეალურად. ეს პარალელიზმი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან გამოყოფილია და დამოუკიდებელი. პირიქით, მათ შორის ზღვარი პრაქტიკულად წაშლილია. მეფე განუსაზღვრელად ერევა ეკლესიის საქმეებში, ხოლო სასულიერო იერარქებს ხშირად ვხვდებით სახელმწიფო თანამდებობებზე. გავიხსენოთ თუნდაც საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრები, კარდინალები **არმან ჟან დიუ პლესი დე რიშელიე** და **ჯულიო მაზარინი**. ამ უკანასკნელის კალამს ეკუთვნის პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოები „პოლიტიკოსთა მოკლე ლოცვანი“.

ამგვარი მდგომარეობა არქიტექტურაზეც კი აისახა. შუა საუკუნეებისაგან განსხვავებით, როცა ტაძარს ქალაქში მთავარი თუ არა, აუცილებლად გამოყოფილი ადგილმდებარეობა ჰქონდა, ახლა უკვე ეკლესიის შენობა მოედნის სივრცეს ტოვებს, ქუჩის საერთო ანსამბლს ერწყმის და მისი გარეგნული სახის რომელიმე საერო შენობისაგან გარჩევა გამოუცდელი თვალისათვის უკვე ძნელია.

ეკლესიას აბსოლუტიზმის თეორიული დასაბუთების პასუხისმგებლობა დაეკისრა, რაც მეფის ძალაუფლების ღვთაებრივად აღიარებაში გამოიხატა. ამ თეორიის მიხედვით მხოლოდ მონარქია შეიძლება იყოს ძალაუფლების კანონიერი ფორმა, ხოლო მონარქთა უფლებები ხელშეუხებელია და მათი განხილვა არ უნდა ექვემდებარებოდეს სარგებლობის პრინციპსაც კი. უფალი იესო ქრისტე მემკვიდრეობის წესის თანახმად ტახტზე ასულ მეფეს ისეთივე დადებითი და დამოუკიდებელი ქმედებით ანიჭებს ძალაუფლებას, როგორც პაპის არჩევისას. ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნე, **ჟან ბოდენი** თავის ნაშრომში "ექვსი წიგნი სახელმწიფოს შესახებ" აღნიშნავს, რომ "მეფე თავის სკიპტრას არ იღებს არც პაპისგან, არც რეიმსის მთავარეპისკოპოსისგან, არც ხალხისგან, არამედ უშუალოდ ღვთისგან". ამის გამო მონარქის პიროვნება უბრალო ხალხის თვალში ზებუნებრივ ხასიათს იძენდა, უკიდურესობამდე განვითარდა შუა საუკუნეებში გავრცელებული ცრურწმენები და მეფეთა ირგვლივ მათთან შეხვედრას მოწადინებული ასობით სნეული იყრიდა თავს, რათა მეფის შეხებით განკურნებულიყო. ზოგიერთი მათგანის თუნდაც შეხების მომენტიდან დიდი ხნის შემდეგ განკურნება სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამგვარი რწმენა განმტკიცებულიყო. თვითონ მონარქები ყველანაირად ცდილობდნენ ამ მდგომარეობის შენარჩუნებას. მაგალითად, სარდინიის მეფე, **კარლოს ბედნიერი** რომელიც 1821-1830 წლებში მეფობდა, საჯაროდ აღიარებდა, რომ ყველა მისი ქმედება ზეგარდმო შთაგონებული იყო. თავისთავად, სამეფო ძალაუფლების თავისუფლება ქვეშევრდომთა წინაშე ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისთავად იმასაც ნიშნავდა, რომ მეფე ყოველგვარი ტრანსცენდენტული კანონისაგან იყო თავისუფალი. ეს ოფიციალური ქრისტიანობის ერთ-ერთი შინაგანი წინააღმდეგობა იყო.

სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური ერთიანობა მათ სარწმუნოებრივ ერთიანობას ემყარებოდა. სრულიად მიუღებელია იდეა, რომ პოლიტიკურად ერთიანი სახელმწიფოს მოსახლეობა შეიძლება რელიგიურად დაყოფილი იყოს. აქედანაა ფრანგული გამოთქმაც: “un roi, un loi, une foi” — “ერთი მეფე, ერთი კანონი, ერთი სარწმუნოება”. ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი ხასიათის კათოლიკე წმინდანიც კი — ფრანჩესკო სალელი —სავოის ჰერცოგს პროტესტანტთა გაძევებას ევედრებოდა, რადგან ვისაც ზეციურ სასუფეველში შესვლა არ სურდა, მიწიერ სამეფოშიც არ შეესვლებოდა.

გაბატონებული რელიგიისაგან განსხვავებული სარწმუნოების მქონეებს წართმეული ჰქონდათ ისედაც მცირე პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები. მათ არ ღებულობდნენ საჯარო სამსახურში, არ ჰქონდათ საცხოვრებლისა და პროფესიის არჩევის, გადაადგილების, საკუთრების თავისუფლება. ყველაზე დიდხანს კათოლიკეთა და არაკათოლიკეთა შორის ამგვარი უთანასწორობა ინგლისსა და ირლანდიაში გაგრძელდა — 1829 წლამდე.

აბსოლუტისტური სახელმწიფო კათოლიკურ რელიგიას ოფიციალურად აღიარებს როგორც ერთადერთ ჭეშმარიტს, ხოლო კათოლიკურ ეკლესიას უზენაეს ეკლესიად მიიჩნევს, თუმცა კი ყოველთვის ცდილობს მის მოთავსებას თავისი მკაცრი კონტროლის ქვეშ. ტახტი და საკურთხეველი მჭიდროდაა ერთმანეთს გადაჯაჭვული. ამის გამო მონარქი იცავს რელიგიას, კრძალავს იმ წიგნების გავრცელებას, რომლებიც ოფიციალური სარწმუნოების შინაარსს ეწინააღმდეგება, სდევნის სხვა რელიგიათა მხრიდან პროზელიტიზმს. რელიგიის წინააღმდეგ დანაშაული არ განიხილება მხოლოდ როგორც რელიგიურ გრძნობათა შეურაცხყოფა, არამედ როგორც სახელმწიფოსათვისა და ერის სულიერი მემკვიდრეობისათვის საშიში ქმედებები. ამის გამო, მაგალითად, მკრეხელობა ისჯება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

ამგვარი მენტალობის განხორციელება შეუძლებელია სამოქალაქო და საეკლესიო კანონმდებლობას შორის ჰარმონიის დამკვიდრების გარეშე. სახელმწიფო აღიარებს კანონიკურ სამართალს და მის ქმედითუნარიანობაში ხელს უწყობს ეკლესიას.

მაგალითად, საყოველთაოდ აღიარებულია ეკლესიის მონოპოლია ქორწინების გაფორმებაზე. სამოქალაქო ქორწინების ცნება არ არსებობს. ამ მდგომარეობამ ევროპაში ლიბერალიზმის დამკვიდრებამდე გაძლო.

სახელმწიფო აღიარებს რელიგიურ აღთქმებს. ზოგ სახელმწიფოში, მაგალითად, ბერად აღკვეცილი პიროვნება სამოქალაქო თვალსაზრისით გარდაცვლილად ითვლებოდა და არავითარი სამოქალაქო უფლება არ ჰქონდა. მოსახლეობას სამოქალაქო წესით ევალებოდა საეკლესიო დღესასწაულთა აღნიშვნა და მარხვის შენახვა. საეკლესიო ღვთისმსახურების საათებში აკრძალული იყო სავაჭროებისა და სახელოსნოების გაღება.

განსაკუთრებით რთული და მრავალფეროვანი იყო კანონმდებლობა, რომელიც წიგნის ბეჭდვას ეხებოდა. XVI საუკუნის დასასრულიდან ამ საკითხებს მთლიანად აკონტროლებს საეკლესიო ცენზურა. ამ ცენზურის გადაწყვეტილებები სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ. მაგრამ, სამაგიეროდ, რომის მხრიდან პროტესტის მიუხედავად, თვით ეპისკოპოსთა ქადაგებებიც კი სახელმწიფო ცენზურას უნდა დაქვემდებარებოდა.

ასეთი იყო ოფიციალური ქრისტიანობის კიდევ ერთი შინაგანი წინააღმდეგობა: საზოგადოების ქრისტიანული სტრუქტურის შენარჩუნება ეკლესიას მისი კუთვნილი თავისუფლების მნიშვნელოვან წილს ართმევდა.

**გაგრძელება იქნება**

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი


კარდინალი რიშელიე


მეფე-მზე. ლუი XIV

ახალი ფასები თბილისის აუდიოდახლებზე B5

მკაცრი სასჯელი უსაქციელობისთვის B4

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა – ამერიკული რაკეტების სამიზნე B7

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ერაყის ომმა ამ ხელისუფლებას სულზე მოუსწრო

მაია ჭალაბანიძე

*რამდენიმე თვის წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია დაგვპირდა, რომ მცირე ხანში პარტია ისეთი გახდებოდა, როგორც გია ჭანტურიას დროს იყო... ამის ნაცვლად ის გაუჩინარდა და მისი მწვავე და ირონიული შეფასებების გარეშე მიმდინარეობს პარლამენტის დისკრედიტება, წინასაარჩევნო ბატალიები, პოპულარული ტელესასამართლო და ერაყის კონფლიქტი...*



ირინა სარიშვილი-ჭანტურია

გიორგი სანაიას მკვლელობა სახელმწიფო გადატრიალებისთვის სჭირდებოდათ.

ყველაფერი საჯაიას კაბინეტში დაიგეგმა. ყველაფერი მისი და მისი გარემოცვის ინიციატივით ხდებოდა.

იმდენად არაპროგნოზირებადია სიტუაცია, რომ დანამდვილებით იმასაც ვერ ვიტყვით - ჩატარდება თუ არა არჩევნები ოქტომბერში.

**- არ ეხმიანებით საკმაოდ არეულ-დარეულ ვითარებას, არადა, შეგვპირდით, რომ ედპ ცოტა ხანში ისეთი იქნებოდა, როგორიც გია ჭანტურიას დროს იყო.**

- არა მგონია, რომ ამ დაპირებას არ შევასრულებ. ამ კონკრეტულ ვითარებაში გაუჩინარების ობიექტური მიზეზები მაქვს - ბავშვი. გარდა ამისა, არა მგონია, რომ ამ წინასაარჩევნო კაკაფონიაში ვინმეს ხმის დამატების საჭიროება იყოს... დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბევრი ისეთი საკითხია, სადაც ერთმნიშვნელოვნად აზრის გამოთქმა მიჭირს. დღეს პოზიციის დაფიქსირება აღარ არის მხოლოდ პოზიციის დაფიქსირება. ეს ვილაცის მხარეზე დადგომას ნიშნავს.

**- ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი იყავით. კარგად ერკვევით საპარლამენტო ბრძოლებში. რას იტყვით, რა ჰქვია იმას, რასაც ვხედავთ?**

- რა თქმა უნდა, ისე, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მეც მინდა, რომ ხელფასი და პენსია გაიზარდოს. ამის მხარდამჭერი აქცია მე და ჟვანიამ ერთად ჩავატარეთ. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მოსახლეობა ამ 115 ლარს ისევე ვერ მიიღებს, როგორც 14 ლარს ვერ იღებდა.

ამ გაუგებრობას, რა თქმა უნდა, სახელისუფლო ძალები უკეთებენ ორგანიზებას, თუმცა, ეს ორივე მხარის მონაწილეობით ხდება. როგორც ჩემთვის ცნობილია, "აღორძინების" ხმები თავისუფალი ეკონომიკური ზონის სანაცვლოდ არის მიღებული. თუ "აღორძინება" არ "გადააგდეს", ძალზე არასწორ საკითხს უაღრესად მნიშვნელოვანი დადებითი ხმა დაემატება. თავისთავად, თეზ-ის პრობლემა მისაღებია, მაგრამ, სანამ ტერიტორიები გვაქვს დასაბრუნებელი, ამაზე საუბარი გაუგებარია.

**- ვინ მართავს მოვლენებს? ერთი შეხედვით, დღევანდელი ვითარება ოპოზიციას უნდა აძლევდეს ხელს.**

- ეჭვი მეპარება, ოპოზიცია ქმნიდეს ამ სურათს. მე მგონი, აქ ორივე მხარე მონაწილეობს, ოღონდ სხვადასხვა მოტივაციით. სახელისუფლებო მხარეს არ უნდა არაფრის დათმობა იმისთვის, რომ პარლამენტი ქმედუნარიანი გახდეს. ოპოზიციაც ხელს არ უშლის ამას. ვერ ვიტყვი, რომ ეს რომელიმე ძალის - ან თემატური უმრავლესობის, ან ოპოზიციის - სასარგებლოდ მოტრიალდეს. უბრალო მოქალაქე ხალხის რჩეულ დეპუტატებს კი არა, სპორტული ჟინით შეპყრობილი ადამიანების ორთაბრძოლას უყურებს. ამ ბრძოლაში მინიმალური ხელფასის გაზრდის საკითხმა მეათე პლანზე გადაიწია. მიმაჩნია, რომ მოსახლეობის თვალში ოპოზიცია ვერაფერს იგებს. არ ვიცი, რამდენად აცნობიერებს ამას ოპოზიცია, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მოგებული მაინც პრეზიდენტი გამოდის.

**- როგორ გამოსავალს იპოვის პრეზიდენტი დღეს, როდესაც იძულებული გახდება, კანონზე ვეტოს უფლება გამოიყენოს?**

- ცოტა კომიკური სიტუაციაა. ვფიქრობ, აზრიც აღარ აქვს ვეტოს დადებას, რადგან ყველასთვის გასაგებია, რომ პრეზიდენტს არ სურს, თავად დაადოს ვეტო. მისი მიზანია, პარლამენტის საშუალებით ეს კანონი კანონპროექტად აქციოს. არ არის გამორიცხული, რომ ვეტოს ამოქმედების თუ არამოქმედების შემთხვევაში, პრეზიდენტმა თავგანწირულის პოზიცია აირჩიოს თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკა-საქართველოს შეთანხმების რატიფიკაცია მოხერხდეს. ის შეიძლება ნებისმიერ ისეთ დათმობაზე წავიდეს, რაც ოპოზიციას აიძულებს, პარლამენტს მუშაობის საშუალება მისცეს.

**- ოპოზიციის გაერთიანება ყოვნდება. კონსულტაციები ისე ინტენსიურად აღარ მიმდინარეობს. "დემოკრატები" და "ნაციონალები" ვერ თანხმდებიან; "ახლები" საერთოდ არ აპირებენ სადმე გაერთიანებას. რა ხდება?**

- გეთანხმებით - კონსულტაციები მინავლდა. თუმცა, ის მაინც მიმდინარეობს. ჩემი აზრით, შიდა ვაჭრობებია დაწყებული. ყოველ შემთხვევაში, იმ პარტიებს შორის, რომელთაც სიებთან დაკავშირებით რაღაც უკვე გადაწყვიტეს. ედპ-ს, ჯერ-ჯერობით, არაფერი გადაუწყვეტია. დაუძლეველი ბარიერები ტრადიციულია - კონკრეტული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა. თუ ოპოზიცია დაუშვებს, რომ მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის მიზნით გაერთიანდეს, ასეთი გაერთიანების გამარჯვებას აზრი არ ექნება. წინის წინა ადგილობრივმა არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ჯამში ოპოზიციამ შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ იმის გამო, რომ დამარცხებული ობიექტი აღარ არსებობს - ოპოზიციაში ბზარი გაჩნდეს და სახელისუფლო ძალებმა პოზიცია შეინარჩუნონ.

**- ცალ-ცალკე ყველა ლიდერი ამბობს, რომ ეს გაერთიანება მნიშვნელოვანი და ისტორიული იქნება. კონკრეტულად, რა არის ის, რაც ხელს უშლის ამ გაერთიანებას?**

- არ ვიცი. განცხადების დონეზე შეიძლება ყველა იყოს გაერთიანების მომხრე, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თუ ვინ როგორ მოიქცევა. ათვლის წერტილად უნდა იქცეს ისეთი გაერთიანება, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში არც გამარჯვებისა და არც დამარცხების შემთხვევაში არ დაიშლება.

არ გამოვრიცხავ იმას, რომ შეუთანხმებლობის მიზეზი სიაში პირველობა იყოს. რაც უფრო მეტი პარტიაა გაერთიანებული ბლოკში, მით უფრო რთულია სიების შედგენა. ყველა პარტიას თავისი მადა აქვს. ერთი ვერსიით, შეიძლება სათავეში ჟვანია იყოს. სააკაშვილი - გამორიცხულია, რადგან, როგორც ვიცი, არ აპირებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და საკრებულოს თავმჯდომარედ სურს დარჩენა. თუმცა, ერთი მეორეს ხელს არ უშლის. არ ვიცი, მერამდენედ შეიძლება გამოიყენონ ნინო ბურჯანაძე ბუფერულ ფიგურად... თუ პრობლემა პირველ ნომრამდე დაიყვანება, შეიძლება ფორმალურად ვიღაც ისეთი (ბურჯანაძე ან სხვა ვინმე) დაისვას პირველ ნომრად, ვინც საფრთხეს არ შეუქმნის გაერთიანებაში შესული არც ერთი ლიდერის პოლიტიკურ კარიერას.

**- ცნობილია, რომ შევარდნაძის გარემოცვა ძალზე აქტიურად მუშაობს ბარიერის 4 პროცენტამდე დაყვანაზე...**

- თუ ეს მოხდა, ოპოზიცია უნდა გამოემშვიდობოს გაერთიანებაზე ოცნებას, რადგან ყველა პარტიის პრეტენზია გაიზრდება და განაცხადებენ, რომ ერთმანეთის გარეშეც მშვენივრად გადალახავენ 4 პროცენტიან ბარიერს. შევარდნაძის სახელისუფლო პარტიები კი გაერთიანების გარეშეც მოახერხებენ ამ ბარიერის გადალახვას.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ არჩევნები გადაიდოს. ერაყის ომმა ამ ხელისუფლებას სულზე მოუსწრო. ამდენი წელია, პოლიტიკაში ვარ და საარჩევნო პერიოდში სახელისუფლო ძალების მხრიდან ამგვარი პასიურობა არ მახსოვს. ოპოზიცია არჩევნების წინ ყოველთვის ხმაურობდა. დღეს კი სახელისუფლო ძალები, დარჩენილი მცირე პერიოდის მიუხედავად, გოდოს მოლოდინში არიან.

**- შიში იმისა, რომ ომის გამო მსოფლიოს მივავიწყდებით და აქ უმართავი ვითარება შეიქმნება, სხვა პოლიტიკოსებსაც აქვთ.**

- თავად განსაჯეთ. 2 კვირის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა ვერ მოახერხა აშშ-სთან იმ შეთანხმების რატიფიცირება, რომელსაც საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე მხრივ, შესაძლებელია, ამერიკელებს სამხედრო ბაზებისთვის დაეთმოს ტერიტორია. თუ ომი დაიწყო, სამხედრო ბაზების აქ არსებობის შემთხვევაში, მშვენივრად შეიძლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ამის წინააღმდეგი, პირველ რიგში, აშშ არ იქნება. თუმცა, იმდენად არაპროგნოზირებადია სიტუაცია, რომ დანამდვილებით იმასაც ვერ ვიტყვით - ჩატარდება თუ არა არჩევნები ოქტომბერში.







**- ბუნდოვანი პროგნოზირების პირობებში, იქნებ მაინც არის მოსალოდნელი რაიმე არაორდინარული გაერთიანება?**

- ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, სააკაშვილისა და ჯორბენაძის გაერთიანებაა. დანარჩენი ყველაფერი მომხდარია.

**- თქვენ ქვეყნის ვიცე-პრემიერიც იყავით და ხელისუფლების არქიტექტურას იცნობთ. რამდენად შეიძლება, დაგვემუქროს საფრთხე ერაყში მიმდინარე ომის გამო? როგორ უნდა ემზადოს საქართველო ამ ომისთვის?**

- ჩვენი სახელმწიფო არათუ ომისთვის არის მზად, არამედ - შიდა კონფლიქტების მოგვარების თავიც არ აქვს. საფრთხე კი ყველა შემთხვევაში გვემუქრება. საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭირეს ამ ომს. მათ ქვეყანაში ბევრი მუსულმანია. ჩემი აზრით, ეს არ იქნება მოკლევადიანი ომი. მაინც მგონია, რომ ულტიმატუმი კიდევ ერთხელ გადაიწევს.

საკმაოდ ცუდი რამე იწყება... არ ვგულისხმობ, რომ ამაში მაინცდამაინც ამერიკა და მისი მოკავშირე ქვეყნები არიან დამნაშავენი. ორივე მხარის ლოგიკა ძლიერია. ტერორისტებთან დათმობის ხარჯზე მშვიდობის ძალით შენარჩუნება მომავალში გაცილებით მეტ მსხვერპლს მოიტანს. ამიტომ, აშშ-ს პრეზიდენტის პოზიცია და ლოგიკა აბსოლუტურად მისაღებია. ასევე - მეორე მხარის ლოგიკით არ არის გარანტია, რომ ეს ომი მალე დასრულდება. ტერორისტები, პრაქტიკულად, ვერ მარცხდებიან...

**- თქვენი აზრიც მაინტერესებს - ვინ მოიგებს ამ ომით - სადამის რეჟიმი თუ მსოფლიო?**

- ალბათ, იგივე შეკითხვა დაისვა ევროპაში, როდესაც ფაშიზმის საფრთხე დაიბადა. ამ შეკითხვის გამო მაშინ ევროპამ ნეიტრალიტეტი ამჯობინა, მაგრამ მერე ლამის ევროპას დავაბრალეთ ნახევარი დედამიწის გაწითლება. ამ ლოგიკით, აშშ-ს პრეზიდენტის პოზიციას სწორი საფუძველი აქვს; მაგრამ თუ შევადარებთ ახლანდელ და მაშინდელ მასშტაბებს, საშიშროება, რომ ეს ომი მთელს მსოფლიოს მოედება, დღეს ბევრად უფრო დიდია. ჩემი აზრით, გარკვეული დროის შემდეგ ამ ომს არ ექნება ტერორისტების წინააღმდეგ ომის სახელი. ეს რელიგიურ ომში გადაიზრდება და შემთხვევით არ არის, რომ სწორედ რელიგიური მოსაზრებებით ამბობენ უარს რიგი ქვეყნები აშშ-სთვის მხარდაჭერაზე.

**- გამოკვეთილი პოლიტიკა ხელისუფლებას არც აფხაზეთის საკითხში ჰქონია. ალბათ, ამიტომაც დუმაში აფხაზეთის რუსეთში ასოცირებულ წევრად გახდომის საკითხი დგება. საქართველოზე ზემოქმედების ხერხები რუსეთს ყოველთვის ჰქონდა...**

- რუსეთს საშუალება ეძლევა, რომ თავისი ჩადენილი ერაყს დააბრალოს. აფხაზეთს რუსეთი ასოცირებულ წევრად ვერ მიიღებს. რუსეთს ამის გაკეთება არ სჭირდება, რადგან მას აფხაზეთთან რეალურად აქვს ამგვარი ურთიერთობა და ამის იურიდიული გაფორმებით შემდგომ თვითონ შეიქმნის სამართლებრივ პრობლემებს. ეს უფრო იმათ შესაშინებლად შემოგდებული მუქარა იყო, ვინც ამერიკა-საქართველოს შეთანხმების რატიფიცირების მომხრეა.

საფრთხე ჩვენ სხვა მხრიდან გვემუქრება. ომის შემთხვევაში ერაყის მხრიდან ამერიკის ან მის მოკავშირეთა წინააღმდეგ მოქმედებები განხორციელდება. უცნობია, რას მოიმოქმედებს ერაყი - დაეჯახება ძლიერს, თუ ჯოხს სუსტზე და პატარაზე გადატეხავს...

**- ეს არც ჩვენმა პრეზიდენტმა იცის?**

- ჩვენმა პრეზიდენტმა ეს ყველაზე უფრო მეტად არ იცის. პრეზიდენტმა პოლიტიკური თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ, მეორეს მხრივ, მას რომ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღო, ეჭვი მეპარება, რომ ჩვენ რუსეთის კოლონიის სახელი დაგვრქმეოდა.

**- ომზე არანაკლები ინტერესის საგანი ფართოდ ტირაჟირებული გიორგი სანაიას მკვლელობის პროცესი გახდა. ეს უპრეცედენტო ფაქტია. იმდენად ბევრი უცნაურობები ხდება, რომ ვფიქრობ, ხელისუფლებას ერჩივნა, ფართო საზოგადოებისთვის არ ეჩვენებინა. დღეს, მაგალითად, ხვედელიანის სიმამრმა სასამართლო დარბაზში ჩვენების მიცემისას სისხლის სამართლის რამდენიმე მუხლის დარღვევა აღიარა თავისი პირით...**

- ეს პროცესი ძალზე უნიჭოდ დადგმული სპექტაკლია. ჯვარი მწერია, იმათ ადგილზე ვიყო, ვინც ეს სიბინძურე დაგეგმა, მაგრამ ბევრად უფრო აჯობებდა, პროცესი დახურული ყოფილიყო. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა - ბრალდებულის ადვოკატი ლამის კბილებით იცავს ვერსიას, რომ მკვლელი სწორედ ბრალდებულია. ეს ისტორიას არ ახსოვს. გამოდიან ადამიანები, რომელთაც ეჭვი შეაქვთ მკვლელობის მოტივაციაში და აქედან გამომდინარე, იმაში, საერთოდ არის თუ არა ხურცილავა მკვლელი. ამას საშინლად აპროტესტებს ხურცილავას ადვოკატი... ხურცილავა შეიძლება იყოს და არც იყოს ამის ჩამდენი. ფაქტია, რომ ეს კაცი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. თუ მისი ადვოკატის ქცევით ვიმსჯელებთ, ხურცილავასთვის ციხე რაღაცისგან დამცველია. ეს არ არის ჩემთვის საინტერესო. პოლიტიკურ მოტივაციაზე საერთოდ არაფერი თქმულა, თუ არ ჩავთვლით ელენე თევდორაძის ჩვენებას, როდესაც რაღაც კასეტაზე ისაუბრა. ვერავინ გაიგო, რა კასეტაა ეს და აქვს თუ არა ვინმეს ნანახი.

ჩვენ ადრეც განვაცხადეთ, რომ სანაიას მკვლელობა, თუნდაც ერთი პოლიტიკური მოტივაციის გამო არ იყო ჩადენილი. საქართველოში, ისევე როგორც უკრაინაში, ეს მკვლელობა სახელმწიფო გადატრიალებისთვის სჭირდებოდათ. ამისთვის შერჩეული იყო ყველასთვის მისაღები კანდიდატურა - ჟურნალისტი, რომელიც მომხიბლავი ადამიანი იყო და ბინძურ თამაშებში გაუხვეველი. სამწუხაროდ, ასეთი კანდიდატურა ძალზე სწორად შეირჩა. ამას დაგეგმილი მღელვარება უნდა მოჰყოლოდა. გიორგის ცხედრის ტაძარში გადასვენების დღეს დაგეგმილი იყო აქციები, რომელიც შემდგომ მთავრობის სასახლის შტურმით უნდა დასრულებულიყო. ოღონდ, რა თქმა უნდა, ამას არა პრეზიდენტის ჩამოგდება და ძირეული ცვლილებები, არამედ, რამდენიმე პოსტის ხელში ჩაგდება მოჰყვებოდა. არ ვიცი, რა მოხდებოდა, რამდენიმე ადამიანს რომ არ დაგვერწმუნებინა პატრიარქი იმაში, რომ გიორგი, დანიშნული დროის ნაცვლად, ღამით ჩუმად გადმოგვესვენებინა ტაძარში... ასევე შეიცვალა პროცესიის მარშრუტი დაკრძალვის დღეს. ეს მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ზღვა ხალხი შემდგომ სხვა მიმართულებით წავიდოდა.

ვწუხვარ, რომ გარდაცვლილ ადამიანზე მიწევს საუბარი, მაგრამ ეს სიმართლეა - ყველაფერი უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივნის ნუგზარ საჯაიას კაბინეტში დაიგეგმა. ყველაფერი მისი და მისი გარემოცვის ინიციატივით ხდებოდა.

ცოტა ხანში ვახტანგ ქუთათელაძის მიერ განხორციელებულ სრულიად იდიოტურ აქციას ვხედავთ - ის თავს ესხმის "რუსთავი 2"-ს. აქაც ხალხის რეაქციაა გათვლილი: ეს არის პოპულარული ტელევიზია და ხალხი ყოველგვარი მოწოდებისა და ორგანიზების გარეშე გამოდის გარეთ. აქცია მთავრობის სასახლესთან ინაცვლებს და ყველამ ვიცით, რითი სრულდება... ამის შემდეგ საჯაია მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას... სანაიას მკვლელობა "რუსთავი 2"-ზე თავდასხმით შეიცვალა.

**- როგორ გგონიათ, რამ ან ვინ შეუშალა ხელი დაგეგმილი სცენარის განხორციელებას?**

- არსებობს რაღაც, რასაც ვერ გათვლი... ჩემი აზრით, ხელი შეუშალა "რუსთავი 2"-ის აბსოლუტურად ფხიზელმა პოზიციამ და მეგობრების პოზიციამ, რომელთაც არავის მისცეს ამ თემით სპეკულირების უფლება.

თუ გახსოვთ, სულ თავიდან შევარდნაძემ აბსოლუტურად სწორი შეფასება მისცა ამ მკვლელობას - ეს არის შორს გამიზნული პოლიტიკური აქტიო - ამის ჩანაწერი არსებობს. რამდენიმე ხნის შემდეგ ის რადიკალურად იცვლის პოზიციას და ბინძურ, საყოფაცხოვრებო თემას ახსენებს.

**- რამ შეაცვლევინა შევარდნაძეს პოზიცია, დამარცხებამ?**

- ეს შევარდნაძის სტილია - ის არასდროს გამოდის დამარცხებულის სტატუსით. ისე ახერხებს, მარცხი მისი დაგეგმილი გამოდის. მან არ იცის, რა არის წაგება... შევარდნაძეს რომ სახლი დაენგრეს და მისთვის ეს მარცხი იყოს, აუცილებლად გამოვა მეორე დღეს და ისეთ სურათს შექმნის, რომ სახლი თავად დაანგრია...

**- რაიმე ხომ არ გსმენიათ ჯორბენაძის მიერ პოსტის დატოვების თაობაზე გავრცელებული ხმების გარშემო?**

- გამორიცხული არ არის. ჯორბენაძე პიროვნულად ძალიან მიყვარს და ის ჩემი მეგობარია, მაგრამ ის ამ ქვეყანაზე არ არის, იმდენად შორსაა რეალობისგან მისი შეფასებები. არ მესმის, რანაირად შეიძლება იყოს ეს მკვდარი პარტია პრეზიდენტის დასაყრდენი...

**- სხვათა შორის, ჯორბენაძის კარგ პიროვნულ თვისებებს ბევრი აღნიშნავს. სამწუხაროდ, ამ დადებითი მომენტის მიუხედავად, მან მისი მისამართით ანტიპათიის დანერგვა მოახერხა. როგორ?**

- ავთო ჯორბენაძე არ არის ის ადამიანი, ვინც შევარდნაძეს რაიმეზე ეტყვის უარს. მეორეს მხრივ - ცოტა ძნელი წარმოსადგენია ჩემთვის, რომ ჯორბენაძე ოდესმე აქტიური პოლიტიკური ბრძოლისთვის იყოს განწყობილი. ის არ არის ამ კატეგორიის ადამიანი. მისთვის პარტიის ლიდერობა იმხელა ტვირთია, რაც შეიძლება ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტსაც არ ჰქონდეს. შევარდნაძემ ის მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მან აქტიურად დაიწყო მოღვაწეობა და, თითქოს, შევარდნაძემაც შეაგულიანა ამისთვის. შთაბეჭდილება მრჩება, რომ მერე შევარდნაძემ ის შეაჩერა. ჯორბენაძემ იმ დაწყებული ბრძოლით ხალხი გადაიკიდა და შუა გზაზე გაჩერდა.

**- ერაყის ომის პირობებში, არჩევნებამდე რა შეიძლება მოხდეს საქართველოში?**

- გაოგნებული ვარ, ისეთი რადიკალი პოლიტიკოსები მოგვიწოდებენ სიმშვიდისა და სტაბილურობისკენ. თუ ეს განცხადებები გულწრფელია, მაშინ კიდევ არა უშავს. შეიძლება, ეს იმიტომ ხდება, რომ ვინც ყვირის, შემდეგ ის ყველაზე ნაკლებ ეჭვმიტანილი გამოდგეს... დღეს ისიც არ არის ცნობილი, რა ძალას დაეყრდნობა შევარდნაძე. არ გამოვრიცხავ, რომ "მოქკავშირი" პირში ჩალაგამოვლებული დარჩეს.

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# ახალი ფასები თბილისის აუდიოდახლებზე

## საქართველოში მეკობრეობასთან ბრძოლა ჯერჯერობით მხოლოდ მომატებული ფასებით დაიწყო

ვერა ნეფარიძე

სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ემინემმა აუდიო-მეკობრეებისგან თავის დაზღვევის მიზნით, განსაკუთრებული სისტემის კომპაქტდისკზე გამოსცა თავისი ბოლო ალბომი, აღმოსავლეთ ევროპაში გაყიდვაში გამოვიდა ამ ალბომის არალეგალური ასლები. ეს არის მეკობრეობასთან ბრძოლის უსუსურობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი, მათ შორის, რაც უკანასკნელ თვეებში განიცადეს ინტელექტუალური საკუთრებისა და უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა თუ კერძო პირებმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო უძლურია აუდიო-ვიდეო და ციფრული პროდუქციის მეკობრული გზით დამამზადებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ბრძოლაში გასამარჯვებლად, ამერიკულმა მედიამაგნატებმა გაერთიანებაც გადაწყვიტეს. გასულ კვირას აშშ-ს მსხვილმა მედიაკომპანიებმა: AOL Time Warner-მა, Sony-მ და Viacom-მა კოალიცია ჩამოაყალიბეს. ახლადშექმნილი ასოციაცია აპირებს აიძულოს აშშ-ს ხელისუფლება უფრო ეფექტურად იბრძოლოს ამ სფეროში, რადგანაც მეტის მოთმენა, მართლა, აღარ შეუძლიათ. ექსპერტების გამოთვლებით, აუდიო-ვიდეო პროდუქციის არალეგალური დამზადება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი და ბრაზილია, მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ კომპანიებს წელიწადში 7 მილიარდი დოლარით აზარალებს. "ინტელექტუალურ პროდუქციაზე საკუთრების უფლებების დაცვა ჩვენი ძირითადი ამოცანაა. აუცილებელია გაცილებით მკაცრი ზომები, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებიდან უნდა მოდიოდეს", - ამბობენ კოალიციის წევრი კომპანიების წარმომადგენლები.

ადგილობრივი ხელისუფლების სრულ უმოქმედობას ბრალდება ქართულ აუდიოვიდეო ბაზარზე არსებული სრული ქაოსი. ამ მხრივ, ჩვენთან საგანგებო ვითარებაა, რაც დეკემბერში თბილისში მივლინებაში მყოფმა ლონდონელმა ექსპერტებმაც დაადასტურეს. წლის ბოლოს გაკეთებული ინგლისელი სპეციალისტების დასკვნა ასეთია: ქართულ მუსიკალურ ბაზარზე არსებული აუდიოპროდუქციის 98 პროცენტი აბსოლუტურად არალეგალურია. ქართველი ექსპერტი გერა ლუარსაბიშვილი კი ამბობს, რომ უცხოელებმა ორი პროცენტი, უბრალოდ, გვაჩუქეს, თორემ თავად დარწმუნდნენ, რომ იმ დროისათვის ბაზარი მთლიანად გავსებული იყო კონტრაფაქციული პროდუქციით.

გერა ლუარსაბიშვილი საქართველოში ერთადერთი ექსპერტია, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია IFPI-ს ინტერესებს ატარებს. IFPI მსოფლიოს 1600 კომპანიას (მათ შორისაა ყველასათვის ცნობილი: Sony, Universal თუ BMG) აერთიანებს და მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყანაში მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლას (ორგანიზაციის სათავო ოფისი ლონდონში მდებარეობს). ამ ორგანიზაციას საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავს რუსეთსა და დსთ-ში. გერა ლუარსაბიშვილი კი ამ წარმომადგენლობის ერთადერთი წარმომადგენელი ფიზიკური პირია, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან ქართულ ბაზარზე არსებული სიტუაციის კონტროლი ევალება. მისი თქმით, ამ სფეროს გაკონტროლება საქართველოში ძალიან მძიმე საქმეა, რადგანაც არ არსებობს სადამსჯელო ზომები. უფრო სწორად, ერთის მხრივ, სამართალდამცავი ორგანოები თავს იმით იმართლებენ, რომ უკანონოდ გამავრცელებელთა საქმიანობის შეჩერება მათ მუშაობაში არ ეთვლებათ (როგორც ამას გერა ლუარსაბიშვილი ამბობს); მეორეს მხრივ, გარკვეული ხარვეზია დაშვებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, სადაც კანონდარღვევად მიჩნეულია არალეგალურად მწარმოებელი და არაფერია ნათქვამი გამავრცელებელზე, ან შემდგი გავრცელების მიზნით კონტრაფუქციული პროდუქციის შენახვაზე.

ექსპერტების თქმით, ასეთი მდგომარეობა აუდიო-ვიდეო ბაზარზე საქართველოში 2002 წლის ბოლომდე არსებობდა. ხოლო, ის რომ ამ ბიზნესიდან ამონაგებ თანხას ნარკობიზნესიდან და იარაღის ვაჭრობიდან შემოსულ მოგებას უტოლებენ, არავისთვისაა უცხო. იგივე სპეციალისტების თქმით, დღემდე საქართველოში მხოლოდ არალიცენზირებული აუდიოჩანაწერები ვრცელდებოდა. ანუ, ყველა იმ ფირმასა თუ კერძო პირს, ვისაც საქართველოში შემოჰქონდა პროდუქცია, არ ჰქონდა ხელშეკრულება, რომელიც მათ ოფიციალურ გამავრცელებლებად აღიარებდა. გასული წლის ბოლოს, უფრო ზუსტად კი შემოდგომაზე, გამოჩნდა ერთ-ერთი (და დღესდღეობით ერთადერთი) ფირმა, ამ შემთხვევაში შპს "მაქსი", რომელიც ადგილობრივ ბაზარს ლიცენზირებული აუდიოპროდუქციით ამარაგებს. სხვათა შორის, როგორც გავიგეთ, "მაქსი" (ოღონდ, მაშინ ამ ფირმას "ეკოს" სახელით იცნობდნენ), ერთ დროს უამრავი სხვა არალეგალური ფირმების მსგავსად, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში,



"მეკობრული" კოლექცია

მეკობრული გზით აწარმოებდა აუდიო-პროდუქციას. ამჟამად, "მაქსის" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება რუსეთში EMI-ს ოფიციალურ წარმომადგენელთან SPA music publishing-თან, Universal music-თან და Warner music-თან. ასევე, არის "მიუზიკ ტრეიდის" ლიცენზიარი და ექსკლუზიური დისტრიბიუტორი. როგორც "მაქსის" ხელმძღვანელმა მიშა ჟაკობოვმა გვითხრა, ამ ფირმების წარმომადგენლობასთან გაფორმებული ხელშეკრულებების ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო, "მაქსის" საკუთარ თავზე აელო ვალდებულება, დაიცვას აღნიშნული ფირმების ინტერესები საქართველოში და კანონიერი გზით იბრძოლოს მეკობრეების წინააღმდეგ.

ამჟამად "მაქსი" თბილისში ლიცენზირებული აუდიოპროდუქციით რამდენიმე მუსიკალურ მაღაზიას ამარაგებს, რაც ნიშნავს, რომ ამ მაღაზიებში დისკებსა თუ მაგნიტოკასეტებს მომხმარებლისთვის უჩვეულო, მომატებულ ფასში ყიდის. "რასაკვირველია, ლიცენზირებული პროდუქციის ფასი "მეკობრულზე" მეტი იქნება, მაგრამ მათ შორის არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი განსხვავება. ვგულისხმობ იმას, რომ როდესაც "სონი" ლიცენზიას ყიდის, ის ითვალისწინებს იმ ქვეყნის მასშტაბებს, სადაც უნდა გაიყიდოს ეს პროდუქცია", - ამბობს "საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, საქ. პატენტის" იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი თაქთაქიშვილი.

შპს "მაქსი" ყველაზე იაფად, 11 ლარად აბარებს ლიცენზირებულ კომპაქტ-დისკს ადგილობრივ მაღაზიებს. "ჩვენ ამჟამად მხოლოდ იაფფასიან კომპაქტ-დისკებს ვყიდულობთ. ჯერ ვერ შემოგვაქვს EMI-ს პროდუქცია, რადგან თბილისში ჩამოტანის შემთხვევაში, მათი ფასი 40 ლარზე ნაკლები ვერ იქნება. ასეთი ფასები კი ჩვენს პირობებში ჯერჯერობით არარეალურია", - ამბობს "მაქსის" ხელმძღვანელი მიშა ჟაკობოვი. ასეთ ფონზე, მუსიკალური მაღაზიების მფლობელები წარმატებით აგრძელებენ მეკობრული გზით დამზადებული და უცხოეთიდან საქართველოში შემოტანილი აუდიოპროდუქციით ვაჭრობას. იმის მიუხედავად, რომ ამ მაღაზიებს "მაქსი" ავალდებულებს შეწყვიტონ არალეგალური ბიზნესი, სიტუაცია არ იცვლება. თავის მხრივ, თავს იმართლებენ ამ მაღაზიების მფლობელები და ამბობენ, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ასეთ ფუფუნებას ვერ აძლევს მოსახლეობას, მოიხმაროს ძვირადღირებული, თუმცა ლეგალური პროდუქცია. რაც შეეხება სადამსჯელო ზომებს, "მაქსი"-ის ხელმძღვანელი ამბობს, რომ თუკი ამ ბიზნესმენთა ურჩობა გაგრძელდება, მათი ფირმა შეწყვეტს კონტრაქტს ასეთ მაღაზიებთან. ხოლო, შესაბამისი კონტრაქტის გარეშე ამ მაღაზიების ბიზნესი არალეგალურად ჩაითვლება და კანონიერად გაუქმდება. "ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა გვითხრა, რომ არ შევწყვეტთ პირატული დისკებითა და კასეტებით ვაჭრობას, რადგან ამის უფლება პოლიციამ მოგვცაო", - ამბობს გერა ლუარსაბიშვილი. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ძირითადი სამუშაო სახელმწიფო სტრუქტურებს აქვთ გასატარებელი. სახელმწიფო კი ამ კამპანიაში უნდა ჩაერთოს იმდენად, რამდენადაც ამას სხვადასხვა სავაჭრო და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა ავალდებულებს.

### ქართველი კომპოზიტორი ამერიკის ბიოგრაფიული საზოგადოების დიდების დარბაზში ჩარიცხეს

სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და სანკტ-პეტერბურგის პროკოფიევის სახელობის კომპოზიტორთა სართაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი, ამერიკის შეერთებული შტატების "წლის ადამიანი – 81"-ის წოდების მფლობელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ფელიქს ღლონტი ABI-ის დიდების დარბაზის წევრი გახდა. ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის-ABI-ის პრეზიდენტის ჯეიმს ევანსისაგან გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ "ამერიკის ბიოგრაფიული საზოგადოების დიდების დარბაზში ჩარიცხვა უდიდესი პატივია მათთვის, ვინც თანემდროვეთა მიღწევებზე აღმატებული შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა". ამერიკის ბიოგრაფიული საზოგადოების დიდების დარბაზის წევრობა მუდმივია და არჩეულთა მიღწევები შეტანილი იქნება გამოჩენილ პიროვნებათა საერთაშორისო ცნობარის ყველა მომავალ გამოცემაში. **კავკას-პრესი**

### გია ყანჩელის შემოქმედებითი საღამო

კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი, რომელიც ერთ კვირაში ავსტრიაში მიემგზავრება, თბილისში დაბრუნებისთანავე გია ყანჩელის შემოქმედებითი საღამოსთვის დაიწყებს მზადებას. როგორც მემანიშვილმა განაცხადა, გია ყანჩელის შემოქმედებითი საღამოს იდეა მასთან ერთად რეჟისორ დათო დოიაშვილს ეკუთვნის. დოიაშვილი საღამოს ვიზუალურ მხარეზე იზრუნებს.

შემოქმედებით საღამოზე მომღერალი ნატო მეტონიძე გია ყანჩელის კინო-მუსიკის მიხედვით შექმნილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ კომპოზიციებს შეასრულებს. ამ მუსიკალური კომპოზიციების ინტერპრეტირების ავტორი თავად ნიკა მემანიშვილია. კონცერტზე ნაჩვენები იქნება ფრაგმენტები იმ მხატვრული ფილმებიდან, რომელთა მუსიკა გია ყანჩელმა დაწერა. კონცერტზევე გაიმართება კომპაქტ-დისკის პრეზენტაციაც. გია ყანჩელის შემოქმედებითი საღამო ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მარტის ბოლოს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

### თბილისში ქართულ-ებრაული სახლი გაიხსნება

უახლოეს ხანებში თბილისში ქართულ-ებრაული სახლი გაიხსნება. ამ იდეის ინიციატორი აშშ-ის ებრაელთა მსოფლიო ორგანიზაცია "ჯოინთია", რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს საქართველოში. როგორც გუშინ "ჯოინთის" კურატორმა საქართველოში ნეირ ზიზოვმა განაცხადა, ქართულ-ებრაული სახლის გახსნის უმთავრესი მიზანი თბილისში მოქმედი ებრაული ორგანიზაციების გაერთიანებაა. "ჩვენ გვსურს, ქართველმა ებრაელებმა კოორდინირებულად და შეთანხმებულად იმოქმედონ," - აღნიშნა მან. ქართულ-ებრაული სახლისათვის "ჯოინთმა" ავლაბარში ხუთსართულიანი შენობა შეიძინა, რისთვისაც 550 ათასი დოლარი გამოჰყო. ამჟამად იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ზიზოვის თქმით, რემონტი მალე დასრულდება და საბოლოოდ გაირკვევა, თუ რომელი ორგანიზაცია რომელ სართულზე განთავსდება და ვინ რა მისიას იკისრებს. **ინტერ-პრესი**

## კალენდარი

## 20 მარტი



სვიატოსლავ რიხტერის ჯილდოების სია უსასრულოდ გრძელია: მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი (1945 წ.), ლენინის პრემიის ლაურეატი (1961 წ.), რუსეთის ფედერაციის პრემიის ლაურეატი (1987 წ.), სსრკ-ს სახალხო არტისტი (1961 წ.), სტრასბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1977 წ.)... მაგრამ მისი ღვაწლის შეფასება მხოლოდ ერთი სიტყვითაც შეიძლება: სვიატოსლავ რიხტერი გენიალური პიანისტი იყო.

"მე ჟიტომირში დავიბადე. მამაჩემი წმინდა წყლის გერმანელი იყო. ის ვენაში სწავლობდა, ფრანც შეიკერთან ერთად უჯდა მერხს, პიანისტი იყო და კომპოზიტორი. მამამ ვენაში 22 წელი იცხოვრა. დედაჩემი რუსია, მოსკალევა, მამამისი მემამულე იყო, და როცა მამა ზაფხულში ჟიტომირში ჩავიდა, დედა მისი მოსწავლე გახდა. მამა ძალიან ნიჭიერი პიანისტი იყო. ვენაში კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ის ჟიტომირში ჩავიდა, ცოლი ითხოვა, და მერე ოდესის კონსერვატორიაში ადგილი შესთავაზეს. მე მაშინ ტიფი შემეყარა და ოდესაში ვერ წამიყვანეს, დედა კი მამასთან გაემგზავრა. მე ჟიტომირში დავრჩი, დეიდა მერისთან და დედას მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შევხვდი. დედაჩემი ბრწყინვალე ქალბატონი იყო, ძალიან დახვეწილი, მეტისმეტადაც კი, და მას შემდეგ აღარ მიყვარს ბრწყინვალე საზოგადოება...

დაკვრა 8-9 წლისამ დავიწყე. გამები არასოდეს დამიკრავს, არასოდეს, მაშინათვე შოპენის პირველ ნოქტიურნს მივადექი... მამას გული გაუსკდა, დედა კი ამბობდა: მიუშვი, ისე იმეცადინოს, როგორც უნდა, და მეც ყველაფერს ვუკრავდი, რაც მინდოდა..."

მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია რიხტერმა 1943 წელს დაამთავრა – მისი პედაგოგი ნეიჰაუზი იყო. მუშაობა კი ბევრად ადრე, 15 წლისამ დაიწყო, ოდესაში, კონცერტმეისტერად. 1940 წლიდან კონცერტებს ატარებდა – საბჭოთა კავშირში, ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში, ჩინეთში. მისი რეპერტუარი უსაზღვროდ მრავალფეროვანი იყო: საფორტეპიანო კონცერტებთან ერთად ცნობილ ინსტრუმენტალისტებთან (კოგანთან, ბაშმეტთან, ოისტრახთან, როსტროპოვიჩთან) და მომღერლებთან (დორლიაკთან, ფიშერ-დისკაუსთან) ერთად ანსამბლებში გამოდიოდა, მსოფლიოს უდიდეს ორკესტრებთან და დიდ დირიჟორებთან – კარაიანთან, მიუნშთან, ორმანდისთან ერთად მუშაობდა.

1989 წელს რიხტერს ციურიხში გულის ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც ის მრავალი წელი პარიზში ცხოვრობდა და სამშობლოში, რუსეთში, გარდაცვალებამდე მხოლოდ ერთი თვით ადრე, 1997 წლის ზაფხულში დაბრუნდა.

დიდი პიანისტი, **სვიატოსლავ რიხტერი**, დაიბადა 1915 წლის 20 მარტს.

# კულტურათა დიალოგის ენა

## ევროპის გულის ლიტერატურა თბილისში

ნათია ვადაჭკორია

ევროპისთვის და საერთოდ მთელი მსოფლიოსთვის ტონის მიმცემი და რაიმე სიახლის შემომტანი საფრანგეთი, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე თავისი ენითაც ამაყობს, რომელიც ევროპის სამეფო კარის, ელჩების, იარაღის, კანონების და ხელოვნების ენაა.

1986 წელს საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის ინიციატივით პირველად შეიკრიბა იმ ქვეყნების მეთაურთა სამიტი, რომლებსაც ფრანგული ენა აერთიანებდათ. დღეისათვის ფრანკოფონთა საზოგადოება 51 ქვეყანას მოიცავს. მათ არ აერთიანებთ არც ბრძანებულება და არც წესდება. მათი შემაკავშირებელი მხოლოდ სურვილი და ზრუნვაა იმისთვის, რომ როგორმე გააუმჯობესონ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა.

სწორედ იმისთვის, რომ განვითარებულიყო მრავალფეროვანი ფრანკოფონია, რომელიც მსოფლიოს ყველა კონტინენტზეა წარმოდგენილი, სამი ცნობილი აფრიკელი პრეზიდენტის – სენგორის, ბურგიბას და დიორის ინიციატივით, 1970 წელს, ჩვენი პლანეტის ქვეყნების მეთაურებისა და მთავრობების VII სამიტის შემდეგ, რომელიც 1997 წლის ნოემბერში ჩატარდა ვიეტნამში, ფრანკოფონიამ გადალახა ახალი, ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი. 20 მარტს, პარიზში მოეწყო საზეიმო შეკრება ევროპის საპარლამენტო ასამბლეის ცნობილ მოღვაწეებთან, არაბულ ქვეყანათა თანამეგობრობის ლიგასთან, ეუთოსა და დსთ-სთან, პორტუგალიური ენის საზოგადოებასთან და სხვა ორგანიზაციებთან, შემუშავებულ იქნა ახალი დებულებები ფრანკოფონიის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისთვის და შედგა ფრანგული ენის ზეიმი, ენისა, რომელიც მთელს მსოფლიოში კულტურათა დიალოგის ენაა. მას შემდეგ, ფრანკოფონული ქვეყნები ყოველწლიურად აღნიშნავენ ამ ზეიმს.



კრისტიან ზენდერი, ფრანსუა ლორანი და შტეფან სპეკი

ქართველმა საზოგადოებამ კი, ფრანკოფონიის მსოფლიო დღე პირველად 1998 წლის 20 მარტს იზეიმა საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მეშვეობით. მას შემდეგ თბილისში ყოველწლიურად აღინიშნება ეს დღე, თუმცა, ამგვარი მასშტაბით, როგორითაც წელს მიმდინარეობს, აქამდე არ ყოფილა. 16-დან 22 მარტის ჩათვლით, საფრანგეთის საელჩო საქართველოში და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი ფრანკოფონიის მსოფლიო დღის აღსანიშნავად გვთაზობს ოცდაათამდე ღონისძიებას: კონკურსებს, კონფერენციებს, ფილმებს, ლიტერატურულ საღამოებს, როკ-კონცერტს, დისკოთეკას და ა.შ.

მორიგი ღონისძიება, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მედიათეკის, საქართველოში საფრანგეთის და შვეიცარიის საელჩოების ერთობლივი გამოფენა გახლავთ, რომელიც შვეიცარულ წიგნებს წარმოგვიდგენს.

გამოფენა საქართველოში შვეიცარიის ელჩმა შტეფან სპეკმა გახსნა და სიტყვა გადასცა შვეიცარული და საერთოდ, რომანული ლიტერატურის კარგ მცოდნეს – კრისტიან ზენდერს, რომელიც არა მხოლოდ შვეიცარული ლიტერატურის, არამედ ქართული კულტურის და საერთოდ საქართველოს კარგ მცოდნედ შეიძლება ჩაითვალოს. კრისტიან ზენდერი შვეიცარიის ტელევიზიის რეჟისორია, რამდენიმე წელია საქართველოში იმყოფება და ჩვენს შესახებ დოკუმენტური ფილმიც გადაიღო.

რაც შეეხება გამოფენაზე წარმოდგენილ წიგნებს, ისინი ფრანგულენოვან შვეიცარელ მწერლებს ეკუთვნის. შვეიცარია ხომ ევროპის გული და ოთხი სახელმწიფო ენის მფლობელია – გერმანული, იტალიური, რეტო-რომანული და ფრანგული. წიგნებს შორის იხილავთ - ჟერმენ კლავიენის, ბერნადეტ რიშარის, ტომას ბუვიეს, მეტინ არდიტის, გასტონ შერპილოს, კრისტიან ეიშერის, პიერ ვოელინის, სილვიან შატელენის და სხვათა ნაწარმოებებს.

გამოფენასთან და ფრანკოფონიის დღეებთან დაკავშირებით საკუთარი თვალსაზრისი საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშემ, ბატონმა ფრანსუა ლორანმაც გამოთქვა: "წლეულს ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად გადავწყვიტეთ წინა წლებთან შედარებით უფრო მასშტაბურად აღგვენიშნა ფრანკოფონიის დღეები. სასიხარულოა, რომ საქართველოში უამრავი ფრანკოფონია, სწორედ ეს დღეებია იმის დასტური, რომ საქართველოში ფრანკოფონია რეალურად არსებობს. ჟან-ჟაკ რუსოდან და ალბერ კოენიდან იწყება ის ფესვები, რომლებიც დღემდე აკავშირებს არა მარტო შვეიცარულ და ფრანგულ, არამედ, მსოფლიო ლიტერატურას. აქ წარმოდგენილი ავტორების წიგნები პირველადაა საქართველოში და მათ შვეიცარიის საელჩო დიუმას სახელობის კულტურული ცენტრის მედიათეკას საჩუქრად გადასცემს."

ასე რომ ფრანკოფონიით დაინტერესებულებს 22 მარტის ჩათვლით შეგიძლიათ ფრანგულ მიკრო სამყაროში აღმოჩნდეთ და სასიამოვნო "ფურშეტითაც" შეიქციოთ თავი.

## კითხვარი

# კულტურაც ისეთივეა, როგორიც შემკვეთი

ლადო ბურდული
*მუსიკოსი*



**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

1. პოლიტიკას ირჩევს საზოგადოება, როგორი საზოგადოებაცაა, ისეთივეა პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, როგორი საზოგადოება და პოლიტიკაცაა, იმ მიმართულებისავე კულტურული პოლიტიკაა ქვეყანაში. იმას, რაც უცხოურია და ცოტა ნოვატორული, საზოგადოება არ იღებს. ახლა ნელ-ნელა დაიწყო რაღაცეებისკენ გამოხედვა, თორემ საუკუნეების განმავლობაში, აქ არაფერი იცვლებოდა. ვითომ ფსევდო-დასავლური კულტურა შემოდიოდა, მაგრამ ეს შემოსული კულტურა რჩებოდა ისეთივე სახით, რაც დასავლეთში იყო და მისი ტრანსფორმაცია არ ხდებოდა. არადა, ეს აუცილებელია. ახლა, თითქოს ამ მხრივ სიახლეებია, ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობა არის. მე, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ და სხვების არ ვიცი. საღამოს ტელევიზორს თუ ჩართავთ, ნახავთ ამ საზოგადოებისა და პოლიტიკის მიერ შექმნილ კულტურას. ვის მოსწონს და ვის არა, ეს სხვა საკითხია. უკვეთავს ის, ვისაც ფული აქვს, ფული აქვს მას, ვინც რაღაც დონეზე საკუთარ პოლიტიკას ატარებს, შესაბამისად კულტურაც ისეთივეა, როგორი შემკვეთიცაა.

დასავლეთში არის უამრავი ფონდი, რომლებიც მხარს უჭერენ ამ ექსპერიმენტულ კულტურას, იმიტომ, რომ ქვეყანაში, სადაც არ ტარდება ექსპერიმენტი, იქ ხალხი ყველაფრისათვის განწირულია, ამის ყვირილი მხლოდ ახლა, არა მხოლოდ კულტურაში, უკვე პოლიტიკაშიც დაიწყეს. ამ ექსპერიმენტებს მე დიდი ხანია ვნერგავ მუსიკაში. სიტუაცია ისეთია, რომ ექსპერიმენტები სახელმწიფო დოტაციაზე უნდა იყოს, იმიტომ, რომ ეს ბიზნესის სექტორი არ არის და ბიზნესის სექტორი თუ არ არის, ვილაცის დოტაციაზე უნდა იყოს, ეს ვილაცა დასავლეთში ყოველთვის სახელმწიფოა. აქ ყოველთვის უკვირთ, როცა ვამბობ, რომ თუ უნდა ქვეყანას, რომ კულტურა ჰქონდეს, ეს უნდა იყოს დოტაციაზე. ამაზე რაღაც ფონდები და საზოგადოებრივი უწყებები უნდა მუშაობდნენ, იმიტომ რომ ეს თავისით არ გაკეთდება, რადგანაც ელემენტარულად, თუ ხელის შეწყობა არ ექნა, იმ კონკურენციაში ვერ გაძლებს.

**2**. ვითომ რაღაც სიახლეებია, მაგრამ ისინი, ვინც საქართველოში რაღაცას ცვლიან, ამას ძველ ნანგრევებსა და ნარჩენებზე ქმნიან. მაგრამ ესეც ჩიხში მივიდა, რადგანაც, მაგალითად, არსეობობს ბორჯომი, არიან ადამიანები რომლებიც იქ ბოთლებით მიდიან და შემდეგ ყიდიან, მაგრამ იმ ხალხს ავიწყდებათ, რომ ეს ბორჯომის ბოთლია და მასში აღებული წყალი მალე გათავდება, ის კიდევ წყაროა, საიდანაც სულ მოდის. ეს სხვაობაა ჭეშმარიტ შემოქმედებს და "სპეკულიანტებს" შორის, რომლებიც ამ პროდუქციას უბრალოდ ჰყიდიან. აქედან გამომდიანრე, ამ მხრივ რთული სიტუაციაა საქართველოში.

რაც შეეხება უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, ეს ჩემი მცირებიუჯეტიანი ფესტივალებია, არაპოლიტიზირებული, ამ რეგიონისთვის საერთოდ წარმოუდგენელი, საქველმოქმედო, ექსპერიმენტული, ალტერნატიული და ა.შ. მას ყველა სიტყვა შეიძლება დააბრალოთ.

**3**. მე, ძირითადად, ვწერ და რასაც დავწერ მერე იმას ვამოწმებ, ანუ ჩემს ნაწერებს ვკითხულობ. რომ გითხრათ, სხვა ზედმეტი წყაროებიდან ვცდილობ რაღაც ცოდნის შეძენას, ტყუილი იქნება; მგონია, რომ რაც საჭირო იყო ყველაფერი წავიკითხე და ვნახე. მე თუ წავიკითხე, აბა, ვინ დაწერს?! გამოფენა, თეატრი, კინო, მუსიკა, - დიდი ხანია ყველა ამ სფეროში კრიზისია. ჩემთვის სიახლეები არსად არაა. სიმართლე გითხრათ, ჩემს მუსიკას ვუსმენ. თუ უაზროდ ვარ, ხანდახან, რასაც ტელევიზიით უჩვენებენ, იმ ფილმებს ვუყურებ ხოლმე. გამორჩეული, საყვარელი რეჟისორი, მწერალი და პოეტი - ეგეთ კატეგორიას არ ვეკუთვნი. ყველა ჩემი საყვარელია, ვინც გამისწორებს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## მიდუ ესპანეთში "გაათხოვეს"

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ამ კაცს ასეთი თავხედური გამოხდომებისთვის არავითარი მიზეზი არ უნდა ჰქონდნეს. მიდუდ წოდებული ეგვიპტელი ფორვარდი ჯერ მხოლოდ ოცი წლისაა, რომელიმე გრანდში კი არა, კრიზისიდან ახლად თავდაღწეულ ამსტერდამის "აიაქსში" თამაშობს და ზოგჯერ იქაც ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში. ჯერჯერობით, ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ცხვირი მაღლა აწიოს და თავის ჭკუაზე იაროს, სპონსორები არაფრად ჩააგდოს და მათთან შეხვედრაზე წასვლა ფეხებზე დაიკიდოს, ან აშკარად დაუპირისპირდეს გუნდის მთავარ მწვრთნელს და ხელმძღვანელებს. მოკლედ რომ ვთქვათ, მიდუს ისეთი არაფერი გაუკეთებია, ყოყლოჩინობის უფლება ჰქონდეს...

რაკი "აიაქსის" ბოსებთან მისი ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა და თავხედ ეგვიპტელს არც გულშემატკივრები მიემხრნენ, მიდუსთვის ამსტერდამული კლუბის დატოვება, ალბათ, საუკეთესო გამოსავალი იყო. ახალგაზრდა ფორვარდის შეძენა ბევრს სურდა, მათ შორის, რომის "ლაციოსაც", მაგრამ ჰოლანდიელებმა სხვაგვარად განსაჯეს და ეგვიპტელი ფეხბურთელი ესპანურ "სელტას" ათხოვეს. ვიგოში მიდუ სეზონის ბოლომდე დარჩება.

იგი კმაყოფილია ესპანეთში გადასვლით და აცხადებს, რომ "სელტასთან" სიამოვნებით გააფორმებდა კონტრაქტს. "ჩემი მიზანია, აქ კარგად ვითამაშო და ისეთი შთაბეჭდილება მოვახდინო, რომ სეზონის ბოლოს "სელტამ" კონტრაქტი შემომთავაზოს", - განაცხადა ახლად გაესპანელებულმა ეგვიპტელმა.

## "რეალს" ბექჰემი არ უნდა

"მანჩესტერ იუნაიტედი" თავის სახელგანთქმულ "სპაის ბოის" სეზონის ბოლოს უკვე ველარ იხილავს. დევიდ ბექჰემის მეუღლეს, ვიქტორიას, ადრეც სურდა მანჩესტერიდან გადასვლა, ახლა კი, როცა ბექჰემს "წითელი ეშმაკების" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა ბუცი უთავაზა თავში, "სპაის ბოის" მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, კლუბიდან წავიდეს.

წესით, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელზე დიდი ტაციობა უნდა იყოს, მაგრამ ჯერ "მილანის" ხელმძღვანელმა კარლო ანჩელოტიმ თქვა, ბექჰემი არაფერში გვჭირდებაო, ახლა კი მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმაც იგივე გაიმეორა.

"რა თქმა უნდა, ბექჰემი ძალიან დიდი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენ უკვე ისე კარგად გვაქვს აწყობილი სათამაშო სქემა, რომ იქ მისთვის ადგილი აღარ არის", - ანჩელოტის ფრაზა გაიმეორა პერესმა.

## მორიენტესი ისევ "სარაგოსაში"?

ბოლო დროს ფერნანდო მორიენტესისთვის აუხდენელ ოცნებად იქცა მადრიდის "რეალის" ძირითად შემადგენლობაში თამაში. "სამეფო კლუბის" თავკაცი, ვინსენტე დელ ბოსკე, რატომღაც აღარ ენდობა მორიენტესს და მის ნაცვლად ყოველთვის სხვას უშვებს მოედანზე.

კლუბში რონალდოს მოსვლის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. მოირიენტესი ახლა გამუდმებით სათადარიგოთა სკამზე ზის და, თუ ასე გაგრძელდა, იქნებ ფეხბურთის თამაში დაავიწყდეს კიდეც. ამიტომაც, როცა მორიენტესის ყოფილმა კლუბმა, "სარაგოსამ", ფორვარდის დაბრუნების სურვილი გამოთქვა, მორიენტესს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ ის თქვა, უმჯობესი იქნება, თუ "სარაგოსა" ევროტურნირების საგზურის მოპოვებას მოახერხებსო...

## "უოტფორდის" ყოფილ ფეხბურთელს ყური მოაჭამეს

საინტერესო შემთხვევა დაფიქსირდა ინგლისში - "პლიმუთის" გულშემატკივარმა ყური მოაკვნიტა "უოტფორდის" ყოფილ ფორვარდს, ჯორჯ რეილის. ამის მიზეზი გახდა 1984 წელს გამართული შეხვედრა. ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ "პლიმუთი" და "უოტფორდი". რეილიმ იმ მატჩში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და "პლიმუთს" ფინალისკენ გზა გადაუღობა. გაზეთ "სან"-ის ინფორმაციით, შემთხვევა მოხდა მშენებლობაზე, სადაც ამჟამად ყოფილი ფეხბურთელი მუშაობს. "პლიმუთის" გულშემატკივარმა მას მუშტი უთავაზა, მიწაზე დასცა და შემდეგ ყური მოაკვნიტა. მეორე ყურში კი ერთადერთი სიტყვა უთხრა: "პლიმუთი"! ექიმებმა 45 წლის რეილის 50 ნაკერი დაადეს. "ვერ წარმომიდგენია, რომ მან ეს გააკეთა 19 წლის წინანდელი შემთხვევისთვის. ვიცი, რომ ზოგიერთები წყენას გვიან ივიწყებენ, მაგრამ..." - გაუკვირდა ინგლისური ფეხბურთის ვეტერანს. იმ წელიწადს "უოტფორდმა" მაინც ვერ მოიპოვა სანუკვარი ჯილდო. ფინალში გუნდი "ევერტონთან" დამარცხდა (0:2).

### მოკლედ

**დორტმუნდის** "ბორუსიასთან" მატჩის პირველ ტაიმში მილანელთა მცველმა, პაოლო მალდინიმ, მარჯვენა ფეხის ტკივილი იგრძნო და მწვრთნელს შეცვლა სთხოვა. "მილანის" მცველი უახლოეს დღეებში სამედიცინო შემოწმებას გაივლის და გაირკვევა, თუ რა დრო დასჭირდება აღდგენით პროცესს. "იუვენტუსის" წინააღმდეგ იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში, შესაძლოა, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომაც ვერ ითამაშოს. შევჩენკოს მარჯვენა ფეხზე ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. ამის გამო კარლო ანჩელოტიმ "ბორუსიასთან" შეხვედრაში უკრაინელ ფორვარდს დასვენების საშუალება მისცა. გუშინ შევჩენკომ სამედიცინო შემოწმება გაიარა. ექიმებმა მას სერიოზული დარღვევები ვერ აღმოუჩინეს. ამის შემდეგ შევჩენკო "მილანელოში" (კლუბის საწვრთნელი ბაზა) დაბრუნდა და დანიელე ტონიაჩინის მეთვალყურეობის ქვეშ ივარჯიშა.

■ ■ ■

**კატალონიური** "ბარსელონას" ბიუჯეტის დეფიციტმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 84 მილიონი დოლარი შეადგინა. ამასთან, 60 მილიონი კლუბმა წლევანდელ სეზონში დაკარგა. ბუნებრივია, ესოდენ შთამბეჭდავმა დეფიციტმა "ბარსას" ხელმძღვანელობა ფინანსური კრიზისის დაძლევის გზებზე დააფიქრა. დასაწყისისთვის ხელმძღვანელობა აპირებს, ხელფასი ჩამოაჭრას გუნდის წამყვან მოთამაშეებს. ამ ნაბიჯით სხვებზე უფრო ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი დაზარალდება. კლუივერტს, რომლის ხელფასი 10,5 მილიონი ევროა, შესაძლოა, თანხა გაუნახევრონ.

■ ■ ■

**შოტლანდიური** "სელტიკის" შვედმა ფორვარდმა, ჰენრიკ ლარსონმა, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების შესახებ განცხადება გააკეთა. ფეხბურთელი შვედეთისა და უნგრეთის ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში ითამაშებს. ლარსონმა გუნდი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დატოვა და განაცხადა, რომ მისი სანაკრებო კარიერა დასრულდა. თუმცა, მწვრთნელებმა ლარს ლაგერბაკმა და ტომი სოდერბერგმა ფეხბურთელს გადაწყვეტილება შეაცვლევინეს.

■ ■ ■

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ბოლო ტურში, "მარსელისა" და "პარი სენ-ჟერმენის" შეხვედრაში, პარიზელი გაბრიელ ჰაინცე "მარსელის" ბრაზილიელ ფერნანდანს შეეჯახა. ბრაზილიელი მინდორზე გაიშხლართა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. აღმოჩნდა, რომ ფორვარდს თავის ქალას ძვლები სერიოზულად დაუზიანდა. საბედნიეროდ, ფერნანდანის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება და კვირის ბოლოს საავადმყოფოდან გაწერენ, მაგრამ მისთვის წლევანდელი სეზონი ნამდვილად დასრულდა.

■ ■ ■

**ტურინის** "იუვენტუსი" სერიოზულად დაინტერესდა "ატლეტიკო პარანაენსეს" ახალგაზრდა ვარსკვლავით - დაგობერტოთი. მან ბრაზილიის ჩემპიონატში კარგი თამაშით მიიქცია ტურინელთა ყურადღება. მას ფრანგ დავიდ ტრეზეგეს ადარებენ. დაგობერტო ორმაგი მოქალაქეობის სტატუსით სარგებლობს. ბრაზილიის გარდა, მას საფრანგეთის მოქალაქის პასპორტიც აქვს. სავარაუდოდ, ახალგაზრდა ფეხბურთელი ათენის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. მისი სატრანსფერო ფასი 3 მილიონი დოლარია.

### ფეხბურთი

# კარეუმ "ვალენსიას" მეოთხედფინალი აჩუქა

## "ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგას 0 ქულით ეთხოვება

აკა ტონია

ჩემპიონთა ლიგის B ჯგუფმა თავისი ინტრიგა უკანასკნელ წუთებამდე შეინარჩუნა, თითოეულ გოლს მეოთხედფინალის საგზურების ხელახლა გადანაწილება შეეძლო, ბოლოს კი ისე აღმოჩნდა, რომ დიდად ნაქები ლონდონის "არსენალი" მხოლოდ და მხოლოდ მე-3 ადგილს დასჯერდა და ჩემპიონთა ლიგას გამოეთხოვა. ბედნიერი მეოთხედფინალისტები "ვალენსია" და "აიაქსი" არიან.

"ვალენსიელთა" მწვრთნელი, რაფაელ ბენიტესი, გუშინდელი მატჩის წინ აცხადებდა, რომ საკუთარი გუნდის გამარჯვებაში 100 პროცენტით იყო დარწმუნებული. მართალიც აღმოჩნდა: "ვალენსიამ" 2:1 გაიმარჯვა და 9 ქულით ჯგუფის გამარჯვებულიც გახდა. გუშინდელ მატჩში ლონდონელთა სუპერ-თავდამსხმელი ტიერი ანრი მთლიანად ნორვეგიელი ჯონ კარეუს ჩრდილში მოექცა. ანრიმ მაინც მოახერხა "თავისი" გოლის გატანა, მაგრამ კარეუმ ეს ორჯერ შეძლო და "ვალენსია" კლუბის ისტორიაში ზედიზედ მეოთხედ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. არსენ ვენგერის ბიჭებს კი შეუძლიათ ლიგის მომავალი სეზონისათვის დაიწყონ მზადება.

B ჯგუფის მეორე შეხვედრა რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა, რომელზეც ჯერ კიდევ ჯგუფიდან გასვლის იმედის მქონე რომაელებმა ამსტერდამის "აიაქსს" უმასპინძლეს. წინა ტურში, ვალენსიაში განცდილმა უიღბლობამ რომშიც იჩინა თავი: "ვალენსიას" წინააღმდეგ თამაშში მიღებული საეჭვო წითელი ბარათის გამო "რომა" ფრანჩესკო ტოტის გარეშე დარჩა. შეხვედრის პირველივე წუთზე გამოჩნდა, რომ მეოთხედფინალის მიღწევა რომაელებს არ ეწერათ: "აიაქსელმა" ანდი ვან დერ მეიდემ ანგარიში გახსნა და კაპელოს გუნდს საქმე ერთი-ორად გაურთულა. ანტონიო კასანომ, რომელმაც "ვალენსიასთან" მატჩში "რომას" მეოთხედფინალის თეორიული შანსები შეუნარჩუნა, თავი გუშინდელ მატჩშიც გამოიჩინა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ამის მეტი რომაელებმა ვერ მოახერხეს. უკანასკნელ წუთებზე "აიაქსის" კართან პატარა შტურმიც მოეწყო, მაგრამ ამსტერდამელთა გააზრებული თამაშისა და ცოტაოდენი იღბლის ხარჯზე "აიაქსმა" ფრე შეინარჩუნა და მეოთხედფინალში გააღწია.




REUTERS

"აიაქსი" მეოთხედფინალშია

ჯგუფი A

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 0 - 2 | ინტერი | |
| ნიუკასლი | 0 - 2 | ბარსელონა | |

| # | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 12:2 | 16 |
| 2 | ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| 3 | ნიუკასლი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| 4 | ლევერკუზენი | 6 | 0 | 0 | 6 | 5:16 | 0 |

ჯგუფი B

| | | |
|---|---|---|
| რომა | 1 - 1 | აიაქსი |
| ვალენსია | 2 - 1 | არსენალი |

| # | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:6 | 9 |
| 2 | აიაქსი | 6 | 1 | 5 | 0 | 6:5 | 8 |
| 3 | არსენალი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:5 | 7 |
| 4 | რომა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |

მართალია, B ჯგუფისაგან განსხვავებით A ჯგუფში ნაკლები ინტრიგა იყო, "ბარსელონას" უკვე გარანტირებული ჰქონდა მეოთხედფინალი, "ლევერკუზენს" კი ველარაფერი გადაარჩენდა, მაგრამ მილანის "ინტერს" და ინგლისურ "ნიუკასლს" კიდევ თითო დაძაბული ბრძოლა ელოდათ. "ინტერმა" თავისი შანსი გამოიყენა, "ნიუკასლმა" კი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე დარჩენილ "ბარსელონასთან" საკუთარ კედლებში 0:2 წააგო და ჩემპიონთა ლიგას გამოეთხოვა.

ლევერკუზენის "ბაიერმა" ვერც უკანასკნელ მატჩში მოიპოვა ქულა და გათამაშებას სამარცხვინოდ გამოეთიშა. სიმაკისა და ბასთურქის უხეშ შეცდომებს "ინტერის" ახალგაზრდა ფეხბურთელის, მარტინს ობაფემის გოლი მოჰყვა, ხოლო მატჩის 90-ე წუთზე მილანელთა თურქმა ლეგიონერმა, ბელოზოღლუ ემრემ ანგარიში ორამდე გაზარდა. A ჯგუფიდან მეოთხედფინალში "ბარსელონა" და "ინტერი" ითამაშებენ. "ლევერკუზენს" კი იმაზე მოუწევს ზრუნვა, რომ ჩემპიონთა ლიგასთან ერთად პირველი ბუნდეს-ლიგიდანაც არ გამოვარდეს.

# მკაცრი სასჯელი უსაქციელობისთვის

## ბრიტანელმა ფეხბურთელებმა გაბრაზების გამოხატვის ახალ ხერხს მიაგნეს

ნინო პირველი

### იტალიური ტემპერამენტის შოტლანდიური ბორკილები

სანამ ესა თუ ის ფეხბურთელი მოედანზე რამეს დააშავებდეს, ალბათ, ღირს იმაზე დაფიქრება, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ დანაშაულს და საჭიროა თუ არა ემოციების მოთოკვის რთული ხელოვნების ათვისება. ბოლოს და ბოლოს, როცა ფეხბურთელი მეტოქეს შეურაცხყოფას აყენებს და ყვითელ ან წითელ ბარათს იღებს, იმის გარდა, რომ რეპუტაცია ელახება, საკუთარ კლუბსაც დიდ ზიანს აყენებს, მით უმეტეს, თუ გუნდში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

შოტლანდიური "გლაზგო რეინჯერსის" იტალიელი მცველი, ლორენცო ამორუზო, უკეთესი იქნებოდა, ცოტა უფრო ზრდილობიანი ყოფილიყო. ამორუზო "რეინჯერსის" ერთ-ერთი ლიდერია და 2002 წელს შოტლანდიაში მოთამაშე საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელადაც დაასახელეს, მაგრამ როცა საქმე დასჯაზე მიდგა, მისი ავტორიტეტი და დამსახურება ყველას დაავიწყდა. 22 თებერვალს, შოტლანდიის თასის მატჩში იტალიელმა ფეხბურთელმა საკუთარი ხასიათის უარყოფითი მხარეები წარმოაჩინა. "ეირის" თავდამსხმელთან, ჯეიმს გრეიდთან ბრძოლა იმით დასრულდა, რომ ამორუზომ წონასწორობა დაკარგა და მეტოქეს შეაფურთხა.

ასეთი უსაქციელობა "გლაზგო რეინჯერსს" ძვირად დაუჯდა - შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ "აქლემების მოყვარულ" ამორუზოს დანაშაული არ აპატია და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. გამოცდილი იტალიელი მცველი სწორედ მაშინ დააკლდება თავის გუნდს, როცა "გლაზგოს" ყველაზე მეტად სჭირდება საიმედო ფეხბურთელები.



ელ-ჰაჯი დიუფი

### დიუფს ბოდიშებმა ვერ უშველა

მეორე ფეხბურთელი, ვისაც, ალბათ, ბავშვობაში აქლემები ძალიან მოსწონდა, სენეგალელი ელ ჰაჯი დიუფი გახლავთ. გასაგები მიზეზების გამო, დიუფს, ეტყობა, ბევრჯერ უნახავს, როგორ გამოხატავდნენ გაბრაზებას უდაბნოს ზოზინა ცხოველები და, როცა გაალიზიანეს, მათი მიბაძვა სულაც არ გასჭირვებია.

შოტლანდიურ "სელტიკთან" UEFA-ს თასის მეოთხედფინალური ეტაპის პირველ მატჩში დიუფმა უცნაური რამ მოიმოქმედა – აფრიკელი "სელტიკის" ორ ფანს შეეკამათა და ორივეს სენეგალური შეფურთხებით გაუმასპინძლდა, რაც მატჩის შემდეგ ძალიან ინანა.

ბრიტანული დერბი ფრედ დასრულდა, დიუფს კი სადარდელი გაუჩნდა, ვაითუ, UEFA-მ მკაცრად დამსაჯოსო და ცრემლების ღვრა დაიწყო, ეს რა მომივიდა, შოტლანდიელი ფანები როგორ გავანაწყენეო. დიუფმა ყველა ღონე იხმარა, რომ UEFA-ს რისხვას გადარჩენოდა - სენეგალელმა "სელტიკის" შეურაცხყოფილ ფანებს საჯაროდ ბოდიში მოუხადა და საკუთარ მაისურასაც შეპირდა "ლივერპულის" ყველა ფეხბურთელის ავტოგრაფით, მაგრამ, გულაჩუყებულ გლაზგოელთაგან განსხვავებით, UEFA-ს სადისციპლინო კომისია სანტიმენტალურობისგან მეტად შორს აღმოჩნდა და აქლემად ქცეულ სენეგალელ "უდაბნოს ლომს" ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

მართალია, სენეგალელი ფორვარდი დაისაჯა, მაგრამ, ამავე დროს, კმაყოფილიც კი დარჩა, რომ UEFA-მ საერთოდ არ მოუსპო ამ სეზონში ინტერნაციონალურ სარბიელზე ასპარეზობის უფლება. საქმე ის არის, რომ აფრიკელი ფეხბურთელი შიშით კანკალებდა, ემანდ ოთხი მატჩით არ ამიკრძალონ თამაშიო, რაც, ფაქტობრივად, საერთაშორისო სეზონის დასრულებას ნიშნავდა. დიუფს, ეტყობა, იმედი აქვს, რომ მისი გუნდი შოტლანდიურ ბარიერს გადალახავს და ნახევარფინალში გავა. იქ სენეგალელი კიდევ ერთ მატჩს გამოტოვებს და მერე ისევ გამოჩნდება მერსისაიდელთა ძირითად შემადგენლობაში.

### ორმაგი სანქციები UEFA-ს მხრიდან

UEFA-ს ჩინოვნიკებმა მხოლოდ დიუფის დასჯა როდი იკმარეს. საქმე საგულდაგულოდ შეისწავლეს და განაცხადეს, დიუფი უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ ხომ არ გაბრაზდებოდა, ალბათ, მისი პროვოცირება შოტლანდიელმა ფანებმა მოახდინესო და "სელტიკს" 3500 ევროს გადახდა დააკისრეს, რის გამოც "სელტიკის" ფანკლუბის თავმჯდომარე ედი ტონერი გაოგნებული დარჩა.

"ვერ გამიგია, რა ხდება. დიუფმა თავად ბოდიში მოუხადა შოტლანდიელ ფანებს და არაფერი უთქვამს პროვოცირების შესახებ. საინტერესოა, რის საფუძველზე გააკეთა UEFA-მ ასეთი უცნაური დასკვნა? გარდა ამისა, თუ დიუფის გაბრაზება, მართლაც, გულშემატკივართა ბრალია, მაშინ რატომ დარჩნენ ისინი დაუსჯელი? მათ ნაცვლად, კლუბმა რატომ უნდა გადაიხადოს ჯარიმა? გაურკვეველი გადაწყვეტილებაა, მაგრამ არა უშავს, აღარ ღირს ამ ინციდენტზე ლაპარაკი. იმედია, ეს უსიამოვნო შემთხვევა მალე ყველას დაავიწყდება", - განაცხადა შოტლანდიელმა.

ისე, მართლაც საინტერესოა, რა შუაში იყო აქ თავად "სელტიკი"? მაგრამ არ ღირს ამაზე ტვინის ჭყლეტა, UEFA ხომ არც ისე იშვიათად იღებს უცნაურ გადაწყვეტილებებს.

# FIFA-მ ხელოვნურსაფარიანი მინდვრები დააკანონა

*გუშინ FIFA-ს ოფიციალურ ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნდა საფეხბურთო წესებში ცვლილებების შემტანი კომისიის სხდომის შედეგები. ეს კომისია ერთადერთი ორგანოა, რომელსაც სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის წესებში ცვლილებების შეტანა შეუძლია. რაც შეეხება სხდომას, რეფორმატორთა მოლოდინი გამართლდა, ოღონდ – სანახევროდ.*

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატული სახეობაა. მისი გლობალური პოპულარობა ყველა ჯურის რეფორმატორს მუდმივად უბიძგებს წესების სრულყოფაში საკუთარი წვლილის შეტანისკენ. ეს წესები კი, მოგეხსენებათ, ორი საუკუნის წინ შემუშავდა. FIFA-მ სწორედ იმისთვის შექმნა ხსენებული კომისია, რომ კეთილისმსურველ რეფორმატორთა მოზღვავებული შემოთავაზებებისგან თავი დაიცვას. ეს კომისია წელიწადში ერთხელ იკრიბება და "წითელ ბარათს" უჩვენებს ისეთ სიახლეებს, რომლებსაც არ იწონებენ ეროვნული ფედერაციები. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, იზღუდება ისეთი სიახლეებიც, რომლებიც ეროვნული ფედერაციების მოწონებას იმსახურებს.

IFAB-ის მორიგ, რიგით 117-ე სხდომას, რომელიც ბელფასტში შეიკრიბა, საბოლოოდ უნდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა ხელოვნურსაფარიან გაზონს ადგილი საფეხბურთო ცხოვრებაში. უკვე რამდენიმე წელიწადია, ეს საკითხი FIFA-ში განიხილება და მისი ინიციატორი, ჩრდილოეთის ქვეყნების ეროვნულ ფედერაციებთან ერთად, თავად ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციაცაა. ერთადერთ რეალურ წინაღობად, რაც ხელს უშლიდა ხელოვნური მინდვრების შემოღებას, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის კატეგორიული პოზიცია რჩებოდა, რომლის წესდებაშიც, ას წელიწადზე მეტია, ჩაწერილია, რომ "ფეხბურთი არის სპორტის სახეობა, რომელსაც თამაშობენ მრგვალი ბურთით ბალახის მინდორზე." ინგლისელებმა პრინციპებზე უარი მაინც არ თქვეს, მაგრამ კომისიამ "მხედველობაში მიიღო სხვადასხვა ქვეყნის კლიმატს შორის არსებული სხვაობა" და FIFA-ს უფლება მისცა, შეიმუშაოს პროცედურა, რომელიც ნებას დართავს, ოფიციალური ტურნირები ხელოვნურსაფარიან მინდვრებზე გამართოს. ეს ნიშნავს, რომ ხელოვნური საფარი ნებადართულია და დღეიდან ასეთ მინდვრებზე ნებისმიერი დონის მატჩის გამართვა იქნება შესაძლებელი. თუმცა, ეს სიახლე, საბოლოოდ, ძალაში შევა მას შემდეგ, რაც FIFA ჩამოაყალიბებს მოთხოვნებს ახალი თაობის პლასტმასის ხელოვნური გაზონის მიმართ. სავარაუდოდ, ეს პროცესი რამდენიმე თვეს გასტანს.

წლის განმავლობაში დაგროვილი სხვა ინიციატივების მისამართით კომისიამ შედარებით ფრთხილი პოზიცია დაიკავა. ნებადართულია მინი-რაციების გამოყენებით ექსპერიმენტის ჩატარება. ლაინსმენს შეეძლება, შეხვედრის მთავარ არბიტრს ინფორმაცია მიაწოდოს მოედნის სხვადასხვა მონაკვეთში მომხდარი დარღვევების შესახებ. ამ ექსპერიმენტს ჩაატარებენ 2003 წლის იუნიორთა (17 წლამდე ასაკის) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელსაც ფინეთი უმასპინძლებს. აქვე შეამოწმებენ კიდევ ერთ სიახლეს. კერძოდ, ის გუნდი, რომელიც ჯარიმის ადგილიდან 9 მეტრით არ დაიხევს, დაისჯება ასეთი წესით – მსაჯი მოწინააღმდეგეს ჯარიმის თავიდან შესრულების ნებას დართავს, თანაც, ძველ ადგილთან შედარებით, ჯარიმის შესრულების ახალი ადგილი ურჩი გუნდის კართან 9 მეტრით ახლოს იქნება.

დანარჩენი სიახლეები კომისიამ არ მიიღო. მათ შორის, მსაჯების მიერ საკამათო სიტუაციებში ვიდეოტექნიკის გამოყენება და მოედნიდან მოთამაშეების დროებითი გაძევება. ასევე, დაიბლოკა ირლანდიელთა ინიციატივაც – ისინი მოითხოვდნენ, შემოეღოთ ისეთი თამაშების შედეგების გადახედვის პრაქტიკა, რომელთა ვიდეოჩანაწერის შესწავლის შემდეგ ნათელი გახდებოდა, რომ მსაჯის შეცდომამ მატჩის შედეგზე არსებითად იმოქმედა.

ცალკე განიხილეს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის წევრი ქვეყნების ფედერაციათა მიმართვა, რომლებიც ოფიციალურ თამაშებში მათი ფეხბურთელებისთვის უსახელო მაისურებით სარგებლობის უფლებას ითხოვდნენ. IFAB-მა ეს თხოვნაც უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

ბოულინგი

# ძველი "ახალი ხილი"

გიგა გურასაშვილი

*ბოულინგი იმ ერთ-ერთ უიშვიათეს სპორტის სახეობათაგანია, სადაც ნებისმიერი ასაკის სპორტსმენს განურჩევლად სქესისა ასპარეზობის საშუალება ეძლევა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს უკანასკნელი დემოკრატიულობითაც გამოირჩევა. დემოკრატიულობასთან ერთად ბოულინგი ამავე დროს არაორდინარულიცაა. არაორდინარულ სპორტის სახეობას კი ფაქტია, საკმაოდ ჰყავს მიმდევრები მსოფლიოში. ამ მხრივ, გამონაკლისი, არც საქართველოა. თუმცა, ჩვენში ბოულინგი მაინც "ახალი ხილია". ხოლო მათ, ვინც უკვე მოასწრო უცხო ხილის დაგემოვნება, მისით "მოიწამლნენ". ბოულინგით "მოწამლულთა" ერთი ნაწილი გუშინ საქართველოში არსებულ ერთადერთი ბოულინგ ცენტრის სტუმარი გახლდათ. ბოულინგ ცენტრს სტუმარი არასდროს აკლდა, მაგრამ გუშინდელი თავშეყრის მიზეზი ამ უკანასკნელის დაარსების ოთხი წლისთავი გახლდათ.*



*ზურაბ ყვანია ბოულინგის თამაშისას*

### ცოტა რამ ბოულინგის შესახებ

ბოულინგის საერთაშორისო ფედერაცია (FIQ) 1952 წელს დაარსდა. საერთაშორისო ფედერაცია კი აერთიანებს ორ დისციპლინას - ნაინპენსა და თენპენს. ერთი სიტყვით, ორივე მათგანი, ასეც და ისეც, ბოულინგად (იგივე კეგლი) იწოდება. მათ შორის სხვაობა კი ისაა, რომ პირველ მათგანში სათამაშო ბილიკის ბოლოს ბურთით ცხრა კეგლია დასაშლელი, ხოლო მეორეში – ათი. ისე კი, ცხრაკეგლა ბოულინგი ისტორიით თუ არსებობით ათკეგლას უსწრებს. ვიდრე ამ უკანასკნელს გამოიგონებდნენ, ცხრაკეგლა ბოულინგს მისდევდნენ, როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში. რაც შეეხება ათკეგლა ბოულინგს, სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი ევროპაში გერმანელებმა შემოიტანეს. ისტორიული განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გერმანელები ათკეგლა ბოულინგს ნიუ-იორკში 1891 წელს გაეცნენ, როდესაც ნიუ-იორკის "ბოულინგის გაერთიანებული კლუბი" 17 გერმანელს ამხანაგურად გაეჯიბრა. მერე და მერე კი, როგორც ხდება ხოლმე ბოულინგის განვითარებაში საკუთარი წვლილი სხვა ქვეყნებმაც შეიტანეს. კერძოდ, ათკეგლა ბოულინგის განვითარებაში ლომის წილი შვედებს მიუძღვით. მოგვიანებით ბოულინგის ევროპულ ოჯახს ფინეთი, ჰოლანდია, ბელგია და შვეიცარიაც შეუერთდნენ.

დროთა განმავლობაში დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრებები. რაც შეეხება დღევანდელ სურათს, ცხრაკეგლა ბოულინგს, ძირითადად, ევროპაში მისდევენ. მისგან განსხვავებით ათკეგლა ბოულინგი მთელ მსოფლიოს მოიცავს. ძირითადად კი აზიას, ამერიკასა და ევროპას. ზოგადად კი ბოულინგს 100 მილიონი მიმდევარი ჰყავს. რაკი სტატისტიკაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე იმასაც გეტყვით, რომ მოქმედ სპორტსმენთა რაოდენობა დაახლოებით 10 მილიონია, ხოლო მსოფლიოში არსებული სათამაშო ბილიკების რაოდენობა - 250 მილიონი.

სასიხარულოა, რომ მათ შორის ათკეგლა ბოულინგისთვის განკუთვნილი თბილისში არსებული ბოულინგ ცენტრის 6 ბილიკიც შედის. ერთი სიტყვით, საერთო სურათი, ასე თუ ისე, შეძლებისდაგვარად ჩამოვაყალიბეთ.

### "ახალი ხილი" საქართველოში 4 წლის გახდა

1999 წლის 5 მარტის, ანუ მას შემდეგ, რაც თბილისში ბოულინგმა შემოაბიჯა, ოთხი წელი გავიდა. სწორედ ამ დღის აღსანიშნავად გუშინ ბოულინგ ცენტრში მიგვიწვიეს. საზეიმო ვითარებაში ჩატარებულ ღონისძიებაზე ჩვენთვის ბევრი საინტერესოც შევიტყეთ. უმთავრესი კი ისაა, რომ ბოულინგ ცენტრი აპრილში საქართველოს ღია ჩემპიონატს უმასპინძლებს. როგორც კლუბის მენეჯერმა მაკო ჯაოშვილმა გვითხრა, ამ უკანასკნელს 2005 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშებისთვის ერთგვარი შესარჩევი ეტაპის ფუნქციაც დაეკისრება. კერძოდ, ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით გაირკვევა იმ სპორტსმენთა ვინაობა, რომლებსაც ზემოდხსენებული თამაშებისთვის სალიცენზიო ასპარეზობებში გამოსვლის უფლება მიენიჭება. გარდა ამისა, შეიქმნა ბოუილინგის ლიგაც, რომლის მართვის სადავეებიც ბოულინგის დიდ მოტრფიალესა და კარგ მოთამაშეს ირაკლი წულაძეს ჩაბარდა.

ჩოგბურთი

# კეთილშობილი პრიმა



*ანა კურნიკოვა*

ნიკ ბოლეტირის აკადემიაში მოვარჯიშე ანა კურნიკოვამ გადაწყვიტა, დროებით მოწყდეს საყვარელ საქმიანობას. ამჯერად ამის მიზეზია არა რომელიმე სარეკლამო რგოლი ან ახალი რომანი, არამედ გაცილებით კეთილშობილური მისია – მოინახულოს კიბოს სამკურნალო ჰოსპიტალი.

"ეს საავადმყოფო საგანგებოდ შევარჩიე. სპეციალურად ჩემთვის ექსკურსიაც კი იყო ორგანიზებული. მოვინახულე ლაბორატორიები, რეაბილიტაციის ცენტრი და რამდენიმე პალატა ავადმყოფი ბავშვებით", - თქვა ჩოგბურთელმა. ასეთი ვიზიტი კურნიკოვასთვის პირველი არ არის. შარშან მან მოინახულა გულით დაავადებულ ბავშვთა საავადმყოფო, რომელსაც 100 000 დოლარით შეეწია. ბუნებრივია, ამგვარ ჟესტს კურნიკოვასგან ახლაც ელოდნენ. "ეს ვიზიტი ჩემთვის განსაკუთრებული იყო. უამრავ ბავშვს, თამაშის ნაცვლად, ექიმებთან სიარული და წამლების დალევა უხდება. ისინი ძალიან მეცოდებიან და, იმედი მაქვს, ჩემი ვიზიტით მათ ოდნავ მაინც გამოუკეთდებათ გუნება", - განაცხადა კურნიკოვამ.

მორალური მხარდაჭერის გარდა, ჩოგბურთელმა გადაწყვიტა, საავადმყოფოს მატერიალურადაც შესწეოდა. საავადმყოფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის თქმით, ჩეკი, საკმაოდ სოლიდური თანხით, რუსმა ლამაზმანმა საავამდყოფოშივე გამოწერა.

მისდა სამწუხაროდ, საქველმოქმედო აქციამ კურნიკოვას საჩოგბურთო წარმატებებზე გავლენა ვერ იქონია. ტრავმის გამო ახლახან ის მემფისში გამართულ ტურნირს დააკლდა.

რაგბი

# თუ სასწაული მოხდა...

*...და ესპანეთმა პორტუგალია დაამარცხა, საქართველოს ნაკრებს ევროპის ერთა თასის მოპოვების არაჩვეულებრივი შანსი მიეცემა. ესპანელთა წარუმატებლობის შემთხვევაში მეორე ვარიანტიც არსებობს – რუსებმა სტუმრად უნდა შეძლონ რუმინელთა დამარცხება. ერთი სიტყვით, ქართველთა ბედი ესპანელებსა და რუსებზეა დამოკიდებული.*

პაატა თოთაძე

ყველაფერი გადაწყდება შაბათკვირას, როცა პორტუგალიელები ესპანელებს უმასპინძლებენ, რუმინელები კი - რუსებს. სიმართლე რომ ითქვას, უფრო სავარაუდო ესპანელთა მოგებაა. მართალია, პორტუგალია დღემდე დაუმარცხებლად მოვიდა, მაგრამ ეს უფრო შემთხვევითობაა, ვიდრე კანონზომიერება. შესაბამისად, მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერის გუნდთა პაექრობაში უდავო ფავორიტად პორტუგალიელებს ვერ დაასახელებ. ესპანელთა სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ რამდენიმე დღის წინ მათ მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში ტუნისის ეროვნული გუნდი დაამარცხეს. ანუ მართლდება ესპანელთა ფრანგი მწვრთნელის სიტყვები: ევროპის ერთა თასის საწყის მატჩებს ტუნისელებთან შეხვედრისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ, ნაკრების ნამდვილ სახეს კი სწორედ ტუნისთან და ერთა თასის ბოლო მატჩებში ნახავთო. ტუნისელებთან ესპანელებმა მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშეს კარგად - მეორე ნახევარში აფრიკელებს ერთი ნორმალური შეტევის განხორციელების საშუალება არ მისცეს. ისევე ითამაშებენ თუ არა პორტუგალიელებთან, ძნელი სათქმელია, მაგრამ მარცხის შემთხვევაში მსოფლიო თასზე მოსახვედრად მებრძოლი გუნდი ექვსი ერის B ჯგუფის დატოვების რეალური კანდიდატი გახდება. ესპანელებმა დღემდე ყველა მატჩი წააგეს და პორტუგალიასთან მარცხის შემთხვევაში ჯგუფში დარჩენის ერთადერთ საშუალებად ჩეხეთის დამარცხება რჩებათ. ეს კი არც ისე იოლია. ეგეც არ იყოს, ბოლო წუთზე საქმის მოგვარება მაინცდამაინც სასურველი არ არის.

რაც შეეხებათ რუსებს, ნაკლებად სავარაუდოა, მათ რუმინელებს რამე დააკლონ. კარპატელები კლასით აშკარად მაღლა დგანან სლავებზე, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია. ერთი სიტყვით, არც რუმინელთა მოგებაა გადაწყვეტილი. დარჩენილ ორ მატჩში რუსების გამარჯვებისა და შემდეგ ჩვენს მიერ რუმინელების დამარცხების შემთხვევაში, სამი გუნდი – საქართველო, რუსეთი და პორტუგალია ერთნაირი რაოდენობის ქულებს დააგროვებს. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება გატანილ და მიღებულ გოლებს, რაც ქართველთა წისქვილზე დაასხამს წყალს.

სხვათა შორის, რუსებს რუმინეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ. გუნდი რუსეთში მოღვაწე ქართველთა მიერ დაფუძნებული ავიაკომპანია "ვასოს" ჩარტერული რეისით უნდა გაფრენილიყო ბუქარესტში. საქმე ჩაიშალა და ახლა რუსები კრასნოიარსკი-მოსკოვი-ბუქარესტის რეისზე ეძებენ ბილეთებს. თავდაპირველად ჩვენი მეზობლები ყველაფერს ქართველებს აბრალებდნენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, მთავარი დამნაშავენი ყოფილან რუმინელები – მათ ავიაკომპანიის კუთვნილი "ტუ-134" ტიპის თვითმფრინავის მიღებაზე უარი თქვეს, სხვა თვითმფრინავი კი კომპანიას არ აღმოაჩნდა.

კრივი

# აქ იყო ტაისონი

"რკინის მაიკის" სკანდალური რეპუტაცია ბევრს მოსვენებას უკარგავს. ათასგვარი ხრიკები, რაც ტაისონის სახელს უკავშირდება, არც პოლიციას აძლევს დამშვიდების საშუალებას. ეს ამბავი ნიუ-იორკში მოხდა. ერთ დილით ელექტროსაქონლის ერთ-ერთი კერძო მაღაზიის მფლობელმა მაღაზია გააღო და გაოგნებული დარჩა: ჩამსხვრეული ვიტრინები, დამტვრეული ტექნიკა. კედელზე კი წითელი აეროზოლით შესრულებული წარწერა: "აქ იყო ტაისონი. პოლიციას ნუ მიაკითხავთ - დაგანოკაუტებთ".

მუქარის მიუხედავად, მაღაზიის მფლობელმა პოლიციას შეატყობინა. არანაკლებ გაოცდნენ სამართალდამცავებიც. მაღაზია ხომ სიგნალიზაციით იყო აღჭურვილი, მაგრამ ვანდალებმა ის მოხერხებულად გათიშეს. დაიწყო გამოძიება. ჯერჯერობით უცნობია თვითონ მაიკ ტაისონის რეაქცია. ალბათ, ადვოკატებმა "რკინის მაიკს" ურჩიეს, ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქციოს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ვიღაცა ძალიან ცდილობს, ახალი ჩრდილი მიაყენოს მოკრივის ისედაც შელახულ რეპუტაციას.

მაგალითად, შარშან, შემოდგომაზე, ისევ ნიუ-იორკში, შეზარხოშებული მოქალაქე, რომელიც ძალიან ჰგავდა თავის სახელოვან თანამემამულეს, გამვლელებისგან ითხოვდა იმის აღიარებას, რომ ის მაიკ ტაისონია - მსოფლიოს ყველა დროისა და ხალხის უდიდესი მოკრივე. 15 წუთის შემდეგ ის ამ "ჭეშმარიტებას" უკვე პოლიციის განყოფილებაში ამტკიცებდა.

ჰოკეი

# ლემიე მხარს უჭერს კლუბებს

ბოლო დროს პიტსბურგელი "პინგვინების" გულშემატკივრებისთვის მთავარი ანტიგმირები კლუბის ხელმძღვანელები - გენერალური მენეჯერი კრეიგ პატრიკი და პრეზიდენტი კენ სოიერი გახდნენ. მათ ვერ გამონახეს საშუალება, თავიდან აეცილებინათ წამყვან მოთამაშეთა მასობრივი გაყიდვა. თუმცა, "პინგვინების" მოთამაშე მფლობელმა, ლეგენდარულმა მარიო ლემიემ განაცხადა, რომ პატრიკს და სოიერს მისი მხრიდან მხარდაჭერა გარანტირებული აქვთ.

როგორც ლემიემ განაცხადა, კლუბის გენერალური მენეჯერი, კრეიგ პატრიკი, რომელიც, უკვე 14 წელიწადია, ამ თანამდებობაზე მუშაობს, კვლავაც იღვაწებს ახალი გუნდის შექმნისთვის. სოიერს კი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ევალება, რაც დაკავშირებულია კლუბის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან და მთელი სამუშაო დაკავშირებულია მარკეტინგთან, საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, ფინანსებთან და ადმინისტრირებასთან.



*მარიო ლემიე*

"მიხარია, რომ შემიძლია დავეყრდნო ისეთ გამოცდილ ადამიანებს, როგორებიც არიან კენ სოიერი და კრეიგ პატრიკი, - განაცხადა მარიო ლემიემ, - ეს ადამიანები დიდი პატივისცემით სარგებლობენ მთელი NHL-ის მასშტაბით და მათ უამრავი ამოცანის გადაჭრა მოუწევთ. მათ იციან, რა გზით უნდა ვიაროთ და რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ორგანიზაციამ ერთხელ აღებულ გეზს არ გადაუხვიოს".

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ სეზონში "პიტსბურგი" სწორედ პატრიკის ხელით ახორციელებდა ხარჯის ნაწილის შემცირების გეგმას, რომლის შედეგად კლუბი დატოვეს ალექსეი კოვალიოვმა, რენდი რობიტაილმა, იან მორანმა, მარკ ბერჟევენმა, იანე ლაუკანენმა, იან გრდილამ და უეინ პრიმომ. ჩამოთვლილ მოთამაშეთა უმეტესობა გუნდის თამაშს განსაზღვრავდა და მათი დაკარგვა სერიოზულად აისახა კლუბის სატურნირო მდგომარეობაზე. ახლა "პინგვინზი" აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-12 ადგილზეა (28 მოგება, 5 ფრე, 43 წაგება) და უკვე დაკარგა პლეი-ოფში გასვლის იმედი.

ამის მიუხედავად, ლემიე ამბობს, რომ უახლოეს მომავალში "პიტსბურგი" კვლავ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

"კენს და კრეიგს ავუხსენი, რომ მომავალ კვირებში და საზონთაშორისო პერიოდში მსურს, მთლიანად ვიხილო ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობა და ის, თუ როგორ მიდის საქმეები. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ იმისთვის, რომ "პიტსბურგ პინგვინზი" წარმატებული კლუბი გახდეს და შეასრულოს დასახული ამოცანები", - დაასკვნა სუპერ-მარიომ.

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 20 წლის წინათ...



1983 წლის 23 აპრილი, კიოლნი, გერმანია. ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი რინუს მიხელსი.

ფორმულა 1

# მიხაელ შუმახერი მალაიზიაში გამარჯვებას გეგმავს

ავსტრალიის გრან-პრიზე განცდილი ფიასკოს შემდეგ (შუმახერი ფინიშთან მეოთხე იყო) ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა, მიხაელ შუმახერმა, ცოტა ხანს დაისვენა - ზღვას, მზეს, კორინას (მეუღლეს) და უახლოეს მეგობრებს მიუძღვნა თავი. გერმანელი იმედოვნებს, რომ ამ გზით შეძლებს, აღიდგინოს მორალური და ფიზიკური ძალა გრან-პრის მეორე რბოლისთვის, რომელიც მალაიზიაში გაიმართება. შუმახერი მიიჩნევს, რომ მალაიზიის რბოლა ერთ-ერთი ურთულესი ეტაპია მსოფლიო ჩემპიონატზე, ამიტომ ამ რბოლისთვის შესაბამისი განწყობა უმნიშვნელოვანესია.

მალაიზიისთვის დამახასიათებელი აუტანელი სიცხე და ნესტი მრბოლისგან დიდ ფიზიკურ სიმტკიცეს მოითხოვს. ბოლიდის საჭესთან დაჯდომამდე პილოტი ვალდებულია, აკლიმატიზაციას კარგად გაართვას თავი. პირველ ეტაპზე მარცხის მიუხედავად, მიხაელ შუმახერმა და მისმა თანაგუნდელმა, რუბენს ბარიკელომ, კარგად იციან, რომ ძველი "ფერარი" ჯერ კიდევ კონკურენტუნარიანია და რბოლებში გამარჯვება შეუძლია, ამიტომ მალაიზიის ტრასაზე "ფერარის" პილოტები წლევანდელ სეზონში პირველ გამარჯვებას ელიან.

**მიხაელ შუმახერი:** "ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ დაღებით ასპექტებზე, რომლებიც მელბურნის ტრასაზე გამოჩნდა. ჯერ ერთი, ჩვენი ძველი მანქანა უაღრესად კონკურენტუნარიანია, როგორც საიმედოობის მხრივ, ისე საექსპლუატაციო ხასიათითაც. ჩვენ ამის იმედი გვქონდა და ეს განვლილმა საშეჯიბრო უქმეებმაც დაადასტურა. ასე რომ, მალაიზიის რბოლის წინ სანერვიულო არაფერი გვაქვს. ზოგიერთები ფიქრობენ, უპრიანი იქნება, თუ ახალ მანქანას მალაიზიაში ჩამოვიყვანთ. გუნდში ამგვარი ვარიანტი არც კი განუხილავთ. პირიქით, მგონია, რომ ისეთ ექსტრემალურ პირობებში, როგორიც მალაიზიაშია, უკეთესია, გამოიყენო კარგად ნაცნობი მანქანა. მეორე: რბოლა კონკურენტებს შორის ძალიან მჭიდრო იქნება, რაც რბოლებს შორის ლავირების საშუალებას მოგვცემს. მესამე: რაკი მელბურნში მეოთხე ვიყავი, მალაიზიის საკვალიფიკაციო რბოლას პირველ პოზიციაზე არ დავიწყებ, როგორც ეს მელბურნში იყო. დაბოლოს, დარწმუნებული ვარ, მალაიზიაში გამარჯვების კარგი შანსი მაქვს. აქ გამარჯვება ჩვენი ტრადიციაა და შევეცდები, ეს ტენდენცია მომავალშიც გავაგრძელო".

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45 ამ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

იყიდება ჩეხური 4-ოთახიანი ბინა 8(9) ვაზისუბნის დასახლებაშ ი. 78-02-34 საღამოს

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებაში. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხის სესხება-გასესხებაში ბინის მყარი გარანტიით. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

სასწრაფოდ ქირავდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა კონკასთან საუკეთესო პირობებით, როგორც საცხოვრებალდ, ისე საოფისედ. 899 181549 კარლო.

ქირავდება გარემონტებული 2-ოთახიანი ბინა დინამოს სტადიონთან, წყნარ ქუჩაზე 150-ად. 91-27-07; 899 944035

## მანქანები

### იყიდება !

ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

შევასწავლი იტალიურ ენას ინდივიდუალურად. ტელ: 899 297717.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შექმნილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

იყიდება ანტიკვარული "ვიტრინა" ფასი 800, 38-92-67, 899 902127

შევიძენ მობილურს. 31-28-81

დავასაქმებ ავტობუსის მძღოლებს! 29-10-82, 22-48-20

ვთარგმნი სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისური, გერმანული და რუსული ენებიდან შეღავათიან ფასში. 75 53 55

სილამაზის სალონი "ცია" გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას, (სტილისტები, კოსმეტოლოგი, პედიკური, მანიკური) დ. აღმაშენებლის 146, ტელ: 95-66-82

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგამი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები ტელ: 53-46-41

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**




# TV პროგრამა 19 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „წითელი წრე" მთ. რ-ში: ალენ დელონი
02.10 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.10 მხ. ფილმი „მიწის კონტროლი"
11.45 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 „თბილისი და თბილისელები"
15.15 მხ. ფილმი „ფრენკის ვარსკვლავები"
16.55 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე"
17.10 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.25 რამპა
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (როდოსი)
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 საქართველო არის ესე
22.10 „არტ-მოზილი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება ?!"
23.55 მხ. ფილმი „ზიზღი"
01.30 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „თავქარიანი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 მუსათეული მიქსი
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ბაქცევა შოუშენკიდან"
01.45 ფილმი ღამურა „მზად ყველაფრისთვის"
03.45 პაუზის ბარეში

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ვატელი"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50,
01.55 მუსიკა
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ტანგო"
00.55 მხ.ფ. „ორნი ქალაქში"
02.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00, 21.30 სალონი
13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სპორტის სამყარო"
20.30 მულტფილმი
23.00 „ერთი ერთზე"
23.30 მუსიკალური პაუზა
23.50 მხ. ფილმი „დარტყმის სიშორეზე"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.25, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.45 მხ. ფილმი „გრიგალი"
14.15 „ტელემეტრი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.10 მხ. ფილმი „შემცვლელი-2"
16.30 დოკ. სერიალი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" მე-4 ს.
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტფილმი „მხიარული მელოდიები"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 დოკ. ფილმი „სინათლის სხივში"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ჩემი ქვეყანა"
22.15 მხ. ფილმი „ფარული მოქმედება"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „კომპიუტერული მოჩვენება"

### იმედი

17.00, 01.05 იმედის მელოდიები
17.56, 20.57 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან"
19.00, 22.00, 00.55 ახალი ამბები
19.30, 21.00 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი"
20.30 „არტ-ბულვარი" შოუ ბიზნესი
22.45 კინოვარსკვლავთა ღამე „სვანის სიყვარული" (ორნელა მუტი, ჯერემი აირონსი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 საბავშვო ფილმი „საკალათბურთო ციებცხელება"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.15 მხატვრული ფილმი „უძილობა სიეტლში"
14.00 კომედია „ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის"
16.15 მულტფილმი
17.35 თრილერი „მომკალი მოგვიანებით"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.35 „პირისპირ" საავტორო გადაცემა
20.30 მელოდრამა „მოგონებანი"
21.55 „გალერეა" საავტორო გადაცემა
22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 კომედია „შეშლილი პროფესორი-2"
03.30 თრილერი „ზღვის ლომების ჯგუფი"

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.10 „ბიორითმი" -
12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 კომპიუტერული თამაშები
13.40 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.25 ღამის კაპრიზი"
21.25 მობილურები
22.10 რაგბი - ზე12 სიდნეი - პრეტორია
23.40 სპორტული პროგრამა - „უეფას" -ს თასის ნახევარფინალი.
01.30 კომპიუტერული ტექნიკა
02.10 „ბიორითმი"

### OPT

07.00 Телеканал „Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00 Новости
10.15 „Земля любви, земля надежды". Сериал
11.10 Многосерийный фильм „Следующий"
12.05 „Фабрика звезд-2"
12.35 Дисней-клуб: „Базз и его команда"
13.15 Комедия „Суета сует"
15.00 „Новый день". „Сканер"
15.30 „Новый день". „Русский экстрим
16.15 „Ералаш"
16.30 Сериал „Секретный фарватер"
18.00 „Большая стирка" с Андреем Малаховым
19.00 Вечерние новости
19.25 „Фабрика звезд-2"
20.00 „Земля любви, земля надежды". Сериал
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу Светланы Сорокиной
22.00, 00.30 Время
22.40 Многосерийный фильм „Следующий".
23.40 Человек и закон
00.55 „Фабрика звезд-2"
01.10 „Новый день". Ударная сила. „Бесконтактная война"
01.40 „Новый день". „Рецепты буддийских монахов"
02.10 „Апология"
03.10 Сериал „Беглец"

### PTP

6.45 - 8.45 Доброе утро, Россия!
9.45 Телесериал „ПРОВИНЦИАЛЫ".
10.45 Телесериал „КОБРА. АНТИТЕРРОР". Фильм 4-й. „ОБРАТНЫЙ ОТСЧЕТ".
11.45,18.20, 20.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00,18.00,21.00 Вести.
12.20 Телесериал „ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ОПАСНОСТЬ В ДОМЕ НА ОКРАИНЕ".
13.20 Мелодрама „ЛОДКА ЛЮБВИ". Телесериал
14.15 Экспертиза.
14.30 Вся Россия.
14.45 Вести - Москва.
15.20 „Что хочет женщина". Ток-шоу
16.10 Телесериал „ТРОЕ ПРОТИВ ВСЕХ-2".
17.15 Агентство одиноких сердец.
17.45 Экспертиза.
18.50 Дорожный патруль.
19.05,00.30 Вести - спорт.
19.20 Местное время. Вести - Москва.
19.50 „КОМИССАР РЕКС". Телесериал
21.30 Местное время. Вести - Москва.
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Телесериал „ПРОВИНЦИАЛЫ".
23.00 Телесериал „КОБРА. АНТИТЕРРОР".
0.00 Ток-шоу „Вести +".
0.40 „ЧЕЛОВЕК НА ЛУНЕ".
3.00 - 3.50 Биатлон. Чемпионат мира. Эстафета 4х7,5 км. Женщины. Трансляция из Ханты-Мансийска.

### НТВ

07.00 Утро на НТВ.
10.00 Премьера. Сериал „СКОРАЯ ПОМОЩЬ-8"
11.00 Сегодня утром.
11.20 Погода на завтра.
11.25 Чистосердечное признание.
12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня.
12.05 „Квартирный вопрос". „Перегораживая пространство".
13.05 Сериал „ВЕЧНЫЙ ЗОВ".
14.25 „Русские сказки Боливии". „Профессия - репортер".
14.50 Криминал.
15.05 Путешествия натуралиста.
15.35 Детектив „ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.35 „Что-то с памятью моей стало". Ток-шоу „Принцип домино".
18.05 Сериал „БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ".
19.20 „Очная ставка". „Любовь до гроба".
20.00 „Сегодня" с Татьяной Митковой.
20.40 Детективный сериал „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-2".
21.50 Сериал „БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ: КРАХ АНТИБИОТИКА".
23.00 „Страна и мир". Главные события дня.
23.40 Модный сериал „СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ"
00.20 „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ". Детектив.
02.25 Сериал „ДОКТОР"
03.15 Кома.
03.45 - 03.35 Ночь.

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა 2003"
დას: 19:00 სთ; ფასი 5-9 ალრი

**სპორტის სასახლე**
"ერთი ქუჩის ამბავი", თეატრალიზებული შოუ ქართული ესტრადის მომღერლების მონაწილეობით
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

## თეატრები

**მარჯანიშვილის თეატრი**
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
„ჰამლეტი", რეჟ. მიხეილ თუმანიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"სამი ნოველა", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ილია", რეჟ. კოტე მახარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**TMS**
ანრი ბასილაიას პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა

**უნივერსი**
გია გუგუშვილის (უმცროსი) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

**N გალერეა**
ვიდეოარტი "შავი ყუთი"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვა

**ძველი გალერეა**
ელენე ქარსელაძისა და სალომე ქათამაძის ნამუშევართა გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიყვარულის ისტორია"
დას: 13:30; 18:00 სთ; ფასი 5-8 ლარი
"ზარი"
დას: 14:30 სთ; ფასი 5,6 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო„**
"თანამშრომლები"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 17;00; 21:30; ფასი 5,7 ლარი

**ფრანკოფონიის კვირეული**
ეროვნული ბიბლიოთეკა
მხატვრული ფილმი "დღესასწაული", რეჟ. ჟ. ტატი
დას: 16:00 სთ



# მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა – ამერიკული რაკეტების სამიზნე

დაულეწავენ თუ არა ჰუსეინს "ფარს"?

თამარ ბაბუაძე

ერაყში განლაგებული უძველესი კულტურული ძეგლების განადგურების საშიშროების შესახებ სპეციალისტები ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ ალაპარაკდნენ. მაშინ არქეოლოგები თხოვნით მიმართავდნენ პენტაგონს, როგორმე ომის იდეა თავიდან ამოეგდო. ბუნებრივია, ისინი, პირველ რიგში, ზრუნავდნენ არა ერაყის მშვიდობიან მოსახლეობაზე, არამედ იმ უძველეს ძეგლებზე, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის მემკვიდრეობას წარმოადგენს და რომელთა განადგურებაც უდიდესი დანაშაული იქნება. თუმცა, ახლა, როდესაც ულტიმატუმის დათქმული ვადა, 48 საათი უკვე გავიდა, არქეოლოგებმა თხოვნის შინაარსი შეცვალეს. ისინი პრეზიდენტ ბუშს სთხოვენ, რომ ანტიკური მონუმენტები ხელუხლებლად დატოვოს. არადა, არავინ იცის, ყურად იღებს თუ არა აშშ-ს ადმინისტრაცია მეცნიერთა განგაშს, რადგანაც არსებობს ვარაუდი, რომ სადამ ჰუსეინი კულტურულ ძეგლებს "ფარად" იყენებს: ის უძველეს სასახლეებში სპეციალურად ინახავს იარაღს და ამით ბუშის სინდისზე თამაშობს – თუ აშშ-ს პრეზიდენტი ნამდვილად დემოკრატიული ღირებულებების დამცველია და მსოფლიოსთვის სიკეთე უნდა, წესით, ვერც მისი კულტურული მემკვიდრეობის დაბომბვა უნდა გაბედოს. ასე რომ, საფრთხე, რომელზეც არქეოლოგები საუბრობენ, აშკარად რეალურია.

ექსპერტებს ძალიან აღელვებთ მესოპოტამიური ცივილიზაციის ბედი. საუბარია იმ უძველეს კულტურაზე, რომელიც 6 500-ზე მეტი წლის წინ ევფრატისა და ტიგროსის ნაპირებზე ყვაოდა. არქეოლოგები აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს თხოვდნენ, საომარი სტრატეგია, როგორმე ისე შეედგინათ, რომ უვნებლად გადარჩენილიყო 4 ათასი ძირითადი არქეოლოგიური მხარე. თუმცა, ამის წინასწარ განსაზღვრა რეალურად ძალზე რთულია. თანამგზავრით მართული რაკეტებიც ხომ რეალურ სამიზნეზე ბევრად მეტ ტერიტორიას აზიანებენ.

არქეოლოგია და ომი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ – ამტკიცებენ სპეციალისტები და იხსენებენ მრავალ სავალალო ისტორიულ პრეცედენტს, როდესაც გლობალურმა კონფლიქტებმა კულტურული ძეგლები შეიწირეს. ამის დასტურად, სფინქსისა და ნაპოლეონის "ტკბილი ურთიერთობა" რომ არც მოვიგონოთ, ავღანეთში მომხდარი ბოლო შემთხვევის გახსენებაც კმარა: თალიბებმა ხომ ახლახან ბუდას ორი უზარმაზარი ქანდაკება გაანადგურეს. მეტიც, განუწყვეტელმა ომებმა ავღანეთის მიწაში ღრმად ჩამარხა უძველესი ცივილიზაციების მრავალი ნივთმტკიცებაც.

ეს ყველაფერი ერაყმაც გამოსცადა. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს დაზიანდა მრავალი ისტორიული ძეგლი, მათ შორის, ურის ზიქურათიც – პირამიდის ტიპის შუმერული ტაძარი, რომელიც სამხრეთით მდებარე ქალაქ ბასრასთან არის აგებული. მართალია, ძეგლი ნგრევას გადაურჩა, მაგრამ ვიბრაციის გამო ის უკვე საკმაოდ გახლავთ დაზიანებული.

ახალი საუკუნის გადასახედიდან, ასე ერთბაშად, ოდნავ რთულია, დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე მოხვედრილი ისტორიული ძეგლების მნიშვნელობის გააზრება და იმ სავალალო მასშტაბების გათვითცნობიერება, რასაც ომი მსოფლიო კულტურას მოუტანს.

თუმცა, საფრთხის მასშტაბურობაში იოლად დავრწმუნდებით, თუ საინფორმაციო სააგენტო Graphic News-ის მიერ შედგენილ დეტალურ რუკას გადავავლებთ თვალს. მასზე თვალნათლივ ჩანს, რომ ერაყი ის მიწაა, რომელზეც ათასწლეულების წინ ასურელი მეფეები ცხოვრობდნენ; სადაც იგებოდა ნინევიის უდიდესი ბიბლიოთეკა და ბაბილონის გოდოლი; სადაც ნაბუქოდონოსორ მეორე საყვარელ ქალს ულამაზეს, დაკიდულ ბაღებს უშენებდა; სადაც შუაგულ უდაბნოში, აგურით აგებდნენ ქტესიფონის უძველეს, გრანდიოზულ თაღს... მართალია, ეს უკანასკნელი ამერიკული რაკეტების სამიზნე, სავარაუდოდ, არ გახდება, მაგრამ დაბომბვის გამო წარმოქმნილმა ტალღებმა ის, შესაძლოა, მიწასთან გაასწოროს. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს თაღი 2 ათასი წლის წინ გახლავთ აშენებული და ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უმაღლესი აგურის ნაგებობაა.

ბუნებრივია, ამერიკული რაკეტების პირველი სამიზნე ერაყის დედაქალაქი გახდება. ბაღდადთან 55 მილში კი მდებარეობს ბიბლიური ქალაქი ბაბილონი – ერაყის უდიდესი არქეოლოგიური მუზეუმით და იმ ადგილებით, სადაც სემირამიდას ბაღები და ბაბილონის გოდოლი უნდა ყოფილიყო აღმართული. რაც ყველაზე საგანგაშოა, დღეს გაეროს დამკვირვებლები ამტკიცებენ, რომ, შესაძლოა, სწორედ ამ ადგილებში ინახავდეს ჰუსეინი გასაიდუმლოებულ იარაღს.

დასავლეთში ამტკიცებენ იმასაც, რომ 1991 წელს ჰუსეინმა "ფარად" კულტურული ძეგლები ნამდვილად გამოიყენა და რომ ის იარაღს ზიქურათის ტაძრის სიახლოვეს მალავდა. თუ პრეცედენტი ახლაც განმეორდა, ერაყის წინააღდეგ ამხედრებული მთავრობები მთელ პასუხისმგებლობას ჰუსეინს "გადაულოცავენ". მით უფრო, რომ ჰააგის 1954 წლის კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ მათ მხარესაა: ოფიციალური საერთაშორისო დოკუმენტის თანახმად, მართალია, შეიარაღებული კონფლიქტების დროს იკრძალება მონუმენტების სამიზნედ გამოყენება, მაგრამ ამ პირობის დარღვევა შეიძლება, თუ ისტორიულ ძეგლებში იარაღია განთავსებული.

ასე რომ, შეიარაღებულ დასავლეთს აბსოლუტურად მშვიდი სინდისით შეეძლება ისტორიული ძეგლების დაბომბვა და შედეგების ჰუსეინზე გადაბრალება. მით უფრო, რომ ბუშის განცხადებას – უპირველეს ყოვლისა, დაიბომბება ბაღდადში ერაყის პრეზიდენტის სასახლეები – პრესა უკვე რამდენიმე დღეა ავრცელებს. ამ სასახლეების უმეტესობა კი სწორედ ისტორიული ძეგლები გახლავთ.

არქეოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისლამურ ტაძრებსა და კულტურულ ინსტიტუტებსაც. ამ ნაგებობათა განადგურება ისლამურ სამყაროში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს – აცხადებენ მეცნიერები. მათივე თქმით, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაზიანებული ისტორიული ძეგლები შემდეგ გაქურდვის ობიექტიც გახდება. სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ხომ ერაყიდან მრავალი ძვირფასი ნივთი გაიტანეს და დასავლურ გალერეებს მიჰყიდეს...

არადა, ფაქტია – ის ისტორიული განძი, რომელიც ერაყის ტერიტორიაზე მდებარეობს, მსოფლიოს ეკუთვნის და მათი განადგურება ისევ მსოფლიოს ავნებს.

...არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები ომის პირველ დღეებში და ან რეალურად რა ბედი ელის უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურულ მემკვიდრეობას. არქეოლოგები კი იმედს იტოვებენ, რომ ძველი მესოპოტამიელები ცდებოდნენ, როდესაც სევდიანად ამბობდნენ: ყველაფერი ამაოა და ბოლოს მაინც მიწად იქცევა...





ნინევიის კედელი


ზიქურათი


ბაბილონის სამხრეთი სასახლე


ქტესიფონის თაღი


იმამ ალ ჰუსეინის ტაძარი

კალეიდოსკოპი

## სემირამიდას დაკიდული ბაღები

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ მეორემ (602-562) ასურეთის წინაამდეგ საბრძოლველად, რომლის ჯარმაც ორჯერ დაანგრია ქალაქი ბაბილონი, სამხედრო კავშირი მიდიის მეფესთან დაამყარა. გამარჯვების შემდეგ მათ ასურეთის ტერიტორია გაიყვეს. ხოლო სამხედრო კავშირის გასამყარებლად ნაბუქოდონოსორ მეორემ მიდიის მეფის ქალიშვილი – სემირამიდა შეირთო ცოლად. ბაბილონის მოსახლეობა უკმაყოფილებით შეხვდა მიდიაში გაზრდილ დედოფალს. მეუღლის დასაწყნარებლად მეფემ სემირამიდას სასახლე – "დაკიდული ბაღები" აუშენა.

სასახლის ასაშენებლად, მეფის ბრძანებით დედაქალაქში ათასობით ტყვე და მონა მორეკეს. ეს იყო ქვისა და აგურისგან აშენებული ოთხ იარუსიანი ნაგებობა. ყოველ იარუსს 25 მეტრიანი სვეტი აკავებდა. სართულები ვიწრო კიბეებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ყოველ სართულზე მიწის სქელი ფენა დაყარეს და ხეები და ყვავილები დარგეს, მათ შორის, მიდიიდან – დედოფლის სამშობლოდან ჩატანილი მცენარეები. სართულებს შორის წყალი რომ გაჟონილიყო, ყოველ პლატფორმაზე ასფალტს და ორ რიგად აგურს აგებდნენ. ბაღები სპეციალურად გაყვანილი არხების საშუალებით მდინარე ევფრატიდან მარაგდებოდა. ასე გაშენდა მშვენიერი ბაღები, რაც შორიდან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს დაკიდულიაო. მაგრამ ეს საოცრება დიდ ხანს არ მდგარა: ორი საუკუნის შემდეგ იგი ნელ-ნელა დაინგრა.

ძველი წელთაღრიცხვის 331 წელს ალექსანდრე მაკედონელის ჯარებმა ბაბილონი დაიპყრეს. მაკედონელმა ბაბილონი თავისი გრანდიოზული იმპერიის დედაქალაქად აქცია. საგულისხმოა, რომ ცნობილი მხედართმთავარი სწორედ აქ, მშვენიერი სემირამიდასთვის აგებული ბაღების ჩრდილქვეშ გარდაიცვალა.

ამის შემდეგ რამდენიმე ძლიერმა წყალდიდობამ სვეტების საფუძველი მოარყია და პლატფორმები ჩამოანგრია. ასე დაიღუპა მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი.

მეოცე საუკუნეში, არქეოლოგებმა ბაღების რეალურად არსებობასთან დაკავშირებით რამდენიმე საიდუმლო აღმოაჩინეს. თუმცა, საბოლოო დასკვნის გაკეთებაზე, თუ ზუსტად სად მდებარეობდა "დაკიდული ბაღები", ისინი მაინც თავს იკავებენ.

### დღეს
ხუთშაბათს, 20 მარტს




1602 წელი: დაარსდა გავლენიანი ჰოლანდიური კომპანია East India.

1792 წელი: დასჯის უმაღლეს ზომად საფრანგეთში შემოიღეს გილიოტინა.

1933 წელი: გერმანიაში პირველად გამოსცადეს რადარი.

1999 წელი: საჰაერო ბუშტის საშუალებით ბერტრან პიკარმა და ბრაიან ჯონსმა მსოფლიოს გარშემო შეუჩერებლად პირველად იმოგზაურეს.

2002 წელი: პრეზიდენტ ბუშის პერუში ოფიციალურ ვიზიტამდე სამი დღით ადრე ლიმაში, აშშ-ს საელჩოსთან ახლოს, მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქებით ცხრა ადამიანი დაიღუპა. ეს უნდა ყოფილიყო პირველი მოქმედი ამერიკელი პრეზიდენტის ვიზიტი ქვეყანაში.

© GRAPHIC NEWS



# იმბრულიას აგრესიული თაყვანისმცემელი



ნატალია იმბრულია

ადამიანის გატაცების ამბით ვეღარავის გავაკვირვებთ, მით უმეტეს, როცა ეს ადამიანი გამტაცებლისათვის სასურველ ყველა თვისებას ფლობს – ლამაზიცაა, მდიდარიც და წარმატებულიც. ყველა ამ ღირსებით შემკულ ავსტრალიელ მომღერალს, ნატალია იმბრულიასაც დაუპირეს მოტაცება, თან საკმაოდ თავხედურად და ერთობ აგრესიული ფორმით.

ამ სცენის მოწმეთა თქმით, ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღამის კლუბიდან, „ჩაინავაითიდან" გასული მომღერალი თავისი მანქანისკენ მიემართებოდა, როცა უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა. ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მან ქალს ხელი სტაცა, წაათრია და საბარგულში დაუპირა ჩატენვა – ეს უკანასკნელი პუნქტი ჟურნალისტებს განსაკუთრებით სამხიარულოდ ეჩვენათ. ნატალია იმბრულია ყვიროდა და გამტაცებელს აქტიურად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ, ალბათ, არაფერი გამოუვიდოდა, დაცვას რომ არ მიესწრო. ამ არეულობაში მოძალადემ მანქანაში ჩაჯდომა და გაქცევა მოასწრო.

თავისთავად, არასასიამოვნო ისტორიაა, რომ არა ერთი დეტალი: მაინცდამაინც იმ დროს და მაინცდამაინც იმ ადგილას რამდენიმე ფოტოგრაფი აღმოჩნდა. მათ ჩინებული ფოტორეპორტაჟები გააკეთეს. რაღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გატაცება ინსცენირებული იყო, სცენარი კი – საუკეთესოდ გააზრებული... ამ ვერსიას მედია იმითაც ადასტურებს, რომ ინციდენტის გამოძიება და პოლიციაში ჩივილი არავის დაუწყია. შესაძლოა, გატაცების ინსცენირებით მომღერალმა საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სცადა, და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს შესანიშნავად გამოუვიდა.

დასასრულს ნატალია იმბრულიას პრესმდივნის კომენტარს მოგახსენებთ: ინციდენტით, ცოტა არ იყოს, დამფრთხალიაო.

# შაკირას ტრიუმფი მშობლიურ კოლუმბიაში



შაკირა

ცნობილმა მომღერალმა, შაკირამ, კონცერტი ამჯერად თავის მშობლიურ კოლუმბიაში ჩაატარა და ათასობით კოლუმბიელი თინეიჯერი, საბოლოოდ, მოხიბლული დატოვა.

უკანასკნელი სამი წელია, შაკირას სამშობლოში არ უმღერია. სცენაზე, უზარმაზარი კობრის თავიდან გამოსულ მომღერალს 40 ათასი მაყურებელი ოვაციებით შეხვდა.

ამ კონცერტისთვის ქალაქის პოლიცია საგანგებოდ იყო მომზადებული. უსაფრთხოების მიზნით, კონცერტის წინ სტადიონის გარშემო 1500 პოლიციელი ამოწმებდა კონცერტზე მიმავალ საზოგადოებას – იარაღსა და სასმელებს ეძებდა. თავად შაკირას 17 მამაკაცი დაჰყვებოდა – კოლუმბიელი ხალხის სიყვარულის მიუხედავად, ცეცხლოვანი ტემპერამენტი ზოგჯერ მაინც საშიში ხდება ხოლმე.

თუმცა, თანამემამულეებს შაკირა, მართლაც, ძალიან უყვართ და მისი წარმატებებით – Latin Grammy-ს და MTV Music Awards-ის რამდენიმე პრიზით – ძალიან ამაყობენ. კონცერტი კოლუმბიის დედაქალაქის, ბოგოტას სტადიონზე ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში შაკირა თავის ინგლისურ და ესპანურ სიმღერებს მღეროდა. "ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სამშობლოში ვიმყოფები და კოლუმბიელებისთვის ვმღერი," – განაცხადა 26 წლის მომღერალმა, რომელიც ამჟამად მაიამიში ცხოვრობს.

კონცერტის მეორე დღეს შაკირა ქვეყნის პრეზიდენტს, ალვარო ურიბესს შეხვდა, რომლის ორი ვაჟიც, დიდძალი დაცვით გარშემოტყმული, ასევე პოპ-ვარსკვლავის კონცერტს ესწრებოდა. კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კაროლინა ბარკომ კი მომღერალს ქვეყნის საუკეთესო დესპანი უწოდა: "შაკირა მხოლოდ სიყვარულს იწვევს", ბრძანა მან.

## სკანდინავიური კროსვორდი



პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე – "Discover Georgia"

20%-იანი ფასდაკლება კუპონით

43 ვიდეო რგოლი, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი აღწერა

ისტორიის თვალსაჩინო მოვლენები; ბიოგრაფიები; სიმბოლიკა; უნიკალური საარქივო ფოტოები; კანდაკებები; ნახატები; ლექსები; ნაწყვეტები კინოფილმებიდან; სიმღერები; ტრადიციები; მუსიკალური ცეკვები; ინსტრუმენტები; ხალხური თანამედროვე რეწვა; რეწვა; სუფრის კერძები; ტრადიციები; ფრესკები; მონუმენტები; თბილისის რუკა; სლაიდები; მონუმენტალური არქიტექტურა; რუკები; ხმოვანი ანბანი; ქართული შრიფტები; ფულად-საკრედიტო სამყარო;

PC CD-ROM NeoMedia

მხოლოდ 33 ლარად!
დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!

ადგილზე მიტანით

მ.თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი

რეჟისორი გ.მარგველაშვილი

„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"

მთ. როლებში: ნ. ჯანკვეტაძე და გ. პიპინაშვილი

პროფკავშირების კულტურის ცენტრი

მის.: ვაჟა-ფშაველას გამზ.43
23 მარტი, დას. 19.00 სთ.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.